# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 17 ივლისი 2001 №132 (1405) | ფასი 50 თეთრი


# ჟაკ როგმა სამარანჩისგან მთელი სამყარო მიიღო



REUTERS მოსკოვიდან

ჟაკ როგმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად არჩევისთანავე ხუან ანტონიო სამარანჩი ოლიმპიური ორდენით დააჯილდოვა

## 1980 წლის 16 ივლისი. მოსკოვი, სვეტებიანი დარბაზი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ორად გაყოფილი მსოფლიოს ორად გაყოფილი და გაქვალტყავებული სპორტი ჩაიბარა.

## 2001 წლის 16 ივლისი. ისევ მოსკოვი, ისევ სვეტებიანი დარბაზი

ხუან ანტონიო სამარანჩმა მის მემკვიდრედ არჩეულ ჟაკ როგს გაერთიანებული და გამდიდრებული სპორტი გადაულოცა.
სამარანჩის 21-წლიანი მმართველობისას ოლიმპიური მოძრაობა ისე მყარად დადგა ფეხზე, რომ ბელგიელ ქირურგ-ორთოპედს ჟაკ როგს თავისი ხელობის გახსენება არ მოუწევს: ოლიმპიზმს პროთეზი აღარ დასჭირდება.

## საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნები

### პირველი ტური

| | | |
|---|---|---|
| ჟაკ როგი (ბელგია) | 46 | ხმა |
| კიმ უნ-იონგი (კორეა) | 21 | ხმა |
| დიკ პაუნდი (კანადა) | 20 | ხმა |
| პალ შმიტი (უნგრეთი) | 11 | ხმა |
| ანიტა დეფრანცი (აშშ) | 9 | ხმა |

### მეორე ტური

| | | |
|---|---|---|
| ჟაკ როგი (ბელგია) | 59 | ხმა |
| კიმ უნ-იონგი (კორეა) | 23 | ხმა |
| დიკ პაუნდი (კანადა) | 22 | ხმა |
| პალ შმიტი (უნგრეთი) | 6 | ხმა |

„სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტის ემზარ ზენაიშვილის მოსკოვური რეპორტაჟი იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდებზე

# კოლხეთმა შუაკაცი იპოვა თავისუფალი კვეტენაძე ფილიას ჩაბარდა




კახა კვეტენაძე (წინა პლანზე) მეცამეტე ეროვნულში ფოთის „კოლხეთისთვის“ გაირჯება

**წუხელ** ბულგარულ შეკრებაზე მყოფ ფოთის „კოლხეთის“ მწვრთნელ სოსო ფილიას რომ შევეხმიანეთ, აღშფოთება ვერ დამალა, ეს რა გვიქნეს, უკვე მერამდენედ გავდივართ აქ შეკრებას და ასე საზიზღრად პირველად მოგვექცნენო.

მაინც რა მოხდა ასეთი? „კოლხეთმა“ 14 ივლისს ბურგასის „ნეფტოხიმიკთან“ 0:2 წააგო. წაგებით ვის არ წაუგია, მაგრამ...

ფილია წაგებაზე უფრო მსაჯთა საქციელს აღუშფოთებია. ორი ფეხბურთელი სულ ტყუილად გაგვიძევეს, სამი პენალტი არ დაგვიდეს, იქით დასანიშნი ჯარიმები, ყველა აქეთ დაგვინიშნესო. მწვრთნელის ნათქვამში რა უფლება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ ვფიქრობთ, ეს ყოველივე მაინც მომაბეზრებელია. თუმცა, თანამემამულე „შავოსანთა“ ნამოქმედარით, მატჩზე დამსწრე ბულგარელი ჟურნალისტებიც გაოგნებულან.

ასეა თუ ისე, „კოლხეთმა“ მოსამზადებელ პერიოდში პირველი საკონტროლო მარცხი იწვნია. სოსო ფილია, ცხადია, შედეგით არა, მაგრამ თამაშის ხარისხით მაინც კმაყოფილი დარჩა — არ მეგონა, ბიჭები თუ ნორმალურ ფეხბურთს ითამაშებდნენო. ბურგასელებს გოლები ორივე ტაიმში გაუტანიათ, ორივე სტანდარტული სიტუაციებისას — ჯარიმებით.

„კოლხეთმა“ მატჩი 3-5-2 ტაქტიკური სქემით დაიწყო. კარში მამუკა გვასალია იდგა, სამკაციან დაცვით ხაზში, ცენტრალური მცველობა ახალწვეულმა მიქელთაძემ ითავა, მარჯვნივ გოროზია, მარცხნივ კი ტორჩინავა იყვნენ. ქუტიძე და ქობულაძე შუახაზში საყრდენი ნახევარმცველის მოვალეობას ასრულებდნენ. განაპირა ჰავბეკებად ფილიამ მარცხნივ კვირკველია, მარჯვნივ კი ფანჩულიძე გაამწესა. გამთამაშებლობა ელდარ გვასალიამ იკისრა. თავდასხმაში კი მწვრთნელმა წივწივაძე-მუმლაძის დუეტი ათამაშა.

მეორე ტაიმში შეცვლებზე ნარსია (ტორჩინავა), ყურაშვილი (გოროზია), ივერიანი (ქობულაძე), ვართაგავა (ელდარ გვასალია) და აკობია (მუმლაძეს) შევიდნენ.

კვლავაც ვერ ვარჯიშობს გუნდთან ერთად ბადრი ახვლედიანი. მას მწვრთნელმა მოშუშებულ ტრავმის შემდეგ, კვლავაც ინდივიდუალურად მომზადება დაავალა.

დღეს ფოთელები მესამე საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ, წესით „კოლხეთს“ პლოვდივის „სპარტაკთან“ უნდა ეთამაშა, მაგრამ მეტოქემ ქართველებთან გაჯიბრებაზე უარი თქვა. ჩვენებურებმაც ადგილობრივი „სოლნიჩნი ბრიაგი“ დაითანხმეს და ჯერ დღეს შეხვდებიან, მეორედ კი სამშობლოში წამოსვლის დღეს.

და კიდევ. როგორც სოსო ფილიამ წუხელვე გვაცნობა, კახა კვეტენაძე უკვე „კოლხეთის“ ფეხბურთელია. „შეგიძლიათ ასე ჩათვალოთ. ჩვენ ველაპარაკეთ კვეტენაძეს და „ტორპედოს“ თავკაცობასაც შევუთანხმდით. მან „ტორპედოდან“ განთავისუფლების ფურცელი უკვე აიღო, „კოლხეთს“ კი 23 ივლისს შეუერთდება. აზრი არ ჰქონდა მის ბულგარეთში ჩამოსვლას, ოთხ დღეში უკან ვბრუნდებით და კვეტენაძეც „ფაზისზე“ დაგვხვდება“.

საკითხავი კი ისაა, შეცვლის კი კვეტენაძე „დინამოში“ გადაბარგებულ ჯონი შალამბერიძეს? ფილიას სწორედ ეს აიმედებს, შუახაზში გვქონდა პრობლემა და სწორედ კვეტენაძის იმედი მაქვსო.

**გიორგი ვაჟაძიძე**

ჩემპიონთა თასი 2001-02. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ტორპედო — ლინფილდი

პირველი მატჩი 0:0

ქუთაისი. „ტორპედო“. ტევადობა 20 000. 18 ივლისი

# ძოძუაშვილმა ქუთაისი დატოვა

## ტორპედომ ლინფილდს სახლი დაუთმო

**ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან“** ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სტუმრად ფრედ (0:0) ნათამაშევი მატჩის შემდეგ იმედიანადაა ქუთაისის „ტორპედო“. ქუთაისელები გულმოდგინედ ემზადებიან სახვალიო საპასუხო შეხვედრისთვის.

ბრიტანეთიდან დაბრუნების შემდეგ „ტორპედო“ საკუთარ ბაზაზე განაგრძობდა წვრთნას, გუშინ საღამოს კი იქედან აბარგდა და წყალტუბოში გადაინაცვლა. ტორპედოელები დროებით, კურორტზე შემორჩენილ ერთადერთ ხეირიან, თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში დაბინავდნენ. მიზეზსაც მოგახსენებთ. „ტორპედო“ საღორიის ბაზას ასევე დროებით, ორი დღით, „ლინფილდს“ უთმობს.

სტუმართა დაახლოებით 30-კაციანი დელეგაცია ამ დილით ჩამოფრინდება თბილისს და „ტორპედოს“ კუთვნილი ავტობუსით ქუთაისისკენ გამოეშურება. ბრიტანელებს ბაზაზე შუადღისთვის ელიან, საღამოს კი „ლინფილდი“ სავარჯიშოდ „ტორპედოს“ სტადიონს მიაკითხავს.

დაწვრილებით „ტორპედო“ — „ლინფილდის“ წინასამატჩო ამბებზე ხვალინდელ „სარბიელში“ მოგითხრობთ. იმას კი გეტყვით, მატჩი ჩვენთვის უჩვეულო დროს, 21 საათზე დაიწყება და ხელოვნური განათების ქვეშ ჩატარდება. ბილეთის ფასი, ადგილების პრესტიჟულობის გათვალისწინებით, 2, 3, 5 და 10 ლარია.

როგორც ვთქვით, ბელფასტური მატჩის შემდეგ ტორპედოელები ქუთაისში ვარჯიშობდნენ და კვირას საკონტროლო თამაშისთვისაც მოიცალეს. რევაზ ძოძუაშვილმა ბოლნისის „სიონს“ გააჯიბრა შეგირდები, თანაც პირველ და მეორე ტაიმში განსხვავებული შემადგენლობებით. „ტორპედომ“ 5:1 დაამარცხა მეტოქე. ბოლნისელებს წყვილ-წყვილად ბორის გონჩაროვმა და ზვიად ქუთათელაძემ გაუტანეს, ერთიც ახალკაცმა. „სიონი“ მშრალი მარცხისგან ირაკლი შენგელიამ იხსნა.

ძოძუაშვილმა თითქმის ყველა ფეხბურთელი ნახა მოედანზე. არ უთამაშიათ გივი დიდავას, ზურაბ იონანიძეს და ვალტერ გუჩუას. ისინი გარედან ადევნებდნენ თვალს საწვრთნელ თამაშს. რაც შეეხება კიდევ ერთს და ბოლოდროინდელ „ტორპედოში“ არცთუ უმნიშვნელო ფიგურას, კახა კვეტენაძეს, რომელიც ძოძუაშვილმა ბელფასტში იახლა, ოღონდ სათადარიგოებში ამყოფა, ქუთაისელთა ექს-კაპიტანს „სიონთან“ არ უთამაშია და ვერც ითამაშებდა. საქმე ის არის, რომ კვეტენაძე „ტორპედოდან“ წავიდა. ჩრდილოეთ ირლანდიიდან დაბრუნების შემდეგ მან გუნდიდან განთავისუფლება მოითხოვა და მიიღო კიდეც შესაბამისი საბუთი.

კვეტენაძე კარიერას „კოლხეთში“ გააგრძელებს. ფოთელები კარგა ხანია მისით დაინტერესებული არიან და ფეხბურთელიც თანახმაა სოსო ფილიას გუნდში თამაშზე.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

# მატლახის ვაგლახი

## ცქიტიშვილი კელში გვწვდა

**11 ივლისიდან** გერმანიაშია შეკრებაზე თბილისის „დინამო“. ჩვენები ჯერ ფრაიბურგში ჩავიდნენ, სამი დღე ვარჯიშსა და დასვენებას მოანდომეს, ხოლო 14 ივლისს კი „ფრაიბურგს“ გაეჯიბრნენ. შეხვედრა ფრაიბურგიდან 30 კილომეტრში მდებარე ქალაქ კელში ჩატარდა. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია — რვაათასიანი სტადიონი ლამის პირამდე გაივსო.

კლუბებს შორის წინასწარი შეთანხმების მიხედვით გუნდებმა უძლიერესი შემადგენლობებით ითამაშეს. ფოლკერ ფინკემ სამივე ქართველი ათამაშა — გიორგი კიკნაძეს ჯერ კიდევ ვერ მოუშუშებია ტრავმა, ოდენ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ხოლო ზაზა ზამთარაძე ჯერ ვერ ხვდება გუნდის ძირითადში, ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი სასტარტო შემადგენლობაში მოხვდნენ და ბოლომდე ითამაშეს, ლევან კობიაშვილი კი 65-ე წუთზე ჩაერთო შეხვედრაში. „დინამომ“ 20 ფეხბურთელი გამოსცადა, არ უთამაშია მეკარეებს — სოსო გრიშიკაშვილსა და ზურაბ მამალაძეს, მცველ ალექსანდრე ჩივაძესა და ნახევარმცველ გიორგი გაბიდაურს. გივი ნოდიას სასტარტო თერთმეტეული კი ასეთი გახლდათ: ბათიაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, კანდელაკი, ბურდული, სახვაძე, შალამბერიძე, მაზიაშვილი, მიქაძე, ბობოხიძე. შეუცვლელად სამმა, ბათიაშვილმა, შაშიაშვილმა და ვაშაკიძემ ითამაშეს. „დინამომ“ ახლებური, 3-4-2-1 სქემით ითამაშა. დაცვაში შაშიაშვილი, ვაშაკიძე და კანდელაკი ირჯებოდნენ. ნახევარდაცვის ფლანგებზე მარჯვნიდან სვანაძე, მარცხნიდან სახვაძე; საყრდენები შალამბერიძე და მაზიაშვილი იყვნენ; ხოლო ბობოხიძე და ბურდული ფლანგებიდან ეხმარებდნენ ცენტრაფორვარდად გამწესებულ მიქაძეს.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. კარგი შანსი ჰქონდა მიქაძეს, ორჯერ კი ვაშაკიძემ ვერ იყოჩაღა. მეორე ტაიმში გერმანელები მცირე უპირატესობას დაეუფლნენ და 75-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლიც გავიდა — „დინამოს“ საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მეკარის ბაქნიდან უკუგდებულ ბურთს ლევან ცქიტიშვილმა 16-17 მეტრიდან ლონიერი ცაცია შეაგება. „დინამოსაც“ ჰქონდა მეორე 45 წუთში შანსი, მაგრამ მომენტი ვიტალი დარასელიამ გააცუდა.

მატჩს რამდენიმე გერმანელი ჟურნალისტი ესწრებოდა და ფოლკერ ფინკეს პრესკონფერენციაზე მისვლამაც მოუწია.

— ეს ამხანაგური მატჩი ჩვენთვის კარგი რეპეტიცია გამოდგა ახალი სეზონისთვის. შეხვედრის მსვლელობით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ „დინამო“ ხელს გვიშლიდა. ჩვენი მეტოქე ახალგაზრდული გუნდია ახალი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული და მათ შეუთამაშებლობა ეტყობოდათ — ასეთი გახლდათ ფინკეს შეფასება.

გუშინ საღამოს კი „დინამომ“ მორიგი შეხვედრა გამართა. ჩვენებურებთან გაჯიბრების სურვილი მოყვარულთა გუნდ „მატლახ შპორტფერაინს“ გამოუთქვამს. თამაში ბიტბურგის ბაზის მინდორზე ჩატარდა („დინამო“ „ფრაიბურგთან“ თამაშის შემდეგ, იმავე დღეს ჩავიდა ბიტბურგში). „დინამომ“ იოლად დაჯაბნა შეუპოვრად მოთამაშე მოყვარულები და 4:1 გაიმარჯვა. გოლები დარასელიამ, ბურდულმა, იაგორაშვილმა და შავგულიძემ გაიტანეს. შეხვედრაში მოთამაშეთა იმავე კონტიგენტმა მიიღო მონაწილეობა, რაც „ფრაიბურგთან“. ოღონდ გივი ნოდიამ სხვა განლაგებით ათამაშა გუნდი — ორი გამოკვეთილი ფორვარდით, ბობოხიძე და მიქაძე, რომელთა უკან დარასელია მოქმედებდა. „დინამოს“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: ბათიაშვილი, ვაშაკიძე, მაზიაშვილი, კანდელაკი, შალამბერიძე, მანსიაშვილი, ბურდული, სახვაძე, დარასელია, ბობოხიძე, მიქაძე.




ლევან ცქიტიშვილი

**დავით თავართქილაძე**

# ბოლნისის გასაჭირი ბორჯომში გამოჩნდა

**ბოლნისის** „სიონი“ მომავალი ჩემპიონატისთვის ბორჯომში ემზადება. გუნდის მწვრთნელები უმთავრეს ყურადღებას ფეხბურთელების ფიზიკურად მომზადებას უთმობენ. თუმც შიგადაშიგ საკონტროლო მატჩებსაც მართავენ. ერთ-ერთი გახლდათ შეხვედრა ქვეყნის ორგზის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოსთან“. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში მხოლოდ 1:2 იყო, მაგრამ ბარნოვის გაძევებამ და სიდამონიძის ტრავმამ ბოლნისელთა დიდი ანგარიშით მარცხი გამოიწვია — 1:5. აქვე აღვნიშნავთ, რომ სიდამონიძის ტრავმა, ქართლელთა საბედნიეროდ, სერიოზული არ აღმოჩნდა.

ამხანაგურმა მატჩებმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა „სიონის“ სუსტი წერტილი — თავდასხმა. სულიკო დავითაშვილის, კოტე მეტრეველის, შალვა ისიანისა და გელა გაბისონიას გუნდიდან წასვლით „სიონს“ აშკარად გაუჭირდა თავდასხმის ხაზში. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა ამ ნაკლის აღმოფხვრას რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირებით ცდილობს. კერძოდ, ლაპარაკია მამუკა მინაშვილისა და ზურაბ ხორგუაშვილის დამატებაზე. ბოლნისელები იგივე სურვილს ამჟღავნებენ ვიტ-ჯორჯიელი რევაზ გოცირიძის მიმართაც.

„სიონი“ შეკრებიდან 18 ივლისს დაბრუნდება და ამხანაგურ მატჩებს შემდეგი თანმიმდევრობით ჩაატარებს: 19 ივლისს „ცხინვალთან“, ხოლო 21 და 23 ივლისს რუსთავის „გორდასთან“. 28 ივლისს კი ჩემპიონატიც დაიწყება.

**კახა შალამბერიძე**

# არჩვაძე სალორიიდან ოაზისში მოხვდა

**29 წლის** რუსთაველი მცველი ზურაბ არჩვაძე გუშინ „ბათუმს“ შეუერთდა.

არჩვაძეს „ბათუმის“ შემადგენლობაში XI ეროვნულ ჩემპიონატშიც უთამაშია. სწორედ ამ გუნდიდან გადავიდა იგი ერთი წლის წინ ჩემპიონ „ტორპედოში“ და გასული სეზონიც ქუთაისურ კლუბში ჩაამთავრა, მაგრამ ქუთაისში არჩვაძის საქმე ბოლო დროს ვერ აეწყო კარგად და რუსთაველმაც კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა.


ზურაბ არჩვაძემ (შუაში) „ბათუმი“ ირჩია

აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელს „გორდას“ შემადგენლობაში ერთი მატჩიც კი არ ჩაუტარებია. ცოტა ხნის წინ იყო იმის შანსი, არჩვაძე „გორდას“ შეერთებოდა, მოსამზადებელი ეტაპიც რუსთავში გაიარა, მაგრამ კლუბმა მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ შეძლო და ზურამაც ნაცნობ „ბათუმს“ მიაშურა.

— ყველაფერი გადაწყვეტილია, „ტორპედოსთან“ შევთანხმდით და არჩვაძე ისევ „ბათუმელია“ — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას ზღვისპირელთა მთავარმა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ.

„ბათუმში“ სიახლე სხვაცაა. ბალაძის თქმით, ფაქტობრივად, დასრულდა გუნდის დაკომპლექტების პროცესი.

არჩილ ოლგესაშვილის მსგავსად კლუბმა უარი თქვა ექსიბერიელ შალვა ლაცაბიძეზეც, მათ სანაცვლოდ ბათუმელებმა კონტრაქტი გაუფორმეს ვახტანგ თურმანიძეს, გია ჩხაიძეს, ზვიად გვაზავას და წარმატებით დაასრულეს მოლაპარაკება მერანელ შალვა ხუჯაძესთან. ახალი სეზონიდან ეს ფეხბურთელიც „ბათუმში“ ითამაშებს.

გუნდის დაკომპლექტება ამით დასრულდა, არავის დამატებას აღარ ვაპირებთ, ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ჩემპიონატამდე დარჩენილი პერიოდის ნაყოფიერად გამოყენებაა — გვითხრა ასლან ბალაძემ.

„ბათუმმა“ კვირას მეხუთე საკონტროლო მატჩი გამართა. ზღვისპირელებს მეტოქედ ლანჩხუთის „გურია“ ჰყავდათ და პაატა მაჭუტაძის გოლით 1:0 იმარჯვეს.

დღეს „ბათუმი“ მშობლიურ „დინამოზე“ ტრადიციულ სპარინგ-პარტნიორს თურქულ „ხოფასფორს“ უმასპინძლებს. თურქებთან ბათუმელები მეორე შეხვედრას 22 ივლისს გამართავენ „დინამოზევე“, პარალელურად კი ჩემპიონატის დაწყებამდე ჩაქვში მოემზადებიან. ჩაქვის „ოაზისში“ ბალაძის გუნდი ხვალ შეიკრიბება.

**პაატა ძგანტალიანი**

# რომმოს კახეთში დასხმა
## მერანი მარუშლას ყვავილნარიდან იწყებს

**მეცამეტე** ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას აგრძელებს თბილისის „მერანი“. ავჭალელები უკვე ერთი კვირაა ლაგოდეხში იმყოფებიან შეკრებაზე. მზადებასთან ერთად დედაქალაქური კლუბი ამხანაგურ მატჩებსაც მართავს, რაზეც „სარბიელის“ წინა ნომრებშიც მოგახსენეთ. ერთ-ერთი ბოლო საკონტროლო შეხვედრა კი მერანელებმა რეგიონულ ლიგელ „ჭაბუკიანთან“ ჩაატარეს და 3:2 გაიმარჯვეს. „მერანელთაგან“ გოლები კოშკაძემ (წყვილად) და მუშკუდიანმა გაიტანეს. მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ „ჭაბუკიანთან“ გუნდი ორი განსხვავებული შემადგენლობით ათამაშა. მომდევნო მატჩს „მერანი“ პირველლიგელ „ლოკომოტივ 3“-თან გამართავს, რომელსაც შეკრების ბოლო დღეს, 18 ივლისსაც დაუპირისპირდება.

ოთარ გაბელიას განკარგულებაში ამჟამად ოცდახუთი ფეხბურთელია, თუმცა მათი რიცხვი მალე ოცამდე შეიკვეცება და გუნდის შემადგენლობაც საბოლოო სახეს მიიღებს. როგორც „მერანის“ მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, ავჭალელები მომავალი სეზონისთვის ნაყოფიერად ემზადებიან. გუნდში ტრავმირებული ჯერჯერობით არავინაა, მხოლოდ რომეო გოგიტაძეს გაუცდა ხუთი დღე, მას სიცხე ჰქონდა. ამჟამად იგი გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

„მერანი“ თბილისში 18 ივლისს დაბრუნდება და მეორე დღეს, ჯერჯერობით უცნობ მეტოქეს შეხვდება საკონტროლო მატჩში, 20 ივლისს კი გეზს ყვავილნარისკენ აიღებს და იქ გააგრძელებს მზადებას. ყვავილნარში ავჭალელები 28 ივლისამდე გაჩერდებიან და იქიდანვე ეწვევიან ლანჩხუთს სეზონის სადებიუტო მატჩის გასამართად.

**კახა შალამბერიძე**


ოთარ გაბელია

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *რევაზ ძოძუაშვილი* | ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (კოლხეთი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (დინამო), პ. ჯინჭარაძე (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი), ა. შეყრილაძე (სამგურალი), კ. ჩხეტიანი (დებრეცენი, უნგრეთი), ვაჩიბერაძე, არჩვაძე (ბათუმი), დ. ჯანაშია (ტრანსფერზეა), ტოგონიძე, ლევან სილაგაძე (?) | სტურუა (თსუ), აკოფიანი (დილა), ლ. ქელიძე, ბერელიძე, გამეზარდაშვილი (ინტერი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონოვი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), პოროშინი (შერიფი, მოლდოვა), თ. მალანია (სკონტო 2, ლატვია), ძამსაშვილი (იბერია), გ. ჩხეტიანი (შევარდენი, ქუთაისი) | სამგურალი 0:0, 2:1, გურია 5:0, ბათუმი 4:2, მეტალურგი 6:1, 1:0, 8:1, ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 0:0, სიონი 5:1 |
| **ლოკომოტივი** *კახა ცხადაძე* | გ. შენგელია, პარამონოვი (ტორპედო), გივი კვარაცხელია (სკონტო, რიგა, ლატვია), ასლანაძე (გურია); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, დინამო) | დ. გოდერძიშვილი, დავითნიძე (მერანი), ძოძუაშვილი (ერზერუმსფორი 2, თურქეთი), წერეთელი (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კობერიძე, ხურცილავა (ლოკომოტივი 3), სირბილაძე (თბილისი), გელა ქორიძე (ბათუმი); კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 1:1 |
| **დინამო** *გივი ნოდია* | ი. შენგელია (მერანი), ხაჩირაშვილი (გორდა) | შალამბერიძე, შავგულიძე (კოლხეთი), ხუციშვილი (მერანი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (ტორპედო), ამისულაშვილი (იბერია), დარასელია (ცსკა, კიევი, უკრაინა), მამალაძე (ინტერი), ბ. შელია (დინამო 2), მიქავა (ტრაბზონსფორი 2, თურქეთი), ვ. ქუთათელაძე (?); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | ფრაიბურგი (გერმანია) 0:1, მატლახ შპორტფერაინი (მოყვ, გერმანია) 4:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *ჯანი კარნევალი* | | ლ. კვარაცხელია, ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია 2), მამარდაშვილი, არეშიძე, ზ. მეტრეველი, ბეროშვილი (თსუ), ზაზაშვილი (ხალიბი), თევდორაძე (ტავრია, უკრაინა) | რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:6, 1:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | შალამბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუჭუა (გურია), ღალანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი) | ივეჩიანი (იბერია), მიქელთაძე (იბერია), ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (ტორპედო), ქუტიძე (ქობულეთი), გიორგი კვარაცხელია, მ. ფილია (კოლხეთი 2) | სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, ქობულეთი 2:1, 2:0, დობრუჯა (ბულგარეთი) 1:0, ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) 0:2 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | დევაძე (პოლიგრაფტეხნიკა, ოლექსანდრია, უკრაინა), დ. გოდერძიშვილი, დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კოროშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე (ბათუმი), ქადაგიძე (ბათუმი), გ. კვეტენაძე (იესილი, კოქჩეტავი, ყაზახეთი), მ. მინაშვილი, დევიძე, თოლორდავა, ხუჯაძე, ივანიშვილი, ოდიშარია (?) | რევაზიშვილი (დილა), ი. შენგელია (დინამო), დავითაშვილი (სიონი), გაგუა, ხიზანიშვილი (იბერია), თ. ჩხაიძე, ჯ. თოდუა, ავალიანი, ნათობაძე, ფურცელაძე (ამირანი), მინჯია (თსუ), დათუნაშვილი (თბილისი), გაბელია (არ თამაშობდა), მუშკუდიანი (?, ბულგარეთი) | თსუ 3:2, ჭაბუკიანი 3:2 |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | მჟავანაძე (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა), კაკაბაძე (ტორპედო მაზ, მინსკი, ბელარუსი), გელა ქორიძე (ლოკომოტივი), პაპიძე, მახარაძე, ღლონტი, ა. მუჯირი, ყულეჯიშვილი (?) | თურმანიძე (სამგურალი), გ. ჩხაიძე (მერანი), ზ. გვაზავა (თსუ), გალოგრე (ინტერი), ვაჩიბერაძე, არჩვაძე (ტორპედო), ჭითანავა (ბათუმი 2), ქადაგიძე (მერანი) | კოლხეთი 1:2, ტორპედო 2:4, სამგურალი 3:0, გურია 1:1, 1:0 |
| **სიონი** *ფირუზ რეხვიაშვილი* | ისიანი (ტორპედო), ასპინძელაშვილი (მილანი), დავითაშვილი (მერანი), კ. მეტრეველი, გაბისონია (?), სოლოლაშვილი (თამაში მიატოვა); სპარტაკ არჩვაძე (მთავარი მწვრთნელი) | რ. ხაჭაპურიძე, ხორგუაშვილი (დილა), დაუშვილი (არ თამაშობდა), გლუნჩაძე (თორი); ფირუზ რეხვიაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ნორჩი დინამოელი 2:0, ტორპედო 1:5 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | სოხაძე (თსუ); თ. მეტრეველი, ა. გელაძე, ს. ბაჩილავა, მჭედლიძე (?), გუგუნავა (თამაში მიატოვა); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | ვ. კილასონია, გ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), კოროშინაძე (მერანი), ზვ. ლაბაძე (თსუ), ნ. ლობჟანიძე (უეფასგან დისკვალიფიცირებულია), ხაჩირაშვილი (დინამო); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ლოკომოტივი 1:1, თსუ 2:0, ზოოვეტი 5:2 |
| **გურია** *ზაზა გურიელიძე* | დ. მინაშვილი, ძნელაძე (?), კირკიტაძე (?, გერმანია) | ასლანაძე (ლოკომოტივი), მარლიშვილი (ცხინვალი), ნინუა (იბერია), ყუფარაძე, ტაბატაძე, ნ. ბაქრაძე, სიამაშვილი (ლოკომოტივი 3), მგელაძე (მერცხალი), ხუჭუა (კოლხეთი), ებრალიძე (თსუ) | ტორპედო 0:5, ბათუმი 1:1, 0:1 |
| **მეტალურგი** *ვასილ ჭეიშვილი* | აჭარაძე, ფანცხავა, მახათაძე (?) | ჯ. თავბერიძე (ინტერი), ჭყონია (მილანი), სუხიაშვილი (თორი), ლ. ხმალაძე (იბერია) | ტორპედო 1:6, 0:1, 1:8, სამგურალი 1:2 |
| **სამგურალი** *გია გიგატაძე* | კვერნაძე (დებრეცენი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), ვადაჭკორია (?) | ა. შეყრილაძე (ტორპედო), ო. ფხაკაძე (ოკეანე), ნებიერიძე (მეტალურგი, პერნიკი, ბულგარეთი), კ. ჯანაშია (თორი), ხუნდაძე (ქიაფაზი, განჯა, აზერბაიჯანი), ნაროუშვილი (ინტერი) | კოლხეთი 0:1, ტორპედო 0:0, 1:2, მეტალურგი 2:1, ბათუმი 0:3 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**




გოჩა ჯამარაული

# ჯამარაული შკან დააბრუნეს ყაველაშვილის ორით ციურიხის მეორე

**კვლავ** გაიმარჯვა ჩვენებურების „ციურიხმა“. გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის გუნდმა ამჯერად, მეორე ტურში, შინ „სენტ გალენი“ დაამარცხა და ქულათა მაქსიმუმით შვეიცარიის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა. სამი მატჩის შემდეგ შვიდი ქულით კი „სიონი“ ლიდერობს.

წინა ტურისგან განსხვავებით, „სენტ გალენთან“ 90 წუთი ითამაშა გოჩა ჯამარაულმა და მიხეილ ყაველაშვილთან ერთად მატჩში საუკეთესოდაც დაასახელეს. ყაველაშვილმა არც ამჯერად დატოვა მოედანი უგოლოდ, ორჯერ გაიტანა და ბომბარდირთა შორისაა, ჯამარაულის პასმა კი თავიდან დაწინაურებულ მეტოქესთან „ციურიხს“ ანგარიში გაათანაბრებინა.

— ძალიან დაძაბული მატჩი იყო. პირველად სტუმრებმა გაგვიტანეს და შეტევის საშუალებაც არ მოგვცეს — გვითხრა გოჩა ჯამარაულმა — „სენტ გალენს“ ანგარიშის გათანაბრებამდე დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ჩემი პასით შასომ რომ გაიტანა, მერე თამაში ჩვენი იყო. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მიხეილ ყაველაშვილმა ორ წუთში ორჯერ შეაგდო, სამ წუთში „სენტ გალენმა“ ერთიც გაგვიტანა. მერე კი სტუმრებმაც და ჩვენც ძალიან ბევრი მომენტი გავაცუდეთ. ყოველ წუთს შეიძლებოდა, გოლი გასულიყო, მაგრამ მეკარეებმა იყოჩაღეს. სასიამოვნოა, რომ მეორე მატჩიც მოვიგეთ. ყველა ამბობს, „ციურიხი“ შარშანდელზე უკეთესი გუნდიაო.

**— შენი თამაშით კმაყოფილი დარჩი?**

— უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. ერთი საგოლე პასი გავაკეთე, ორჯერ პარტნიორები მეკარესთან პირისპირ დავტოვე. მგონი, გუნდისთვის სასარგებლო ვიყავი. მწვრთნელმაც შემაქო და ჟურნალისტებისგან ყაველაშვილთან ერთად ყველაზე მაღალი შეფასება დავიმსახურე.

**— ისევ თავდასხმაში ითამაშე?**

— არა, ახალმა მწვრთნელმა ძველ პოზიციაზე დამაბრუნა — თავდამსხმელების უკან. ორი ფორვარდით ვთამაშობდით, მათგან ერთი, ყაველაშვილია და მეც მათი პასებით მომარაგება, შეტევის ორგანიზება მევალება. ისე ვატყობ, ბრეგი სათამაშო ამპლუას ხშირად შემიცვლის. ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშებზე თავდამსხმელობასაც მავალებს.

**— ორი თავდამსხმელით ვთამაშობთო, თქვი და წინ ყაველაშვილთან შეგაწყვილებს?**

— თუ ასე გადაწყვიტა, ალბათ, წყვილში მიშასთან ერთად ვითამაშებ. არა მგონია, თავდასხმაში ბრეგმა მიშას სხვა ფორვარდი ამჯობინოს. ყაველაშვილი ახლა ჩინებულ ფორმაშია და გუნდის ლიდერად ითვლება.

**— ორ თამაშში ექვსი ქულა. ეტყობა წლეულს დიდი ამბიცია გაქვთ.**

— ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი საკმაოდ ამბიციური გვყავს, ჯერჯერობით, ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრას გვთხოვს. ვფიქრობ, ეს არ უნდა გაგვიჭირდეს. გაზაფხულიდან კი ვნახოთ, რა იქნება.

**კობა ინასარიძე**

## ინტერტოტოს თასი 2001
### მესამე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები

INTERTOTO CUP

**ტავრია (უკრაინა) 0:1 პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)**
0:1 პაინცე (52)
ტავრია: ველიჩკო, ნაზაროვი, პოლიაკოვი, ზაბრანსკი (კუნდენოკი 40), მიტროფანოვი, მოჩულიაკი, დონიუშკინი, კრავჩენკო, ვ. გიგიაძე, ტრაპაიძე (უვაკვე 86), ფოკინი (ბოიცანი 34)
მწვრთნელი: ვალერი პეტროვი
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, გ. პაინცე, პოტილიონი, დეუ, ბენარბია (ე. სისე 76), ოკოჩა, რობერი (მენდი 72), ელ კარკური, პარალო, დიუკრო, იროუ (ალოიზიო 55)
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)
18 000 მაყურებელი

**ბრეშა (იტალია) 2:1 ტატაბანია (უნგრეთი)**
1:0 სალგადო (22), 2:0 გუანა (30), 2:1 ტუსკე (33)
ბრეშა: ალიარდი, პიზანო (კორტელინი 57), ბენარდო, დანოტი, მერო, იავორჩიჩი, კორეა, დელ ნერო (ტადიდი 66), გუანა, პედროკი (კარაჩიოლი 46), მ. სალგადო
მწვრთნელი: ლეონარდო მენიკინი (თანაშემწე)
ტატაბანია: ბალოგი, დ. ფარკაში, შუცი (პორნიაკი 65), ვ. ფარკაში, ვებერი (ობრადოვიჩი 71), ტუსკე, კისი, შაფრანეკი, იერემიევი (ტიოლცკი 85), ლეტენიე, პეკოვიჩი
ვალერი ზირაძაძე განაცხადში ვერ მოხვდა; მწვრთნელი: ფერენც ებედლი
გაფრთხილება: შუცი, ბალოგი, კისი
გაძევება: პეკოვიჩი (46)
5 676 მაყურებელი

**ბლშანი (ჩეხეთი) 0:0 პობედა (მაკედონია)**

**სლავენი (ხორვატია) 2:1 ასტონ ვილა (ინგლისი)**
1:0 ჩრნაკი (60), 1:1 ჟინოლა (88), 2:1 გერჩაკი (89)

**ვერდერი (გერმანია) 2:3 გენტი (ბელგია)**
1:0 და სილვა (27), 1:1, 1:2 ოიავოლე (59, 74), 2:2 და სილვა (82), 2:3 ანიჩი (84)

**ცელიე (სლოვენია) 1:1 ლოზანა (შვეიცარია)**
1:0 ბრულიჩი (70), 1:1 მარგაირასი (81)

**ბაზელი (შვეიცარია) 2:1 ჰერენვენი (ჰოლანდია)**
1:0 კუმანტარაკისი (13), 2:0 იაკინი (21), 2:1 ნურმელა (52)

**ლოკერენი (ბელგია) 0:4 ნიუკასლი (ინგლისი)**
0:1 ე. ქუინი (13), 0:2, 0:3 ამეობი (23, 39), 0:4 ლუა ლუა (85)

**ვოლფსბურგი (გერმანია) 4:3 დინამო (მინსკი, ბელარუსი)**
1:0 იუსკოვიაკი (5), 1:1 კაჩურო (7), 2:1 პეტროვი (33), 3:1 აკონორი (38), 4:1 იუსკოვიაკი (60), 4:2 ლედზიანიუ (69), 4:3 კაჩურო (80)

**ტრუა (საფრანგეთი) 2:1 აიკ (შვედეთი)**
1:0 გუსე (55), 1:1 ეკლუნდი (70), 2:1 გუსე (80)

**რენი (საფრანგეთი) 5:0 სინოტი (ჩეხეთი)**
1:0 მონტერუბიო (19), 2:0 ლუკა (55), 3:0 მონტერუბიო (58), 4:0, 5:0 პიკიონი (85, 90)

**ვალვაიკი (ჰოლანდია) 1:2 მიუნხენ 1860 (გერმანია)**
1:0 ვან დენ ბერგი (19), 1:1 ჰესლერი (44), 1:2 მაქსი (72)




„ტავრია“ — პსჟ. ჯეი-ჯეი ოკოჩა და ბორის პოლიაკოვი

# გიგიაძემ გახაზა შავი ზღვა უჩეს აუზია

**ინტერტოტოს** თასზე ჯერაც ვერმოგებულმა, მაგრამ ბედის წყალობით მესამე ეტაპზე მოხვედრილმა უკრაინულმა „ტავრიამ“ კვირას ყველაზე ტიტულიან მეტოქეს უმასპინძლა. ქართველების გუნდს მეტოქედ ერთ დროს მრისხანე ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ ერგო. ყირიმელთა სასტარტო შემადგენლობაში ორივე ქართველი — ვასილ გიგიაძე და გოჩა ტრაპაიძე მოხვდა.

სიმფეროპოლელებს სახელოვანი მეტოქის დამარცხების დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ გამოცდილ ფრანგებთან ვერაფერს გახდნენ. პსჟ-მ დებიუტშივე სცადა საქმის მომთავრება და რომ არა მეკარე ველიჩკოს თავგამოდება, მიზანსაც მიაღწევდა.

პარიზელებმა გადამწყვეტი გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს. შეტევაში ჩართულმა დანიელმა მცველმა გაბრიელ ჰაინცემ თხუთმეტი მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაახვია ბურთი ბადეში. მასპინძლები გოლმა გამოაფხიზლა და „ტავრიას“ რამდენჯერმე გათანაბრებაც შეეძლო. ორჯერ შეცვლაზე შესულმა კუნდენოკმა ვერ გამოიყენა კარგი შანსი, ერთხელ კი ვასილ გიგიაძემ გაჭრა პარიზელთა მარცხენა ფრთა, თუმცა მის ჩაწოდებულ ბურთს პსჟ-ს კარის ხაზთან თანაგუნდელთაგან ვერავინ დაუხვდა.

მატჩის ბოლოს „ტავრიას“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი პეტროვმა ტრაპაიძის ნაცვლად ორიოდე წლის წინ „ბათუმში“ მოვარჯიშე ნიგერიელი უჩე უვაკვე შეუშვა მოედანზე, თუმცა ამ უკანასკნელს თავი არაფრით გამოუჩენია.

ნამატჩევს პარიზელთა თავკაცმა ლუის ფერნანდესმა მაღალი შეფასება მისცა „ტავრიას“ თამაშს და სიმფეროპოლელები დაამშვიდა, არაფერი დაგიკარგავთ, ყველაფერი საპასუხო მატჩში გადაწყდებაო. პსჟ „ტავრიას“ 22 ივლისს ტულუზში უმასპინძლებს.

ინტერტოტოს თასზე უქმეებზე ჩატარებული მატჩებიდან მეოთხე ეტაპის საგზური, ფაქტობრივად, ორმა გუნდმა ვადაზე ადრე გაინაღდა. ინგლისურმა „ნიუკასლმა“ სტუმრად ბელგიური „ლოკერენი“ გაანადგურა, ინტერტოტოს თასის გამოცდილმა ბინადარმა „რენმა“ კი შინაურ კედლებში შანსი არ დაუტოვა ჩეხურ „სინოტს“.

გარკვეულწილად სენსაციური იყო „ასტონ ვილას“ მარცხი ხორვატულ „სლოვენთან“. ინგლისელებმა 87-ე წუთზე შეძლეს გათანაბრება. გოლი დავიდ ჟინოლამ შეაგდო, როდესაც 16 წუთის შესული იყო მოედანზე, თუმცა, საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე გორან გერჩაკმა თავისიანებს გაამარჯვებინა.

მოკრძალებული გამარჯვება იკმარა იტალიელთაგან მიმდინარე ევროსეზონში პირველად მოთამაშე „ბრეშამ“. მეორე შემადგენლობით მოთამაშე აპენინელებმა შინაურ კედლებში ვალერი ზირაქაძის „ტატაბანიას“ სძლიეს. ქართველს ამ მატჩში არ უთამაშია, მეტიც, სათადარიგოთა შორისაც არ მჯდარა.

დიდი წინააღმდეგობა გაუწია მინსკის „დინამომ“ სტუმრად „ვოლფსბურგს“. ექსსაბჭოელები 69-ე წუთამდე 1:4-ს აგებდნენ, მაგრამ სხვაობის მინიმუმამდე შემცირება შეძლეს, რითაც მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნეს.

უბერებელი თომას ჰესლერის ძალისხმევით „მიუნხენმა“ სტუმრად „ვალვაიკს“ სძლია. გერმანელებს ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ჰესლერმა ჩვეული, მოხდენილი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრებინა, მეორე ტაიმში კი მარტინ მაქსმა ჰესლერისვე პასით გამარჯვებისა გაიტანა.

**ბაატა ქვანტალიანი**

# იმედაძე კარგია, მაგრამ ძვირია
## ქუთაისური დოლარის კურსი სამარისთვის მაღალია

**ქუთაისის** „ტორპედოს“ თავდამსხმელი გიორგი იმედაძე, რომელიც ერთი კვირა რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ სამარის „კრილია სოვეტოვში“ ვარჯიშობდა, უკანვე დაბრუნდა.

„კრილია სოვეტოვის“ პრესატაშე არნოლდ ეპშტეინის თქმით, რომელსაც გუშინ სამარაში დავუკავშირდით, ტრანსფერის ჩაშლის მიზეზი ფულია, „კრილია“ და „ტორპედო“ იმედაძის სანაცვლო თანხაზე ვერ შეთანხმებულან, იმედაძესაც პარასკევს ბოლოჯერ უვარჯიშია ამ სეზონში ძალიან მომძლავრებულ სამარულ გუნდთან ერთად და გუდანაბადიც აუკრავს.

არადა, „კრილიას“ მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი ჩვენებური ფორვარდის მომზადების დონით ერთობ კმაყოფილი დარჩენილა, უთქვამს კიდეც, სასურველია იმედაძესთან კონტრაქტი გავაფორმოთო, თავად ფეხბურთელიც „კრილიაში“ თამაშზე თანახმა ყოფილა, მაგრამ საქმე რომ ფულზე მიდგა...

ისე, სამარაში გიორგი იმედაძესთან ერთად რამდენიმე ქართველიც ვარჯიშობდა, თუმცა ტარხანოვის მოთხოვნები ვერავის დაუკმაყოფილებია.

იმედაძის მომავალი კლუბის ვინაობა კი ჯერჯერობით უცნობია.

**ლუკა თალაკვაძე**



გიორგი იმედაძე (ბურთით) ჯერ უგუნდოდაა

40° Copa América
# Colombia 2001
11 al 29 de julio

A ჯგუფი. II ტური

**ჩილე 1:0 ვენესუელა**
1:0 მონტესინოსი (79)

**კოლუმბია 1:0 ეკვადორი**
1:0 არისტისაბალი (30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| კოლუმბია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ვენესუელა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

*III ტური, 17 ივლისი: ეკვადორი — ვენესუელა*
*კოლუმბია — ჩილე*

B ჯგუფი. II ტური

**ბრაზილია 2:0 პერუ**
1:0 გილერმე (10), 2:0 დენილსონი (86)

**პარაგვაი 0:0 მექსიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

*III ტური, 18 ივლისი: პერუ — მექსიკა*
*ბრაზილია — პარაგვაი*

C ჯგუფი. I ტური

**ურუგვაი 1:0 ბოლივია**
1:0 ჩევანტონი (64)

**კოსტა რიკა 1:0 ჰონდურასი**
1:0 ვანჩოპე (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ურუგვაი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბოლივია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჰონდურასი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

*II ტური, წუხელ: ურუგვაი — კოსტა რიკა*
*ჰონდურასი — ბოლივია*
*III ტური, 19 ივლისი: ბოლივია — კოსტა რიკა*
*ჰონდურასი — ურუგვაი*

# ბრაზილიამაც მოიგო!
## ჩილე და იღბალი დაქმობილდნენ


REUTERS ბარანკილადან

კოლუმბია — ეკვადორი. მფრინავი ეკვადორელი ედვინ ტენორიო

**სამხრეთ ამერიკის** ჩემპიონატის A ჯგუფის მეორე ტურის ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დასრულდა. შედეგები ლოგიკურია, ფავორიტებმა იმარჯვეს და ამ გამარჯვებებით მეოთხედფინალში ადგილები დაიბევეს. კოლუმბიელებმა და ჩილელებმა ექვს-ექვსი ქულა დააგროვეს და ჯგუფსაც ლიდერობენ.

ბარანკილას „მეტროპოლიტენ სტედიუმზე" ერთმანეთის პირისპირ მასპინძელი კოლუმბიელები და წინა ტურში ჩილელებისგან გვარიანად დაჩაგრული ეკვადორის ნაკრები წარსდგნენ. კოლუმბიელებს ორმოცი ათასი გიჟმაჟი მაყურებლის ემოციური მხარდაჭერაც ამხნევებდათ. ეკვადორელები ერთხანს მწყობრად არცთუ ურიგოდ იცავდნენ თავს. მათი დაცვა შეუვალი იყო და კოლუმბიელებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს მისთვის გასალების მორგება. ვიქტორ ჰუგო არისტისაბალმა ელკინ მურილოს უზადო გადაცემა, რომელმაც მეკარე ხოსე კევალოსთან პირისპირ დატოვა, გამოიყენა და ანგარიში გაიხსნა.

გოლმა კოლუმბიელებს ფრთები შეასხა და ეკვადორიც საკუთარ საჯარიმოში ჩაჯდა. მასპინძლებს კიდევ ბევრი ჰქონდათ გასატანი, მაგრამ თავდამსხმელები აშკარად სცოდავდნენ. არისტისაბალის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა არიაგამ კი ორჯერ ახლო მანძილიდან ისეთი ვერ შეაგდო, ასპროცენტიანი საგოლე რომ ეთქმის.

თამაშის მიწურულიც მასპინძლებისა იყო. ეკვადორელები შიგადაშიგ მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ, კარის უსაფრთხოებისთვის უხეშობასაც არ დარიდებიან, ამისთვის დაისაჯნენ და ალექს აგინაგას საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე მინდვრის დატოვებაც მოუხდა. იგი მომდევნო თამაშსაც გამოტოვებს, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვენესუელასთან გამარჯვების შემთხვევაშიც კი გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობის გამო ეკვადორის მეოთხედფინალური შანსი ძალიან მცირეა.

ჩილეს ნაკრებმა ასევე მცირე უპირატესობით სძლია მაჩანჩალა ვენესუელას. ყველა ელოდა, რომ ეკვადორელების დამანგრეველი მეტოქეს იოლად გაუსწორდებოდა, მაგრამ ვენესუელამ მაყურებელი გააოცა. ვენესუელელები ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ და ჩილელთა კარის დარაჯსაც ხშირად აწუხებდნენ. მატჩის ერთადერთი გოლი მონტესინიოს ანგარიშზეა. ვენესუელელთა კარში გატანილი თავდამსხმელისთვის მესამე აღმოჩნდა და იგი ჯერჯერობით ტურნირის ბომბარდირია.

ნამატჩევს ჩილელთა მწვრთნელმა პედრო გარსიამ თამაში ასე შეაფასა: „ჩვენ უფრო იღბლიანები გამოვდექით. საფინალო სასტვენის შემდეგ შვებით ამოვისუნთქე. ცუდად დავიწყეთ და ასევე ცუდად გავაგრძელეთ, მაგრამ ბედმა გაგვიღიმა, მეტოქეს კი ზურგი აქცია".

კოლუმბიასა და ჩილეს მექსიკის ნაკრებიც დაემატა. პარაგვაისთან უგულო ფრემ ცენტრალურამერიკელებს B ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილი და, აქედან გამომდინარე, მეოთხედფინალში თამაში დაუბევა.

B ჯგუფის მეორე მატჩს კალიში ოცი ათასი გულშემატკივარი დაესწრო. როგორც იქნა, ნავსი გატყდა. ბრაზილიელებმა, რომელთაც ექვს შეხვედრაში ორ ფრესა და ზედიზედ ოთხ მარცხს გამოჰკრეს ხელი, გამარჯვება იზეიმეს. ახალდანიშნული მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი პირველად გილერმემ გაახარა. თავდამსხმელმა თამაშის დასაწყისშივე გახსნა ანგარიში. პერუელები გატანილმა გოლმა გამოაფხიზლა და უკანმოუხედავადაც შეუტიეს. ბრაზილიელებმა ფრთხილად, არაბრაზილიურ, სკოლარისეულ ჩამშლელ ტაქტიკას მიმართეს. „დიდი ფილის" სამშობლოში (ამგვარი სახელითაა ცნობილი სკოლარი) ბიჭები არც უხეშობას ერიდებოდნენ. ამაში მათ მეტოქეც არ ჩამორჩა და შედეგმაც არ დააყოვნა. მსაჯმა პერუელთა შეტევების სულისჩამდგმელის სანტიაგო სალასარი ჟუნინიოსთან უხეშობის გამო გააძევა.

პერუელთა შეტევებს სიმძაფრე დააკლდა. მატჩის მიწურულს კი შეცვლაზე შესულმა დენილსონმა ტეტრაკამპეონების ქომაგებს შესანიშნავი გოლი აჩუქა. იგი მეტოქის საჯარიმოზე შეიჭრა, ოსტატური ფინტებით დაცვა მიმოფანტა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან მეკარე უშანსოდ დატოვა.

ბრაზილიელებს ოთხშაბათს პარაგვაისთან ფრეც აძლევს ხელს. სკოლარის გუნდი ოთხი ქულის მოგროვების შემთხვევაშიც კი მეოთხედფინალშია.

**გიორგი მამარდაშვილი**


REUTERS

ბრაზილია — პერუ. გილერმემ (№9) ბრაზილიის გოლისა და მოგების გემო გაახსენა



ლუის ფელიპე სკოლარი: ეს ერთი...

## ფეხბურთის რუკასთან გოგინაშვილი



**ინგლისურ** კლუბებს, „მიდლსბროს" და „ჩელსის", მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელ სალვა ბალესტას შეძენა სურთ. შეგახსენებთ, რომ ესპანელი ფეხბურთელი მადრიდულ კლუბში ორი სეზონის წინ ჩაირიცხა, მას შემდეგ, რაც სანტანდერის „რასინგის" შემადგენლობაში პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. იტალიური სააგენტოების ცნობით, სალვას შეძენით ტურინის „იუვენტუსიცაა" დაინტერესებული და „ატლეტიკოსთან" განსაკუთრებით მას შემდეგ გააზშირა მოლაპარაკებები, რაც ფილიპო ინძაგი „მილანში" გაყიდა.

**იტალიური „უდინეზეს"** ხელმძღვანელობის განცხადებით, უახლოეს მომავალში ისინი ალბათ მაურიციო განცს გადაიბირებენ „ატალანტადან". 32 წლის ფორვარდი ახლა თავისუფალი აგენტია. მას „მილანთან" კონტრაქტი შარშან ზაფხულში ამოეწურა და ერთი წლით ბერგამოულ კლუბთან დადო ხელშეკრულება. ეს ვადაც გავიდა. გავრცელდა ცნობა, რომ იტალიელის ხელში ჩაგდებას „ესპანიოლიც" ცდილობს, თუმცა თავად განცს სამშობლოში დარჩენა ურჩევნია და უდინურ კლუბში გადავა. მის თავკაც როი ჰოჯსონთან მას ადრეც უმუშავია, როცა „ინტერში" თამაშობდა.

**ჰოლანდიელი** მეკარე ედვინ ვან დერ სარი შესაძლოა ყოფილ კლუბ „აიაქსში" დაბრუნდეს. იგი „იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში ალბათ ვეღარ მოხვდება, რადგან ტურინელებმა ცოტა ხნის წინ იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი შეიძინეს. გოლკიპერის აგენტი აცხადებს, რომ ის მოლაპარაკებებს „ლივერპულთან" და „ბარსელონასთანაც" აწარმოებს. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი ტურინულ კლუბში 1999 წლიდან თამაშობს. 1995 წელს მან „აიაქსის" რიგებში ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

**არგენტინის** ნაკრების მეკარე ხერმან ბურგოსი მადრიდის „ატლეტიკოში" გადავიდა. „ერთი წელიწადია, ამაზე საუბრობდნენ, მოხარული ვარ, საბოლოოდ ტრანსფერი რომ მოგვარდა. იმედი მაქვს, გუნდს პრიმერადივიზიონში ალზევებაში დავეხმარები" — განაცხადა არგენტინელმა, რომელმაც ახალი სეზონიდან „მალიორკასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშს მწვრთნელ ლუის არაგონესთან მადრიდში გადასვლა არჩია. ბურგოსმა კარიერა 1992 წელს „ფერო კარილში" დაიწყო, შემდეგ „რივერ პლეიტში" გადაბარგდა, სადაც ხუთი სეზონი ითამაშა, ხოლო 1999 წელს „მალიორკაში" მოხვდა.

**გერმანელმა** მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა შესაძლოა, ქუვეითის ნაკრები ჩაიბაროს. აზიური სააგენტოების ცნობით, იგი 25 ივლისს ეწვევა ქუვეითს და ალბათ მაშინ მოაწერს კონტრაქტს ხელს. ამ ქვეყნის ნაკრები თებერვლის შემდეგ უმწვრთნელოდაა დარჩენილი და დროებითი ხელმძღვანელი ჰყავს. ზამთარში პოსტი ჩეხეთის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა დუშან უგრინმა დატოვა. ფოგტსმა გერმანია 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახადა. წინა სეზონის ერთ ნაწილში კი იგი „ლევერკუზენს" ედგა სათავეში, თუმცა წარუმატებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს.

**თურქი** მცველი ფათიჰ აკიელი „მალიორკამ" შეიძინა. 23 წლის მოთამაშესთან „შალკე" და „ჰერტაც" აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, თუმცა „გალათასარაის" მოთამაშემ ესპანეთში გადასვლა არჩია. სტამბოლურ კლუბთან ერთად მას უეფას და ევროპის სუპერთასები მოუგია, შარშან კი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც ითამაშა. ფათიჰ აკიელს წლეულს უკვე „მალიორკაში" მიეცემა ჩემპიონთა ლიგაში თავის გამოჩენის შანსი.



# მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა!

## მენდიეტამ დიეტური ლაპარაკი არ იცის

**ესპანეთის** ნაკრებისა და „ვალენსიას“ ვარსკვლავმა გაისკა მენდიეტამ მკაფიოდ განაცხადა, რომ ახალ კლუბში გადასვლა სურს.

„ახლა, მიზეზთა ერთობლიობის გამო, მირჩევნია „ვალენსიამ“ წასვლის უფლება მომცეს. ჩემი წარმომადგენლები სხვადასხვა კლუბებთან უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს“ — განაცხადა მენდიეტამ პრეს კონფერენციაზე.

სხვადასხვა კლუბებს შორის ერთ-ერთი მადრიდის „რეალია“, მერე კი „ლაციო“, ამ საქმისთვის გადადებული 41 მილიონი დოლარით.

„გასულ სეზონში, „ვალენსიაში“, რამდენიმე უსიამოვნო ამბავი მოხდა. მაშინაც კი, როდესაც კარგად ვთამაშობდით, გულშემატკივართა გარკვეული ჯგუფი ჩემს წინააღმდეგ იყო ამხედრებული: ჩემს წინააღმდეგ იყო გუნდის რამდენიმე წევრიც. ცხადია, კრიტიკის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ეს კრიტიკა „ვალენსიაში“ ჩემს კარიერას ასრულებს“ — დასძინა ვარსკვლავმა.

მაგრამ, 27 წლის ფეხბურთელი გადაწყვეტით მაინც არ ამბობს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია.

„სწორად გამიგეთ, რომელიმე კონკრეტულ კლუბში გადასვლას არ ვცდილობ, უბრალოდ „ვალენსიადან“ წასვლაზე მაქვს ლაპარაკი. მიზნად საკუთარი თავისა და ოჯახის ბედნიერება მაქვს დასახული და მეტს არაფერს ვეძებ“ — დააზუსტა შემდეგ მენდიეტამ.

ამასობაში, მისმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ალბერტო ტოლდრამ განაცხადა, რომ მართალია, „რეალის“ ინტერესი მენდიეტასადმი აშკარაა, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონს პირდაპირ არაფერი განუცხადებია.

ერთი სიტყვით, სანამ რაიმე გაირკვეოდეს, „ვალენსიას“ კაპიტანი ძველებურად გააგრძელებს გუნდთან ერთად ვარჯიშს და ამბობს, რომ ეს არანაირ უხერხულობას არ ქმნის:

„ხვალ ჩვეულებრივ შევუდგები ვარჯიშს და დაველოდები რა და როგორ მოხდება. არანაირ განსაკუთრებულ პირობებს არ ვითხოვ, მხოლოდ და მხოლოდ სხვა კლუბებთან მოლაპარაკების უფლება დამრთონ“.

შეგახსენებთ, რომ მენდიეტას „ვალენსიადან“ წასვლაზე ერთი წლის წინაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ, მაშინ კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა პედრო კორტესმა კატეგორიულად განაცხადა, მის მყიდველს 51,2 მილიონი დოლარი უნდა ჰქონდეს გამზადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში სალაპარაკოდაც ნუ მოვაო.

მას მერე, რაც ზინედინ ზიდანი შეიძინა, თითქოს მადრიდის „რეალსაც“ აღარ უნდა ჰქონოდა ფული, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ამ თემაზე ლაპარაკი არ შეწყვეტილა.

„რეალთან“ დაკავშირებით სხვა რამესაც ამბობენ: მართალია, ერთი კვირის წინ პედრო კორტესის გადადგომამ „ვალენსიას“ დირექტორატის სხვა წევრებს მენდიეტას გასაყიდად ხელფეხი გაუხსნა, მაგრამ ასე პირდაპირ, უშუალო კონკურენტისთვის მის მიყიდვას, ალბათ მაინც მოერიდებიანო.

**ბაჩუნა ძიდია**

# ხელფასების ამბავი

## ლარსონმა ოქროს ფეხი გამოყო



დევიდ ბექჰემი

**ბრიტანული** ამბების თხრობა ლონდონიდან მიღებული ცნობით დავიწყოთ: შოტლანდიის ჩემპიონმა „სელტიკმა“ ახალი სეზონისთვის მზადება „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ საწვრთნელი მატჩით დაიწყო და 2:0 გაიმარჯვა. „ლოფტუს როუდზე“ ანგარიში 63-ე წამზევე გაიხსნა, როცა ევროპის „ოქროს ბუცის“ მფლობელმა ჰენრიკ ლარსონმა ალან ტომპსონის პასი მიიღო და დაადასტურა, რომ მისი შეჩერება არც წლეულს იქნება იოლი საქმე. მეორე გოლი მოგვიანებით შეცვლაზე შესულმა ლუბომირ მორავჩიკმა შეაგდო. საინტერესოა, რომ გლაზგოელთა მწვრთნელმა მარტინ ონილმა ამ მატჩში 22 ფეხბურთელი გამოსცადა, მათ შორის კარგა ხნის უთამაშებელი რუსი მეკარე ხარინი და ფინელი დებიუტანტი იონას კოლკა. შეცვლებს არც მასპინძლები მორიდებიან და შედეგად ერთხანს „ქუინზ პარკი“ 12 კაცითაც თამაშობდა, თუმცა გაურკვევლობის გამო მომხდარ ამ ფაქტს მაისში მეორე დივიზიონში დაქვეითებული ლონდონური კლუბისთვის ხეირი არ მოუტანია.

ამასობაში ინგლისის ჩემპიონი აზიური ტურნესთვის ემზადება. კვირას „მანჩესტერ იუნაიტედს“ პირველი მატჩი აქვს მალაიზიაში, სადაც უძლიერესი შემადგენლობით წარსდგება. ცხადია, ითამაშებს დევიდ ბექჰემიც, რომლის პოპულარობაც სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ყველა ნორმას სცილდება. არადა, კლუბმა და დევიდმა ჯერაც ვერ მოახერხეს ახალი კონტრაქტის გაფორმება. „იუნაიტედის“ თავმჯდომარის პიტერ კინიონის ბოლო წინადადება ასეთია: 23,4 მილიონი, ანუ ხუთწლიანი და კვირაში 70 ათას გირვანქიანი ხერშეკრულება, პლუს მილიონი წელიწადში, თუ ბექემი კლუბს თავისი სახელის კომერციულ მიზნებში გამოყენების უფლებას მისცემს. პრინციპში, ნახევარმცველი ამ გარიგებაზე თანახმაა, ოღონდ ხუთის ნაცვლად სამწლიანი კონტრაქტი ურჩევნია, რათა კარიერის ბოლოს უცხოეთში თამაშიც მოასწროს. „მოლაპარაკებები აზიური ტურნეს დამთავრების შემდეგ, აგვისტოს დასაწყისში გაგრძელდება და პრემიერლიგის პირველი მატჩისთვის ალბათ დამთავრდება“ — განაცხადა კინიონმა, რომელმაც ისიც თქვა, წლეულს ჩვენი ბოლო დიდი გარიგება იქნებაო. შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში „იუნაიტედი“ სერ ალექსს ფერგიუსონსაც შეუთანხმდა — შოტლანდიელი მწვრთნელმა ამ სეზონის მერე კიდევ 5 წელი იმუშავებს კლუბში, ოღონდ კონსულტანტად.

თავის გუნდში რჩება კირონ დაიერიც, თუმცა 22 წლის ინგლისელი ნახევარმცველი ამ ფაქტით არცთუ კმაყოფილი ჩანს. მისი „ნიუკასლი“ უარზეა, გაყიდოს ბევრისთვის სასურველი დაიერი. არადა, „ლიდსი“ 15 მილიონის გადახდაზე იყო ყაბულს, თუმცა დევიდ ოლირისაც იგივე პასუხი გასცეს, რაც ადრე ზემოთნახსენებ ფერგიუსონს.

სამაგიეროდ, დავიდ ჟინოლას მიეცა იმედი, მისთვის უიღბლო „ასტონ ვილას“ თავი დააღწიოს და საყვარელ ლონდონს დაუბრუნდეს: 34 წლის ფრანგის შეძენის სურვილი პრემიერლიგაში დაბრუნებულმა „ფულემმა“ გამოთქვა. მოჰამედ ალ ფაედის გუნდი თანახმაა, ჟინოლას კვირაში 20 ათასი გირვანქა გადაუხადოს, თუმცა ბირმინგემელთა მწვრთნელი ჯონ გრეგორი უფრო სხვა გარიგებაზე ფიქრობს — ეგებ ვეტერანი ნახევარმცველი „ვესტ ჰემზე“ გულაცრუებულ პაოლო დი კანიოზე გაცვალოს. იტალიელი გუნდიდან ჰარი რედნაპის წასვლამ გააბრაზა, მაგრამ აღმოსავლეთლონდონელთა ახალი თავკაცი გლენ როოდერი გაბუტულ ვარსკვლავთან შერიგებას ცდილობს.

**გიგა ძოწახიძე**



დავიდ ჟინოლა

# კრისტიან ვიერის მორატიმ ფრთები შეიძლა



მადლობელი ვარ: კრისტიან ვიერი (მარჯვნივ) მასიმო მორატისთან დარჩა

**კრისტიან ვიერიმ** საუბრებს ბოლო მოუღო. გაირკვა ის, რაც ბოლო დრომდე გაურკვეველი რჩებოდა — რა სურს ფორვარდს და, ბოლოს და ბოლოს, ვისთან უნდა იმუშაოს „ინტერის“ ახალმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა.

„მე დარჩენა მინდოდა, მაგრამ იყო რაღაც საკითხები, რომლებიც გარკვევას მოითხოვდა“ — თქვა ვარსკვლავმა — „ჩემს გადაწყვეტილებაზე ძალიან დიდი გავლენა, ახლახან, სერჟიუ კონსეისაუს (პარმადან) და გრიგორის გეორგატოსის (ოლიმპიაკოსიდან) შეძენამ მოახდინა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ფეხბურთელების ყიდვა კლუბს მე ვთხოვე. ვფიქრობ, ამ თხოვნაში გაურკვეველი არაფერი უნდა იყოს. როგორც თავდამსხმელს, დამხმარენი მჭირდება, ხოლო აქეთ-იქით ფრთებიდან კონსეისაუსა და გეორგატოსის მხარდაჭერა, მნიშვნელოვანი იქნება. ახლა, ვფიქრობ, სხვა გუნდებთან ბრძოლის კარგი შანსი გვექნება“.

არადა, სულ ცოტა ხნის წინ ქომაგები ვიერის გვარიანად უტევდნენ, ისმოდა შეძახილები: „შენ „ინტერის“ მაისურას ვერ იცვამ, რადგან „იუვენტუსის“ ქომაგი ხარ“. ვერაფრით დაამტკიცა ფეხბურთელმა, რომ ტურინელებთან არანაირ მოლაპარაკებებს არ აწარმოებდა.

„ზაფხულის არდადეგები ჩინებულად გავატარე“ — ამბობს ის — „ძირითადად ზღვის პირას ვიყავი წამოწოლილი და იმასაც ვახერხებდი, რომ „ინტერსა“ და „იუვენტუსს“ შორის ატეხილ სიტყვა-პასუხსა და მოლაპარაკებებში არ ვმონაწილეობდი. ამ დროს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის პოზიციის შეტყობა და მისგან გავიგე, რომ კვლავ თავის გუნდში სურდა ჩემი თამაში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სწორ გზაზე ვიდექი. ერთი სიტყვით, ბედნიერი ვარ, რომ დავრჩი და, მართალია, მწვრთნელთან ჯერ არ მილაპარაკია, მწამს პრობლემები არ მექნება“.

ასე და ამგვარად, ფეხბურთის გულშემატკივარს კვლავ ეძლევა ვიერისა და რონალდოს დიდი დუეტის ნახვის შანსი.

„ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ ერთად თამაშის შანსი მოგვეცემა. ეს დროის ამბავია, მაგრამ, ვნახოთ. რონალდო დღეს ზუსტად იმ დღეშია, ერთი წლის წინ მე რომ ვიყავი. ასეთ დროს კი ძალიან მნიშვნელოვანია, ვაცალოთ, არაფერი დავაძალოთ“ — გვაფრთხილებს ვიერი.

**ბაჩუნა ძიდია**

### ფინეთი

მე-18 ტური: იოკერიტი — როვანიემი 0:0; ჰიკ — ჯაზი 0:0; მიუპა — ვაასა 1:0; ტამპერე — ლაჰტი 4:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 17 | 11 | 3 | 3 | 30:21 | 36 |
| მიუპა | 17 | 9 | 6 | 2 | 28:14 | 33 |
| ჰიკ | 17 | 7 | 8 | 2 | 28:12 | 29 |
| ჰაკა | 18 | 8 | 5 | 5 | 27:17 | 29 |
| ინტერი | 17 | 8 | 4 | 5 | 27:23 | 28 |
| ატლანტისი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:24 | 23 |
| ლაჰტი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:23 | 19 |
| ვაასა | 16 | 6 | 1 | 9 | 18:22 | 19 |
| კუოპიო | 16 | 4 | 6 | 6 | 11:19 | 18 |
| იოკერიტი | 18 | 4 | 5 | 9 | 20:32 | 17 |
| როვანიემი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:21 | 14 |
| ჯაზი | 15 | 1 | 4 | 10 | 9:25 | 7 |

### პოლონეთი

სუპერთასი

ვისლა 4:3 პოლონია

1:0 პატერი (19), 2:0 ჟურავსკი (36), 2:1 პავლაკი (37), 2:2 ა. ბაკი (57), 2:3 ტრაჩულსკი (70), 3:3 პატერი (74), 4:3 ნიჩინსკი (87)


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



☎ (231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### აფრიკა. VII ტური



ტუნისელები კორეა-იაპონიის ზეიმობენ

# ისხაია წინასწარმეტყველი და მკურნალი კანუ

**A ჯგუფი**

**ზამბია 2:2 კამერუნი**

1:0 ფოუ (52), 1:1 მვევა (60), 1:2 ნდიეფი (64), 2:2 ნსოფვა (66)

**ტოგო 2:0 ლიბია**

1:0, 2:0 კოფი (30, 45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| ანგოლა | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 12 |
| ზამბია | 7 | 2 | 2 | 3 | 10:9 | 8 |
| ტოგო | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| ლიბია | 7 | 0 | 2 | 5 | 5:15 | 2 |

*კამერუნი ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე*
*29 ივლისი: ანგოლა — ტოგო; ლიბია — ზამბია*

**B ჯგუფი**

**სიერა ლეონე 0:1 ლიბერია**

0:1 ვეა (73)

**განა 1:0 სუდანი**

1:0 ე. კუფური (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 8 | 5 | 0 | 3 | 10:8 | 15 |
| ნიგერია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:3 | 13 |
| განა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 |
| სუდანი | 7 | 3 | 0 | 4 | 5:10 | 9 |
| სიერა ლეონე | 7 | 1 | 1 | 5 | 2:12 | 4 |

*28 ივლისი: ნიგერია — განა*
*29 ივლისი: სუდანი — სიერა ლეონე*

**C ჯგუფი**

**ეგვიპტე 8:2 ნამიბია**

1:0 ელ საიდი (4), 2:0 ბარაქათი (37), 3:0, 4:0, 5:0 ბასიუნი (39, 42, 44), 5:1 ნარუსები (52), 5:2 გარისები (69), 6:2 ბარაქათი (72), 7:2 აბუჯერეიშა (77), 8:2 საბრი (87)

**სენეგალი 1:0 მაროკო**

1:0 დიუფი (17)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 8 | 4 | 3 | 1 | 8:13 | 15 |
| ეგვიპტე | 7 | 3 | 3 | 1 | 15:6 | 12 |
| სენეგალი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:2 | 12 |
| ალჟირი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | 7 |
| ნამიბია | 7 | 0 | 2 | 5 | 3:21 | 2 |

*28 ივლისი: ალჟირი — ეგვიპტე*
*ნამიბია — სენეგალი*

**D ჯგუფი**

**კონგოს დრ 0:3 ტუნისი**

0:1 ბადრა (14), 0:2, 0:3 ბაია (51, 53)

**კონგო 1:1 კოტ დივუარი**

0:1 კულიბალი (81), 1:1 ბაკუმა (83პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 8 | 6 | 2 | 0 | 23:4 | 20 |
| კოტ დივუარი | 7 | 4 | 3 | 0 | 17:6 | 15 |
| კონგოს დრ | 7 | 2 | 1 | 4 | 5:15 | 7 |
| კონგო | 7 | 1 | 2 | 4 | 5:14 | 5 |
| მადაგასკარი | 7 | 1 | 0 | 6 | 4:15 | 3 |

*ტუნისი ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე*
*28 ივლისი: მადაგასკარი — კონგო*
*29 ივლისი: კოტ დივუარი — კონგოს დრ*

**E ჯგუფი**

**სამხრეთ აფრიკა 2:0 მალავი**

1:0 მ. ბუთი (6), 2:0 აუგუსტი (55)

**ზიმბაბვე 1:0 ბურკინა ფასო**

1:0 მაკუნიკე (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| ზიმბაბვე | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| ბურკინა ფასო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |
| მალავი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 |

*სამხრეთ აფრიკა ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე*
*28 ივლისი: მალავი — ზიმბაბვე*
*გვინეა მოხსნილია ტურნირიდან*

**მსოფლიოს** 2002 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი აფრიკაში დასასრულს უახლოვდება. თუ წინა, მე-7 ტურმა კამერუნს და სამხრეთ აფრიკას მოუტანა საგზურები, ამჯერად მათ ტუნისიც დაუმმობილდა. კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კინშასაში ჩასულ ტუნისელებს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდათ. მათთვის ეს ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა იყო და მოგებით პირველ ადგილს ინაღდებდნენ, იმ შემთხვევაში, თუ უშუალო კონკურენტი, კოტ დივუარი, კონგოში მასპინძელთა ძლევას ვერ შეძლებდა. ტუნისელებმა შავ დემოკრატებს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და კოტდივუარელთა ფრის ამბავი რომ შეიტყვეს, საკუთარ გულშემატკივრებს კორეა-იაპონიის ბილეთების დროულად შეძენა ურჩიეს.

ძალიან თავდაჯერებულად გამოიყურება სენეგალის ნაკრებიც. C ჯგუფის ლიდერ მაროკოსთან საშინაო შეხვედრაში მასპინძლებმა სრული მობილიზება შეძლეს. აღმოჩნდა, რომ სენეგალელებს საკუთარი მეგოლე ელ ჰაჯი ჰყავთ, რომელმაც მუსტაფა ჰაჯის გუნდს ერთი გაუტანა და თავისიანებს აზიური კონტურები დაანახვა.

ეგვიპტემ ნამიბიას გოლების პირამიდა აუწყო და ამ გამარჯვებით კორეა-იაპონიში წასვლის შანსი შეინარჩუნა. ბოლო ტურში ალჟირი ეგვიპტეს უმასპინძლებს, ნამიბია კი — სენეგალს. თუ ორივემ მოიგო, მაშინ ისინი მაროკოსავით 15 ქულას დააგროვებენ და პირველი ადგილის ბედს ბურთების უკეთესი სხვაობა გადაწყვეტს.

წინა ტურში შინ განასთან დამარცხებულმა ლიბერიამ ჟორჟ ვეას მიერ გატანილი გოლის წყალობით სტუმრად სიერა ლეონეს დამარცხება შეძლო. მიუხედავად ამისა, ლიბერიელთა პირველი ადგილი არამყარია, რადგან მათი ბედი ნიგერიელი სუპერარწივების კლანჭებშია. თუ ამ უკანასკნელებმა ბოლო ტურში შინ განელების ძლევა მოახერხეს, აზიისკენ გასაფრენად მოემზადებიან, ჟორჟ ვეას გუნდს კი ისევ დაცდა მოუწევს. ნიგერიის სპორტის მინისტრი ისხაია აკუ ღრმადაა დარწმუნებული თავისიანების მომავალ: „ჩვენ არა მარტო მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებთ, არამედ ჩემპიონატს მოვიგებთ და თასს შინ წამოვიღებთ.

თავის მხრივ დროს უქმად არ კარგავს ნვანკო კანუ, რომლის სახელობის ფონდი ქველმოქმედებას ეწევა და გულით დაავადებულებს ეხმარება. ასეთი საქმიანობისთვის აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ სულ ახლახან ფეხბურთელი დააჯილდოვა.

რაც შეეხებათ კამერუნელებს, მათ თავი ქუდში აქვთ და გუნდისთვის ახალ მწვრთნელს ეძებენ. კანდიდატურაც საკმაოდ სახელიანი შეურჩევიათ — რუუდ გულიტი. ამბობენ, მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობსო და თუ წარმატებით დასრულდა, „მფრინავი ჰოლანდიელის" „სექსუალური" ფეხბურთი ეგებ აფრიკელებმა უკეთ შეითავისონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სისხლის აღრევა ვენაში
## ჰიცფელდის ირონია: რეალს საუკუნე, მანჩესტერს ფერგიუსონი, ბაიერნს აუტსაიდერობა

**ავსტრო-გერმანული** მეგობრობის ახალი ფურცელი ჩაიწერა ამ ორი ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში. კვირას ვენაში ერთმანეთს „აუსტრია" და მიუნხენის „ბაიერნი" ამხანაგურად გაეჯიბრნენ. მატჩის წინ და მის შემდეგაც, რომელიც სტუმრებმა 2:1 მოიგეს, დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა. პოლიციამ 42 გერმანელი და 3 ავსტრიელი გულშემატკივარი დააპატიმრა. თამაშის დაწყებამდე „ბაიერნის" დაახლოებით 150-მდე მხარდამჭერი ერთ-ერთ ბარში ლუდს მიირთმევდა. შეზარხოშებულმა გერმანელმა იქვე მყოფ ავსტრიელებს ცარიელი კათხები დაუშინეს, ეს არ იკმარეს და სავარძლებიც მიაყოლეს. ამ არეულობის დროს ექვსი გულშემატკივარი და ორი პოლიციელი დაშავდა. მატჩის დასრულებისთანავე კი სამასამდე ავსტრიელი მინდორზე გადაეშვა და სტუმართა ტრიბუნისკენ დაიძრა. საბედნიეროდ, სამართალდამცავებმა მათი დაკავება შეძლეს, სტადიონი კი მტვრევას გადაურჩა.

ახლა, ორიოდ სიტყვით „ბაიერნში" მომხდარ ამბებზეც ვთქვათ. მიუნხენელთა ტექნიკურმა დირექტორმა ული ჰიონესმა განაცხადა, რომ იგი გუნდში სამუშაოდ კიდევ 5 წლით დარჩება, ხოლო თავის შემცვლელად ოლივერ კანი ესახება. „კლუბს 2006 წელს დავემშვიდობები. მაშინ 55 წლის ვიქნები, ეს წასვლისთვის კარგი ასაკია. რაც შეეხება კანს, მასაც ისევე უყვარს „ბაიერნი", როგორც მე. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ და ამ საკითხს შემოდგომისთვის გადავწყვეტთ".

მისივე თქმით, იგი კლუბში უკიდურესი ცვლილებების განხორციელებას აპირებს, მათ შორის ახალი სტადიონის აშენებას. ჰიცფელდმა კი, რომელიც ამას წინათ შტეფან ეფენბერგის გუნდიდან შესაძლო გაშვებაზე ლაპარაკობდა, ბრძანა: „ეფენბერგს სურს, ყველას დაუმტკიცოს, რომ შესანიშნავ ფორმაშია. შტეფანი საკუთარ თავს ეკითხება: როგორ ემშვიდობება დიდი ფეხბურთელი დიდ ფეხბურთს? — სასურველია, ჩემპიონის ტიტულით".

„ბაიერნის" მწვრთნელი „მანჩესტერ იუნაიტედისა" და მადრიდის „რეალის" გაძლიერებამაც სერიოზულად დააფიქრა. ამ ორ გუნდს უეჭველად ჩემპიონთა ლიგის მოგება სურთ. „რეალს" ამის მიღწევა თავისი ასწლოვანი იუბილესთვის განუზრახავს, „მანჩესტერს" კი უნდა, თასი ფერგიუსონს მიუძღვნას, რადგან იგი გაისად, მაისში თანამდებობის დატოვებს. თანაც ფინალური მატჩი სერ ალექსის მშობლიურ ქალაქში, გლაზგოში ჩატარდება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ აუტსაიდერები ვართ, თუმცა ეს მოგვწონს კიდეც" — დასძინა ოტმარ ჰიცფელდმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS

ავსტრიელებმა და გერმანელებმა საქმე სტადიონზეც გაარჩიეს

## შვეიცარია

**II ტური**

**A ჯგუფი**

**ციურიხი 3:2 სენტ გალენი**

0:1 ჯეფერსონი (22), 1:1 შასო (27), 2:1, 3:1 ყაველაშვილი (48, 49), 3:2 დელ სანტო (53)

ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, ჯანინი (პალასი 37), მარტინ შტოკლასა, კვენტინი (ჩინაბა 51), ბელინგა, ჯამარაული, ბიულმანი, მაგრო, შასო (მელდმანი 78), ყაველაშვილი

მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი

გაფრთხილება: ჯამარაული

8 300 მაყურებელი

**არაუ 3:2 ლუცერნი**

0:1 კოხი (17), 1:1 ჟილ და სილვა (20), 2:1, 3:1 ტარონე (24, 51), 3:2 ვიდერკერი (53)

**ქსამაქსი 0:0 სიონი**

**ლუგანო 5:3 გრასჰოპერი**

1:0 ბასტიდა (14), 2:0 მანინი (31), 3:0, 4:0 ხიმენესი (33, 41), 4:1 პოდელი (63), 5:1 მანინი (64), 5:2 პოდელი (67), 5:3 იპოლიტი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:1 | 7 |
| ციურიხი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ლუგანო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| იანგ ბოიზი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| სენტ გალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| არაუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გრასჰოპერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| ბაზელი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:9 | 3 |
| ქსამაქსი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ლუცერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლოზანა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| სერვეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**B ჯგუფი**

მე-2 ტური: ბადენი — დელემონი 2:2; კარუჟი — კონკორდია 2:2; კრიენსი — ვადუცი 2:1; ტუნი — ივერდონი 4:2; ვილი — ლოკარნო 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| ბადენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| კარუჟი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| დელემონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კრიენსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ტუნი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| კონკორდია | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ვინტერტური | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვადუცი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბელინცონა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ივერდონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| ლოკარნო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## უკრაინა

მე-2 ტური: დინამო — შახტარი 2:2; ზაკარპატია — დნიპრო 0:0; მეტალურგი (მარიუპოლი) — ვორსკლა 1:0; კარპატი — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 2:1; მეტალურგი (დონეცკი) — მეტალისტი 5:0; პოლიგრაფტექნიკა — ცსკა 1:0; კრივბასი — ტავრია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. დონეცკი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| შახტარი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 |
| დნიპრო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მ. მარიუპოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ტავრია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| კარპატი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| მეტალისტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:6 | 3 |
| პოლიგრაფტექნიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:5 | 3 |
| კრივბასი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზაკარპატია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| ვორსკლა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ცსკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მ. ზაპოროჟიე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## ბელარუსი

მე-13 ტური: ნემანი — შახტიორი 1:0; ბელშინა — გომელი 1:0; ტორპედო მაზი — დინამო (ბრესტი) 1:0; ლოკომოტივი 96 — ნაფტან დევონი 4:0; დნეპრ-ტრანსმაში — მოლოდეჩნო 4:2; ბატე — დინამო (მინსკი) და ვედრიჩი — სლავია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბატე | 12 | 9 | 2 | 1 | 31:14 | 29 |
| ბელშინა | 12 | 8 | 2 | 2 | 17:6 | 26 |
| ნემანი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:7 | 25 |
| შახტიორი | 13 | 6 | 4 | 3 | 17:11 | 22 |
| სლავია | 12 | 6 | 2 | 4 | 22:12 | 20 |
| გომელი | 13 | 6 | 2 | 5 | 13:11 | 20 |
| დინამო (მინსკი) | 10 | 6 | 1 | 3 | 22:10 | 19 |
| დნეპრ-ტრანსმაში | 13 | 6 | 1 | 6 | 20:21 | 19 |
| ტორპედო მაზი | 12 | 5 | 3 | 4 | 13:15 | 18 |
| დინამო (ბრესტი) | 13 | 5 | 1 | 7 | 13:19 | 16 |
| მოლოდეჩნო | 13 | 3 | 3 | 7 | 11:24 | 12 |
| ლოკომოტივი 96 | 13 | 3 | 1 | 9 | 10:26 | 10 |
| ვედრიჩი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:24 | 7 |
| ნაფტან დევონი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:25 | 4 |

## უნგრეთი

1-ლი ტური: ვიდეოტონი — შოპრონი 1:0; ვაშაში — მტკ 0:1; დუნაფერი — უიპეშტი 2:1; დიორ ეტო — დებრეცენი 0:1; ფერენცვაროში — ზალაეგერსეგი 0:1; პალადაში — პინცვედი 1:0

## შვედეთი

მე-13 ტური: იორგრიტე — აიკ 1:0; ჰალმსტადი — ჰამარბი 1:2; ტრელებორგი — გიოტებორგი 0:0; ჰეკენი — ჰელსინგბორგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:12 | 23 |
| ჰამარბი | 13 | 6 | 5 | 2 | 18:12 | 23 |
| იორგრიტე | 14 | 6 | 5 | 3 | 21:16 | 23 |
| მალმიო | 13 | 7 | 1 | 5 | 22:16 | 22 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 5 | 5 | 3 | 20:14 | 20 |
| იურგორდენი | 13 | 5 | 5 | 3 | 14:14 | 20 |
| აიკ | 14 | 5 | 4 | 5 | 17:16 | 19 |
| ჰალმსტადი | 13 | 5 | 3 | 5 | 26:17 | 18 |
| ელფსბორგი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:24 | 17 |
| იორებრო | 13 | 3 | 7 | 3 | 20:19 | 16 |
| ნორჩიოპინგი | 13 | 3 | 5 | 5 | 11:21 | 14 |
| ჰეკენი | 13 | 2 | 6 | 5 | 14:21 | 12 |
| სუნდსვალი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:17 | 10 |
| ტრელებორგი | 13 | 2 | 3 | 8 | 14:28 | 9 |

გიო ახვლედიანის

**სვეტი**

**საგანგებო მიმართვა**

ამიერიდან, ყოველ საშაბათო სვეტს ქვეშ მიეწერება მესვეტის ელექტრონული ფოსტის მისამართი.

MESVETE@ HOTMAIL.COM

ეს მისამართი იმათთვის იქნება, ვინც არ დაიზარებს და აზრებს გამოთქვამს ფეხბურთში მიმდინარე ამბებზე. მესვეტეს განსაკუთრებით აინტერესებს მკითხველთა შეხედულებები საერთაშორისო ფეხბურთზე, რიგ სადავო საკითხებზე, მიმდინარე მოვლენებზე. ყოველ თქვენს სერიოზულ თუ არასერიოზულ შეკითხვასა თუ აზრს, მესვეტე მიმოიხილავს ორ კვირაში ერთხელ, საგანგებო საშაბათო გვერდზე.

მოიწერეთ მოკლედ, სხარტად და მხიარულად.

MESVETE@ HOTMAIL.COM

ეროვნული ბიბლიოთეკა





# დათვს რომ მოერევი, კვარტეტში მოხვდები



ბაჩო კოთოლაძის ფოტო

ყოჩ გიორგი ტრაპაიძეს (№13) გიორგი სვინტრაძემ ლელოს გატანაში ხელი ვერ შეუშალა

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა. 15 ივლისი.

**ყოჩები 20:16 დათვები**

**ყოჩები:** კობერიძე, ტრაპაიძე, ჯანელიძე, მგელაძე, ს. ლიპარტელიანი, კაჭარავა, გიორხელიძე; ფირიაშვილი, კიკუაშვილი, გუშარაშვილი (ქავჭავაძე), ხურცილავა, გ. ხაბეიშვილი, ცხვედიანი, ჭელიძე, დიდებულიძე (ჩაკვეტაძე)

**2 ლ:** ტრაპაიძე, კაჭარავა; **2 გ:** გიორხელიძე; **2 ს:** გიორხელიძე;

**დათვები:** კიკნაძე, სვინტრაძე (დავლაძე), პინჩუკოვი, კაპანაძე, ხონელიძე, მაჩიტიძე, გ. ხელაძე; ნინიძე, გურეშიძე, ღლონტი, ბერიძე, მოქია, უჩავა, სვანიძე, ჩირგაძე;

**1 ლ:** დავლაძე; **1 გ:** მაჩიტიძე, **3 ს:** მაჩიტიძე;

**გაფრთხილება:** გიორხელიძე (ყოჩები), გ. ხელაძე (დათვები);

**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი

**მეთვალყურე:** მიხეილ კალანდაძე

ნანახი თუ არა, გაგონილი მაინც გექნებათ, როგორი უვარგისიცაა ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანი (ვაი, რომ სხვა მოედნები უარეს დღეშია). ჰოდა, სწორედ აქ მართავენ თბილისური კლუბები საშინაო მატჩებს. გამონაკლისი მხოლოდ ასკ-ია. არმიელებს თავიანთი კოპწია სტადიონი აქვთ ავლაბარში.

კვირას ვარკეთილში უმასპინძლეს „ყოჩებმა" „დათვებს". მოედანი დატბორილი დახვდათ მეტოქეებს. წვიმისგან გაფუჭებულს არ ჰგავდა მინდორი. ეტყობოდა, რომ იგი საკმარისზე მეტად მოერწყათ. დამძიმებულმა და ატალახებულმა გრუნტმა მეტად დაძაბულ და საინტერესო მატჩს ელფერი დაუკარგა.

თქმა არ უნდა, „ყოჩებისთვის" ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. აუცილებლად უნდა მოეგოთ ვიცე-ჩემპიონებს, სხვა შემთხვევაში ამირან თეზელაშვილის სამწყსოს ოთხეულში მოხვედრა სათუო გაუხდებოდა.

მოგებით კი მოიგეს, მაგრამ დიდი ჯაფისა და ოფლის ღვრის ფასად. ისე, საოცარი გუნდია „ყოჩები". თუ ხასიათზეა და მოინდომა, ნებისმიერი მეტოქის წაქცევა შეუძლია, თუ არა და, ისეთთან წაიფორხილებს, ყველას გააოცებს.

„ყოჩებმა" ორგანიზებული, საზრიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, უკვე დებიუტშივე შესთავაზა სტუმრებს მაღალი ტემპი და თამაში სასიამოვნო საცქერი გამოდგა. ეგ იყო, ატალახებულ მოედანზე სწრაფად გადაადგილება ჭირდა, გაშლილი, კომბინაციური თამაში არ გამოვიდა. მეტოქეები ძირითადად ძალისმიერ თამაშს ანიჭებდნენ უპირატესობას და ორივე გუნდის შერკინება მქსიმალურად დაიტვირთა. ექსჩემპიონებს ამ მატჩში დაუბრუნდნენ ნაავადმყოფარი მორკინალები — სანდრო ჭელიძე და დავით ცხვედიანი. მათ საფრანგეთიდან დროებით მობრუნებული ვიქტორ დიდებულიძეც დაემატა და „ყოჩების" მესამე ხაზი საკმაოდ სოლიდურად დაკომპლექტდა.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს, მაგრამ ზღვისპირელთა დაცვა შეუვალი იყო და ირაკლი გიორხელიძემ მხოლოდ საჯარიმო დარტყმით იხეირა. ამის შემდეგ დაახლოებით ათი წუთი „ყოჩებს" „დათვები" მათსავე ნახევარზე ჰყავდათ გამოკეტილი, თუმც რეალურ საფრთხემდე საქმე არ მისულა. სტუმრები ცდილობდნენ, თამაში მეტოქის ნახევარზე გადაეტანათ, მაგრამ კახა მაჩიტიძეს დარტყმულებს თბილისელები დროულად აფარებდნენ და „დათვებს" შეტევის განხორციელების შესაძლებლობას უსპობდნენ. საერთოდ, ყოჩებმა შეძლეს მაჩიტიძის ამოკეტვა. ზღვისპირელთა ჩინებულ დამრტყმელს ერთხელაც არ მისცემია შანსი, თავისი განთქმული არეკნით დაეტკბო ვარკეთილში მისული გულშემატკივარი.

სტუმრებმა მალევე მოიცალეს შეტევისთვის, მძლავრადაც მიაწვნენ მეტოქეს, „ყოჩების" ლელოსაც მიუახლოვდნენ, მაგრამ სპირიდონ ლიპარტელიანმა იყოჩაღა და ბათუმელებს ლელოს გატანა არ დაანება. ამ მომენტმა მასპინძლები გამოაფხიზლა, „დათვები" კი ძალიან უნიათოდ თამაშობდნენ. ზღვისპირელები კი ცდილობდნენ, შეეტიათ, მაგრამ არ გამოსდიოდათ. ერთ-ერთი ასეთ იერიშისას „ყოჩების" გარემარბმა გიორგი ტრაპაიძემ მოწინააღმდეგის პასი ჩაჭრა და ბურთიანად იქამდე ირბინა, სანამ დანიშნულების ადგილს არ უწია. გიორხელიძემ გარდასახა — 10:0. ცოტა ხანში გიორგი კაჭარავამ გაინავარდა, რამდენიმე მოწინააღმდეგეს დაუსხლტა და ნახტომში დადო ბურთი „დათვების" ლელოში. გიორხელიძემ ამჯერადაც ივარგა.

ბათუმელებმა მეტოქის გააქტიურებას მწვავე იერიშით უპასუხეს, მაგრამ აქედან ოდენ საჯარიმოს გამორჩნენ. მაჩიტიძემ საკმაოდ შორი მანძილიდან ჩაჭედა ბურთი „ყოჩების" კარში და ტაიმიც ასე მორჩა — 17:3.

მატჩის მეორე ორმოცწუთეულში ზღვისპირელები უკეთესად ათამაშდნენ და ტაიმი პირწმინდად მოუგეს მასპინძლებს. ჯერ მაჩიტიძემ ორჯერ დასაჯა „ყოჩები" უხეშობისთვის, მერე შეცვლაზე შესულმა დავლაძემ დაასრულა „დათვების" სწრაფი შეტევა. ამ დროისთვის მთავარ მსაჯს, ნოდარ რობიტაშვილს ორი მორაგბე დროებით გაეძევებინა მოედნიდან. ერთმანეთში შელაპარაკებისთვის ძველი თანაგუნდელები, დღეს კი მეტოქეები — გოგა ხელაძე და ირაკლი გიორხელიძე ათი წუთით დაასვენეს.

ამის შემდეგ ერთხელაც გაიბრძოლა „დათვებმა", მაგრამ „ყოჩების" კარგად ორგანიზებულ, გამოცდილ დაცვასთან ვერაფერი გააწყო და მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მარცხიც იწვნია. „ყოჩებმა" კი ოთხეულის საგზური გაინაღდა და მომდევნო ტურში „ლოკომოტივთან" პაექრობას გულდამშვიდებულნი ხვდება.

**ბაჩო სვანიძე**

# ცხრაია

## ქუთაისელებმა ოთხეული გაინაღდეს

ქუთაისი. დინამო. 15 ივლისი

**აია 27:16 უნივერსიტეტი**

**აია:** ჩუბინიძე, ნამჩევაძე, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე, თ. აშვეთია, ხელაძე (ხამაშურიძე), სორდია; ა. კოპალიანი, დ. ბალანჩივაძე (ბუხაიძე), დადუნაშვილი, მინაძე, ყურაშვილი, ტორაძე, გოგისვანიძე (თ. ბალანჩივაძე), საყვარელიძე

**3ლ:** სორდია, ხელაძე, ზიბზიბაძე; **2ს, 3გ:** ჩუბინიძე

**უნივერსიტეტი:** ურჯუკაშვილი, კ. ელოშვილი, ბარამიძე, ო. ელოშვილი (დანელია), მაჩხანელი, მოდებაძე, ჭუმბურიძე (ირემაშვილი); ჯანუყაშვილი, კუთარაშვილი, კეკელია (კობიაშვილი), ქირიკაშვილი (გუნდიშვილი, ჩქარეული), გუჯარაიძე, მჭედლიშვილი, ავსაჯანაშვილი, ჯალაღონია (წიკლაური)

**2ლ:** მოდებაძე; **2ს:** მოდებაძე, ურჯუკაშვილი

**გაფრთხილება:** ჯალაღონია

**მსაჯი:** გუგა ბაბუნაშვილი (ქუთაისი)

**მეთვალყურე:** მიხეილ ბურძგლა

ჩემპიონატის საწყისი ეტაპის ბოლოსწინა ტურის ამ შეხვედრას მეტოქეებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, სანუკვარ ოთხეულში მოხვედრის ყველა შესაძლო ვარიანტიდან „აიასთვის" საუკეთესო სტუდენტების ცხრაქულიანზე მეტი სხვაობით დამარცხება იყო (პირველი წრის მატჩი ქუთაისელებმა 3:12 დათმეს). „უნივერსიტეტს" კი ქუთაისში გამარჯვება ხომ თავისთავად, ფრეც აძლევდა ხელს და, უკვე ვთქვით, ცხრაქულიანზე ნაკლები სხვაობით წაგებაც უნარჩუნებდა კვარტეტში შეღწევის შანსს.

ჰოდა, ჯახი იყო, თქვენი მოწონებული! ჯიგრიანი, მძაფრსიუჟეტიანი სცენარით. ოღონდ, სანამ თამაშზე გადავიდოდეთ, მასთან დაკავშირებულ ლაფსუსზე მოგახსენებთ. საქმე ის არის, რომ კვირა (თამაშის დღეს) დილით „აიას" მატჩის ორშაბათისთვის გადატანის შესახებ შეატყობინეს და ამის მიზეზი, თურმე ის იყო, რომ დედაქალაქიდან ქუთაისში მსაჯის მივლინება არ ხერხდებოდა. შუადღით რაგბის კავშირიდან ახალი დირექტივა მოვიდა — მატჩი არ გადაიდება და მას გუგა ბაბუნაშვილი გაუძღვებაო. მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ მატჩის გადადება სტუდენტურმა გუნდმა არ ინება, თბილისელი გვიმსაჯებს თუ ქუთაისელი, მნიშვნელობა არა აქვსო.

სტუმარ-მასპინძელი ჯიქურ ეკვეთნენ ერთმანეთს. სადებიუტო ორომტიალში ქუთაისელებმა იხეირეს. მე-5 წუთი იყო, სტუდენტებს მეტოქის სწრაფი იერიშის მოსაგერიებლად დაცვაში ხალხი დააკლდათ და სორდიამაც ისარგებლა მომენტით, ბურთი ლელოში შეიტანა, ხოლო ჩუბინიძემ მეტად მახვილი კუთხიდან ოსტატურად გარდასახა და 7:0. ოღონდ, ამ ამბავმა სტუმრები არ დააბნია, პირიქით, მათ მძლავრი საპასუხო შეტევებით შეავიწროვეს მეტოქე და ერთ-ერთ ეპიზოდში მოდებაძემ იყოჩაღა. ირაკლიმ აიელ ხელაძეს ფეხით დარტყმული დაუფარა და ლელოში ჩავარდნილ ბურთს თავადვე მიწვდა.

ამის შემდეგაც მეტოქეები მორიგეობით „ჩხვლეტდნენ" ერთმანეთს. შუა ტაიმში ტემპმა იმატა და საინტერესო ამბებიც დატრიალდა. ჯერ სტუდენტებმა გაუშვეს ხელიდან დაწინაურების კარგი შანსი, როცა კარგა ხანს უტრიალეს „აიას" ლელოს, მაგრამ შიგ შეღწევა ვერ და ვერ შეძლეს. მასპინძელთა საპასუხო გამოხდომაც, წესით და რიგით, შედეგიანი უნდა გამომდგარიყო, მაგრამ „უნივერსიტეტს" საგანგებოდ ამ თამაშისათვის შემატებულმა მახო ურჯუკაშვილმა გაიბრწყინა, დაცვაში ეულად დარჩენილი მისკენ დაძრულ ოთხ აიელს მარდად დაუსხლტდა და სიტუაციაც განმუხტა.

30-ე წუთისთვის ჩუბინიძის ზუსტი საჯარიმოს შემდეგ „აია" ხუთი ქულით კი დაწინაურდა, მაგრამ სულ მალე მდევრის როლში მოგვევლინა. სტუდენტებმა მარჯვედ გაითამაშეს შერკინებაში მოპოვებული ბურთი, მასპინძელთა ლელოსკენ ჯგროდ დაიძრნენ და ავსაჯანაშვილის პასის შემდეგ ისევ მოდებაძემ გამოიჩინა თავი. არადა, ხელსაყრელი პოზიციიდან ვერც ამჯერად გარდასახა, თუმც ეს შეცდომა მალევე საჯარიმოდან გამოასწორა და თავისი გუნდი წინ გაიყვანა. დიახ, პირველი ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მასპინძლები 3 ქულით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ იმდენი იძალეს, რომ ტაიმი 7 ქულით მოიგეს (20:13). ჩუბინიძემ საჯარიმოთი გაათანაბრა, მერე ხელაძემ ფეხით ჩაუჭრა სტუდენტებს ბურთი და თავადვე მისდია ლელომდე, ხოლო ჩუბინიძემ ზუსტად გარდასახა.

მეორე ნახევარში თამაში უფრო დაიძაბა. „აიას" სხვა გზა არ ჰქონდა, ანგარიშში სხვაობის გაზრდას ლამობდა, ყველა მხრიდან უტევდა მეტოქეს, მაგრამ სიჩქარეში არაფერი გამოსდიოდა, თანაც ჩუბინიძეს აღარ წაუვიდა დარტყმები. მარჯვედ იდგნენ სტუდენტები, თავგანწირვით იბრძოდნენ და ურჯუკაშვილის ზუსტი საჯარიმოს შემდეგ ერთიორად გაურთულეს მასპინძლებს ამოცანა. „აია" ოდენ ოთხი ქულით იყო წინ და მთელი გუნდით ეკვეთა სტუმრებს. გაუჭირდათ სტუდენტებს, ხშირად ჯარიმდებოდნენ საკუთარი ლელოს სიახლოვეს, მაგრამ ზეწოლასაც უძლებდნენ. თანდათან დაძაბულობამ იმდენად იმატა, რომ სიტუაცია ლამის უკონტროლო შეიქნა. ასე განსაჯეთ, „უნივერსიტეტის" ლელოსკენ გაქანებული ხამაშურიძის შესაჩერებლად მოედანზე სტუდენტთა სათადარიგო მოთამაშეც კი შევარდა და ეს ამბავი მსაჯისთვის შეუმჩნეველი დარჩა. ამ ეპიზოდის გამო, რა თქმა უნდა არა, მაგრამ სტუდენტები ბოლო წუთებში ბაბუნაშვილს თითქმის ყველა გადაწყვეტილებას ემართლებოდნენ. მათმა უკმაყოფილებამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა ქუთაისელებმა ზიბზიბაძის ლელოთი გაიხარეს და მერე ჩუბინიძემაც გარდასახა. ეს თამაშის ბოლო წამებზე მოხდა და პრაქტიკულად „აიას" ოთხეულში შესვლას ნიშნავდა.

***გურამ მოდებაძე, „უნივერსიტეტის" მწვრთნელი:*** „ქუთაისელებს არაფერს ვერჩით, ბიჭებმა იბრძოლეს. „აიას" ოთხეულში მოხვედრას ვულოცავ. ღმერთმა ქნას, ქუთაისში რაგბი აღორძინებულიყოს."

***დიმიტრი ფულარია, „აიას" მწვრთნელი:*** „ვფიქრობ, კარგი თამაში იყო და ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ამ ეტაპზე დასახულ მიზანს მივაღწიეთ. შედეგით კმაყოფილი ვართ. მალე ლეგიონერები დაგვტოვებენ, მაგრამ საბრძოლო სულისკვეთება უნდა შევინარჩუნოთ."

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

# ცოტა კაცი, ბევრი ლელო



ბაჩო კოთოლაძის ფოტო

რკინიგზელმა ნონო ანდღულაძემ (ბურთით) შერკინება შეტევით გააგრძელა

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა. 15 ივლისი

**ლოკომოტივი 79:0 ასკ**

**ლოკომოტივი:** ასათიანი, კოტრიკაძე, ბუგიანიშვილი, ანდღულაძე, მათიაშვილი, კვინიხიძე, სარიშვილი, ჯიბლაძე, თოფურიძე, ხინჩაგაშვილი, გ. გიორგაძე, ზ. მაისურაძე, ქავთარაძე, ცხადაია, კახიანი

**13 ლ:** მათიაშვილი, ხინჩაგაშვილი (2), ჯიბლაძე (2), ბუგიანიშვილი (2), ასათიანი, კახიანი, ანდღულაძე, თოფურიძე, კოტრიკაძე (2); **7 გ:** კვინიხიძე;

**ასკ:** ფ. უდესიანი, კვაჭაძე, გიორგობიანი, სუთიაშვილი, სოზიაშვილი, ხინჩაგიშვილი, იაკობიძე, მზარეულაშვილი, ორდენიძე, გურგენიძე, ი. კოპალიანი, ხორგუაშვილი, თათოესიანი, ვაშაყმაძე, დათუნაშვილი

**მსაჯი:** მიხეილ ჩაჩუა

**მეთვალყურე:** მიხეილ კალანდაძე

ჩვენში რაგბი რომ სამოყვარულო დონეზეა და მორაგბეები სამსახურის შემდეგ იცლიან ოვალური ბურთისთვის, არახალია. მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ „ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა მხოლოდ თოთხმეტი კაცი დაახვედრა არმიელებს, მეთხუთმეტე მორაგბე კი პირველი ტაიმის შუაგულში დაემატათ რკინიგზელებს. თუმც ამ დროისთვის ანგარიში უკვე 26:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. ჩემპიონებმა გვარიანად შესუსტებული შემადგენლობითაც იოლად დაამარცხეს გამოუცდელი მეტოქე, მეორე ტაიმის მიწურულს კი ისევ კაცნაკლულებმა გააგრძელეს თამაში. რკინიგზელთა მორკინალმა გიორგი გიორგაძემ ტრავმის გამო დატოვა მოედანი. თადარიგში არავინ იყო, ამიტომ „ლოკომოტივს" თოთხმეტი მორაგბით მოუწია მატჩის დასრულება.

რა შეიძლება ითქვას ასკ-ზე? იმ თითზე ჩამოსათვლელი მომენტებიდან, რომლებიც ავთო ლიბრაძისა და გოჩა აბაშიძის შეგირდებმა შექმნეს, მათ ერთიც ვერ გამოიყენეს. საერთოდ, ჭაბუკ არმიელებს გაცილებით მეტი შეუძლიათ, ვიდრე კვირას აჩვენეს. მართალია, გუნდი დიდი წვალებით, ძლივს შეიკრა, მორაგბეები ჯერ ხეირიანად არც იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ ისეთ „ლოკომოტივთან", როგორიც კვირას წარდგა მათ წინაშე, ასეთი ანგარიშით არ უნდა აგებდნენ.

**ბაჩო სვანიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 8 | 7 | 0 | 1 | 238:111 | 14 |
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 0 | 2 | 267:111 | 14 |
| ყოჩები | 9 | 5 | 0 | 4 | 288:134 | 10 |
| აია | 9 | 4 | 0 | 5 | 133:153 | 8 |
| უნივერსიტეტი | 9 | 3 | 0 | 6 | 175:155 | 6 |
| ასკ | 8 | 0 | 0 | 8 | 29:460 | -1 |

ასკ-ს დაკლებული აქვს ერთი ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურ დე ფრანსი

# კურდღელი და კუ

## ორგანიზატორებმა იფიქრეს, 14 მრბოლი ძალიან ცოტააო

**14 ივლისი** საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულია და ამ დღეს „ტურის" ეტაპის მოგებას თითოეული ფრანგისთვის განსაკუთრებული გემო აქვს. „ტურის" ისტორიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სულ 14-ჯერ უმარჯვია ფრანგს ბასტილიის აღების დღეს. უკანასკნელად ლორან ბროშარს 1997 წელს, მანამდე ორი წლით ადრე კი ლორან ჟალაბერს.

და აი, შაბათს „ჟაჟა" ანკეტილისა (1961, 1964 წ.წ.) და ბერნარ ტევენეს (1970, 1975 წ.წ) შემდეგ მესამე ფრანგი გახდა, 14 ივლისის ეტაპი ორჯერ რომ მოუგია. წლეულს იგი მართლაც მშვენივრად მომზადებული ჩანს ამ შეჯიბრისთვის და თუ საერთო ჩათვლაში დიდი პრეტენზიები არა აქვს, სამაგიეროდ, უკვე მეორედ გაიმარჯვა, თანაც ამჯერად საშუალომთიან ეტაპზე, რაც იოლი საქმე არაა.

ჟალაბერი წარმატებას დაშვების მშვენიერ ტექნიკას უნდა უმადლოდეს. შაბათს მან რამდენჯერმე სცადა იერიში და ფინიშამდე 90 კილომეტრით ადრე ბასოს, ლორან რუს, კუესტას და ვოიგტის კომპანიაში პელოტონსაც დაუსხლტა. ეს შეტევა წარმატებული გამოდგა და ვოიგტმა ყვითელი მაისურაც ჩამოართვა თავის თანაგუნდელ სტიუარტ ოგრედის, ოღონდ მხოლოდ ერთი დღით.

ამ ხუთეულს ვერავინ დაეწია. მათგან დაწინაურებას კი ყველაზე მეტად ჟალაბერი ცდილობდა, რომელმაც საწადელი მხოლოდ ბასოს დაცემის შემდეგ აისრულა. იტალიელი დაღმართზე, ერთ-ერთ მოსახვევში წაიქცა. „ჟაჟა" ამ დროს ლტოლვილთა სათავეში იყო, ბასო მის უკან და ამიტომ წაქცევით დანარჩენი სამიც შეაფერხა. ტისკალელმა კი ამით კარგად ისარგებლა და „ტურზე" მეოთხე ეტაპი მოიგო. პელოტონი მას ოთხწუთნახევრით ჩამორჩა.

კვირას „ტურის" ორგანიზატორებს თავიანთი წესებიდან გამონაკლისი რომ არ დაეშვათ, ტურნირს მხოლოდ 14 მრბოლილა გააგრძელებდა!

საქმე ისაა, რომ პელოტონმა სინელის რეკორდი დაამყარა და ფინიშის ხაზი გამარჯვებულზე 35 წუთზე მეტით გვიან გადაკვეთა. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. 1976 წელს ესპანელმა ხოსე ლუის ვიეხომ დანარჩენები ძალიან კი ჩამოიტოვა, მაგრამ „ოდენ" 22 წუთი და 50 წამი მოიგო.

ახლა პელოტონი დროის ნორმაში ვერ ჩაეტია!

წესით, ასეთ ეტაპზე გამარჯვებულთან ვინც ნახევარ საათზე (ცოტა მეტნაკლებობით სხვადასხვა პარამეტრების გათვალისწინებით) მეტს წააგებს, შეჯიბრიდან უნდა მოიკვეთოს. მეცხრე ეტაპზე ლიმიტირებული ჩამორჩენა 28 წუთი ყოფილა. პელოტონმა კი 35 წუთი და 54 წამი დათმო! თუმცა ორგანიზატორები ვერ დაუშვებდნენ, რომ „ტური" ოდენ 14 კურდღელივით სწრაფ მრბოლს გაეგრძელებინა და გამონაკლისს მიმართეს. როცა ნორმაში ვერჩატეულთა რაოდენობა ეტაპის სტარტზე გამოსულ მრბოლთა 20 პროცენტს აჭარბებს, ლიმიტი შეიძლება გაიზარდოს და სწორედ ასე მოხდა კვირას, თორემ მაგარი სასაცილო სიტუაცია შეიქმნებოდა.

ეტაპი კი ერიკ დეკერმა მოიგო, რომელმაც თანაგუნდელ მარკ ვოუტერსის დახმარებით მოახერხა აიტორ გონსალესისა და სერვე კნავენისთვის ეჯობნა. დანარჩენებმა 20 მოიერიშემ ჰოლანდიელთან ორწუთნახევარიდან ათ წუთამდე წააგეს, მაგრამ საერთო ჩათვლაში მდგომარეობა ყველამ ერთობ გაიუმჯობესა. ფავორიტები კი... არმსტრონგი და ულრიხი ოგრედისთან 35 წუთზე მეტს აგებენ, ჯულიჩი და მორო ცოტათი ნაკლებს, მაგრამ მათ მთების იმედი აქვთ, სადაც დღეიდან მოყოლებული ადიან.

ბოლოს პელოტონის ასე კუსავით სიარულის მიზეზებზეც გეტყვით: წვიმდა, ციოდა და ზედმეტი ძალების დახარჯვა არავის უნდოდა. წინამძღოლობაც არც ერთმა გუნდმა არ ითავა, თითქოს ერთმანეთის ჯიბრით და... მათდა საბედნიეროდ, 14 „ტურისთვის" ძალიან ცოტაა, თორემ ნახავდნენ, როგორ უნდა ვირებივით გაჯიუტება.

გუშინ რუსმა სერგეი ივანოვმა „ფასა ბორტოლოს" ფრანჩესკო კასაგრანდესა და ივან ბასოს „ტურის" მიტოვებით გამოწვეული იმედგაცრუება ცოტათი შეურბილა და ფინიშზე ყველას მიასწრო. იგი სამკაციანი შეტევის წევრი იყო, რომლის ბოლოსაც კომპანიონებსაც დაუსხლტა.

პელოტონი ერთი პირობა 7 წუთზე მეტს აგებდა და ბევრს შეეშინდა, კვირის ამბები არ განმეორდესო, მაგრამ მერე ფრანგულმა „ბონჟურმა" და გერმანულმა „ტელეკომმა" გამოიღეს თავი და ჩამორჩენაც თითქმის გააბათილეს.

დღეს პირველი მაღალმთიანი ეტაპია და შეიძლება, სწორედ დღეს დაკარგოს ოგრედიმ ყვითელი მაისურა, თუმცა ეს აუცილებელი სულაც არაა.

**გაგი გურული**



REUTERS

წვიმამ და სიცივემ კვირას პელოტონი კუს დაამსგავსა

### მეშვიდე ეტაპი

სტრასბური — კოლმარი, 162 კმ

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ტისკალი) 4სთ 06წთ 04წმ
2. იენს ვოიგტი (გერმანია, კრედი აგრიკოლი) +1წმ
3. ლორან რუ (საფრანგეთი, დელატური) +11
4. ინიგო კუესტა (ესპანეთი, კოფიდისი) +13
5. ივან ბასო (იტალია, ფასა ბორტოლო) +1წთ 36

### მერვე ეტაპი

კოლმარი — პონტარლიე, 222 კმ

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 4სთ 59წთ 18წმ
2. აიტორ გონსალესი (ესპანეთი, კელმე)
3. სერვე კნავენი (ჰოლანდია, დომო) ორივეს იგივე დრო
4. მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი) +4
5. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) +26წთ 32

### მეცხრე ეტაპი

პონტარლიე — ექს-ლე-ბენი, 185 კმ

1. სერგეი ივანოვი (რუსეთი, ფასა ბორტოლო) 3სთ 57წთ 48წმ
2. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი, ესკალტელი) +16
3. ბრედლი მაკგი (ავსტრალია, ფრანსეზი) +17
4. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) +24
5. დამიენ ნაზონი (საფრანგეთი, ბონჟური) +24

### საერთო ჩათვლა

1. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) 38სთ 55წთ 30წმ
2. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, ბონჟური) +4წთ 32
3. ბრამ დე გროოტი (ჰოლანდია, რაბობანკი) +21წთ 16
4. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი, კოფიდისი) +22წთ 07
5. სვენ ტეტენბერგი (გერმანია, ფესტინა) +27წთ 15

## ცოტაოდენი ისტორია და გეოგრაფია



შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში რომაულ-გერმანული წმინდა იმპერია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, დიდი და გავლენიანი სახელმწიფო იყო. XIII-XVII საუკუნეებში სწორედ მის შემადგენლობაში შედიოდა კოლმარი. მას შემდეგ ქალაქში ალზასის უზენაესი საბჭო განთავსდა. ამიტომაც კოლმარი რაინის მიდამოებში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონეა. იგი ალზასის შუაგულში, ვოსჟსა და რაინს შორის მდებარეობს და ალზასურ ღვინის მარანსაც ეძახიან. საფრანგეთში ცოტა მოიძებნება ქალაქი, ყოველწლიურად კოლმარზე მეტი დამთვალიერებელი რომ ჰყავდეს. აქ დაახლოებით 3 მილიონი ტურისტი ჩამოდის ხოლმე. ძველი კოლმარი, თავისი შუასაუკუნეებისდროინდელი სახლებით, გოთური ტიპის ეკლესიებით, ცენტრალური ალზასის ლამისულამაზესი ადგილია.

სპორტი კოლმარში ძალიან უყვართ. აქ 150 სხვადასხვა ასოციაციაა, რომლებიც 15 ათასზე მეტ წევრს აერთიანებენ და 60 დისციპლინას მოიცავენ. ყოველწლიურად 1500-2000 ბავშვისთვის კოლმარის მერია და მიმდებარე კომუნების თვითმმართველობები ტრადიციულ შეჯიბრს მართავენ სახელწოდებით — „ზაფხულის თამაშები". „ტურ დე ფრანსს" კოლმარის საფრანგეთის შემადგენლობაში დაბრუნების (1919 წელი) შემდეგ აქ 22-ჯერ გაუვლია. ეტაპის დასაწყისი ან ფინიში კი წლეულს მეექვსედ მოეწყო.



საფრანგეთის ყველაზე მწვანე დეპარტამენტის მესამე ქალაქი, სადაც „ტური" შეჩერდა, პონტარლიეა. იგი ალზასის შედარებით მთიან ნაწილში მდებარეობს. მის გარშემო დაახლოებით 5 ათასი ჰექტარი ტყეებია, გვერდით კი საფრანგეთის სიდიდით მესამე ტბაა. პონტალიეში 20 ათასამდე მაცხოვრებელია. გარდა ბუნებრივი სილამაზისა, პონტარლიე ადამიანის შრომითაც ერთობ გამშვენიერებულა, ოღონდ მას დიდი ისტორიული მემკვიდრეობა ნამდვილად არა აქვს. იგი დაახლოებით XIX საუკუნის დასაწყისიდან განვითარდა, თუმცა როგორ. სწორედ აქ შეიქმნა აბსენტი, სასმელი, რომელმაც შემდეგ ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა. გენიალურ მხატვარ პაბლო პიკასოს ერთი ნახატიცა აქვს, რომელსაც „აბსენტის მოყვარული ქალი" ჰქვია.

კოლმარისა არ იყოს, სპორტი პონტარლიეშიც პატივშია. 1997 წელს ეს ქალაქი ფრანგული ყოველდღიური სპორტული გაზეთის „ეკიპის" მიერ „საფრანგეთის ყველაზე სპორტულ ქალაქადაც" დასახელდა. ქალაქი სპორტისთვის თავისი ბიუჯეტის 10 პროცენტს ხარჯავს. მოსახლეობის 46 პროცენტი ძირითადად თხილამურებს, ველოსიპედს და სპორტის საწყლოსნო სახეობებს მისდევს.



ექს-ლე-ბენი უხსოვარი დროიდან წყლის ქალაქია და ასეთად დარჩება მომავალშიც. რომაულ ეპოქაში ექს-ლე-ბენს „აკვას" ეძახდნენ, რაც ლათინურად წყალს ნიშნავს. ექს-ლე-ბენში წყალი ყველგანაა, ქალაქში თუ მის გარშემო. შეიძლება ითქვას, იგი „წყლების" ადგილია: აქაური თერმული წყლები კელტების დროიდანაა განთქმული; ბურჟე საფრანგეთში უდიდესი ბუნებრივი ტბაა; ექსის მინერალურ წყლებს მთელს საფრანგეთში აქვს სახელი გავარდნილი; წყალია ექს-ლე-ბენის გარშემო არსებული დათოვლილი მთებშიც.

აქ ხმელთაშუა ზღვის მიკროკლიმატი და განსაკუთრებული ფლორა და ფაუნაა. ბუნების გარდა ექს-ლე-ბენი ისტორიით და კულტურითაც მიმზიდველია. „გრან სერკლის" კაზინოში იტალიური თეატრი ფუნქციონირებს, აგრეთვე ფორის მუზეუმი, რომაული ეპოქის მუზეუმი და იმდროინდელი აბანოები (თერმები)...

## ერთი დღის ისტორია

**1948 წელს** „ტურ დე ფრანსი" პოლიტიკაშიც აქტიურად ჩაერთო. 14 ივლისს იტალიაში სისხლიანი ამბები დატრიალდა. იტალიის კომუნისტური პარტიის ლიდერი პალმირო ტოლიატი ექსტრემისტმა ანტონიო პალანტემ დაცხრილა. საბედნიეროდ, იგი სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ამ ინციდენტმა მთელი იტალია დენთის კასრზე შესვა, რომელიც როდის აფეთქდებოდა, არავინ უწყოდა.

„ტური" ამ დროს კანში იყო და საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის, ბასტილიის დაცემის დღის აღსანიშნავად, ისვენებდა. იტალიელთა გუნდი (მაშინ „ტურზე" ეროვნული ნაკრებები გამოდიოდნენ) სალამოთი ზღვის ნაპირზე სეირნობდა. როცა გუნდის ლიდერი ჯინო ბარტალი სასტუმროში დაბრუნდა, მას ტელეფონთან სთხოვეს. მრბოლთან საუბარი იტალიის პრემიერ-მინისტრ ალსიდ დე გასპერის სურდა. „იტალიაშია რევოლუციის ქარი უბერავს — უთხრა დე გასპერიმ ბარტალის — ჯინო, მსურს ვიცოდე, შეგიძლია თუ არა „ტურის" მოგება? ეს ძალიან მნიშვნელოვანია მთელი იტალიისთვის". ჯინომაც პრემიერ-მინისტრს მაქსიმუმის გაკეთება აღუთქვა. იტალიაში ბარტალი ძალიან უყვარდათ და ყველა დიდ პატივსაც სცემდა. თუ იგი „ტურ დე ფრანსს" მოიგებდა, აპენინელთა ყურადღებას თავისკენ მიიპყრობდა და ქვეყანაში დაძაბული ვითარების განმუხტვასაც დიდად შეუწყობდა ხელს.

და ჯინო ბარტალიმ მოიგო. დაჭრილი ტოლიატის ოთახში მისი ვაჟი შევიდა და ჩურჩულით აცნობა თვისტომის წარმატების ამბავი. კომუნისტთა ლიდერის ტანჯული სახე მსუბუქმა ღიმილმა გაანათა, იტალიაში მართლაც აღარავის გახსენებია რევოლუცია.

* * *

**1969 წლის 15 ივლისს** პატარა, ახალდაფუძნებული ქალაქი მურან-ვილი „ტურის" ისტორიაში შევიდა ედი მერქსის ბრწყინვალე რბოლის გამო. იმ დღის ეტაპი წყნარად დაიწყო და მერქსს გამარჯვებისთვის, წესით, არც უნდა ებრძოლა, მაგრამ ზედ ეტაპის წინ მომხდარმა მოვლენებმა ბელგიელს გადაწყვეტილება შეაცვლევინეს. „ტურის" ხუთგზის გამარჯვებულმა წინა დღეს შემთხვევით გაიგო, რომ მისი ერთ-ერთი გრეგარი და, უდავოდ ძალიან ძლიერი და მამაცი მრბოლი ვან დენ ბოსშე მომავალი სეზონიდან სხვა გუნდში გადადიოდა. ამ ინფორმაციამ „კანიბალი" გაამწარა და თანამემამულესა და მეგობარს სიახლის დამალვა, თუნდ ცოტა ხნით, არ აპატია. „მე ჭორის დონეზე არ უნდა ვიგებდე ასეთ რამეებს. შეეძლო ჩემთვის გაემხილა თავისი წადილი" — თქვა რბოლის შემდეგ მერქსმა. რბოლისას კი... ვან დენ ბოსშემ არ იცოდა, მერქსმა თუ იცოდა. მან ტურმალეს მთაზე შეუტია და ეტაპის მოსაგებადაც გაემზადა, მაგრამ გამხეცებულ „კაციჭამიასთან" რას გახდებოდა? მერქსი უმალ კონტრიერიშზე გადავიდა და თანაგუნდელს მწვერვალზე ასწრო. ამაში თითქოს ძალა არც დახარჯვიაო და ტურმალეს გადავლის შემდეგაც იგივე ტემპით გააგრძელა რბოლა. მერქსს საბოლოოდ 130 კილომეტრიანი გაქცევა გამოუვიდა. ფინიშზე მისი მისვლიდან მხოლოდ რვა წუთის (!) შემდეგ გამოჩნდნენ მდევრები. მეორე დღეს „ეკიპის" პირველ გვერდზე ეტაპისადმი მიძღვნილ წერილს „მერქსისიმო" ერქვა.

* * *

**სწორდით!** სმენა! ასეთი შეძახილებით ძირითადად სამხედროებს მიმართავენ ხოლმე, მაგრამ 1960 წლის 16 ივლისს დაახლოებით იგივე ბრძანება გაიცა „ტურ დე ფრანსზეც". პელოტონი საფრანგეთის პრეზიდენტის, გენერალ შარლ დე გოლის პატივსაცემად გაიჯგიმა ჯარისკაცთა ბატალიონივით. შარლ დე გოლი იმ გზის მახლობლად იყო ერთ-ერთ ქალაქში, სადაც პელოტონს უნდა გაევლო და მანაც მრბოლთა საქმეში ხილვა ისურვა.

შეჯიბრის დირექტორმა ჟაკ გოდემ პელოტონს სთხოვა, სათავეში გამოჩენილი ხალხი მოექცია: ნენჩინი (ყვითელი მაისურა), დარიგადი (მსოფლიოს ჩემპიონი), როლანი („ტურის" ვეტერანი)... და „ტურ დე ფრანსის" პელოტონი შეჩერდა.

გენერალი დე გოლი ასეთმა პატივისცემამ ძლიერ შეაწუხა და გოდესთან სინანული გამოთქვა, რომ მის გამო „ტურის" ჩვეულებრივი მიმდინარეობა შეფერხდა და პელოტონის რჩეულებს მიესალმა. „ძალიან უცნაური რამ იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ „ტურის" პელოტონი ვინმეს გამო შეიძლება შეჩერებული ყო" — თქვა ჟურნალისტმა ანდრე ერნემ. მისი კოლეგა ანტუან ბლონდენი კი წერდა: „აბსოლუტურად ვეთანხმები ქვეყნის პრეზიდენტს, რომ მის ვარეშე საფრანგეთში არაფერმა, თვით „ტურის" პელოტონმაც კი არ უნდა ჩაიაროს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

# ფინალისტობა ბურთებმა განსაზღვრა

IV ტური. 14 ივლისი

## იუგოსლავია 71:52 საქართველო

14:20, 22:14, 15:11, 20:7

იუგოსლავია: ბაკიჩი, ჯორჯევიჩი (8), გაიჩი (9), იევდიჩი, იოვანოვიჩი (18), კოპრივიცა (2), კრსტიჩი, მანდიჩი (3), მარინოვიჩი (4), პუპოვიჩი (7), შეკულიცი (20)
საქართველო: ტულუში (2), ბერიშვილი, კუიდია, შანიძე (2), ხეცურიანი (1), ლოსაბერიძე (6), გ. მარკოიშვილი (2), ბაბიაშვილი (2), ცქიტიშვილი (18), უგრეხელიძე (6), ფაჩულია (13)

V ტური. 15 ივლისი

## საქართველო 71:67 პორტუგალია

15:21, 26:12, 13:19, 17:15

საქართველო: ბაბიაშვილი (1), ბერიშვილი, კუიდია (8), ხეცურიანი (4), ლოსაბერიძე (2), მარკოიშვილი (14), შანიძე, ცქიტიშვილი (21), ტულუში (3), უგრეხელიძე (18)
პორტუგალია: ალინიო (7), ალვეში (23), კაბრიტა, და სილვა კორტესი (2), და სილვა პინიუ (7), დაკრუზი (2), ლეიტე (6), ფერნანდესი (13), მაურისიო (7), მელო, როდრიგესი, ტორესი

**ყველაფერი** ლოგიკურად დამთავრდა, ყოველ შემთხვევაში, საკალათბურთო ევროპისთვის. ერთი წლის შემდეგ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატის ფინალში ჩვენი ჯგუფიდან საბერძნეთი და იუგოსლავია ითამაშებენ. სანამ შესარჩევი ეტაპი დაიწყებოდა, არაერთ ქართველ ქომაგს ჰქონდა ჩვენი ნაკრების იმედი, თუმც რეალურად მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იუგოსლავიას ან საბერძნეთს უკან მოვიტოვებდით. ასეც მოხდა, ქართველებმა იბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ. დამარცხდნენ მათთან, ვისთანაც უნდა დამარცხებულიყვნენ. საბერძნეთი რომ არამარტო ჩვენი ჯგუფის, არამედ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ფავორიტი რომ იქნება, ამას თქმა არ უნდა. რაც შეეხება სლავებს, ისინი რამდენადაც კარგად თამაშობენ, ორი იმდენი სტრატეგოსები ყოფილან. იუგოსლავიელებმა აქცენტი ქართველებთან მატჩზე გააკეთეს, მანამდე კი გერმანელებთან თავს დასვენების უფლება მისცეს. იუგოსლავიელების გერმანელებთან მატჩს აბა, სხვა რა ეთქმის — ქართველებთან დამარცხებულებთან მთელ თამაშს ოც ქულაზე ნაკლებით არ აგებ და მეორე დღეს საქართველოს ნაკრებს შანსს არ უტოვებ... ესე იგი ძალებს ზოგავ. მათ სწორი სტრატეგია აირჩიეს და შედეგიც მოიმკეს. დასვენებულებმა მთელი თავიანთი რეზერვები ქართველების წინააღმდეგ მიმართეს, რაც შედეგშიც გამოიხატა — 71:52.

ქართველებს უკვე ტრადიციად ექცათ მატჩის საწყისი წუთების კარგად თამაში და მას არც იუგოსლავიელებთან შეხვედრაში ულალატეს. შედეგიანი პირველი შეტევების წყალობით, ჩვენებმა ანგარიშში უპირატესობას მიაღწიეს. ისინი მეტოქეს პოზიციურად სწორად გარჯაშიც სჯაბნიდნენ, ზონურ დაცვას ჩინებულად ართმევდნენ თავს და პირველი მეოთხედიც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — 20:14. იუგოსლავიელთა თავკაცი სწორად მიხვდა, რომ გუნდის თამაშში კორექტივების შეტანა იყო საჭირო. ქართველთა ზონის წინააღმდეგ მან სწორი ტაქტიკა აირჩია და მოედანზე შორიდან მსროლელთ უხმო, რომლებმაც მიზანი გაისწორეს და ჩვენს კალათს ისე აწიოკებდნენ, ექვსი მეტრის რადიუსზეც არ უახლოვდებოდნენ. მეტოქემ ანგარიშში სხვაობა ჯერ გააბათილა, ხოლო შემდეგ წინაც გავიდა. არ გეგონოთ, რომ იუგოსლავიელები მხოლოდ შორიდან უტევდნენ ჩვენს ფარს. მათ არც ქართველთა დაცვაში უძნელდებოდათ ნაპრალების პოვნა.

ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ანგარიში სლავთა 6-ქულიან უპირატესობაზე მიუთითებდა — 51:45. ქართველებს ეს სხვაობა რომ შეენარჩუნებინათ, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდოდნენ, რადგან იუგოსლავიელებს თავიც რომ მოეკლათ, ბოლო ტურში მასპინძლებს მაინც ვერაფერს დააკლებდნენ. ძალთა თანაფარდობასა და საკუთარ კედლებს თავი რომ დავანებოთ, ბერძნებს ისინი დიდად არ ეპიტნავებათ და მათ დასამარცხებლად ბოლო ძალებს არ დაიშურებდნენ. „ბერძნები იუგოსლავიელებს ვერ იტანენ. რამდენჯერმე ვესაუბრე მათ და ისინი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რა დიდი ანგარიშით დაამარცხებდნენ იუგოსლავიელებს" — გვითხრა საქართველოს ნაკრების წევრმა ზაზა ფაჩულიამ.

ბალკანელებმა იცოდნენ, მეორე დღეს ვისთან ჰქონდათ შეხვედრა, ქართველებთან სათამაშოდ დარჩენილი ათი წუთი ხომ მათი ბოლო შანსი იყო, ამიტომაც მათ საქმეში თავიანთი უკანასკნელი რეზერვები ჩართეს. მეტოქემ პრესინგს მიმართა, ამის საშუალებას გუნდის ფიზიკური მომზადების დონე აძლევდა. ქართველები მათთვის სასურველ ანგარიშს კბილებით ინარჩუნებდნენ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე სამი წუთი რომ დარჩა, იუგოსლავიელები მთელი ძალით ამოქმედდნენ და გადამწყვეტ წუთებში ჩვენი ნაკრები გატყდა. ჩვენი მეტოქე უკეთ იყო მომზადებული და ფინალის საგზურსაც სამართლიანად დაეუფლა. გადაღლილ ქართველებს ბოლო წუთებში იუგოსლავიელებმა კიდევ არაერთი ბურთი ჩაუგდეს და — 71:52.

მეორე დღეს პორტუგალიელებთან მატჩს ყოველგვარი აზრი დაეკარგა. ქართველები რომ ფინალის მიღმა დარჩნენ, ამაზე საკმაოდ ვისაუბრეთ, ხოლო პორტუგალიელებიც რომ იგივე დღეში იყვნენ, ეს კარგა ხნის წინ იყო ცნობილი. თუმცა მოტივაცია აპენინელებს უფრო მეტი ჰქონდათ, ვინაიდან მათ ამ თამაშამდე ყველა მატჩი წააგეს და სამშობლოში ამგვარად დაბრუნება არ სურდათ. პორტუგალიელებს მოგებაზე ფიქრი მაშინ გაუორკეცდათ, როცა გაიგეს, ზაზა ფაჩულია არ ითამაშებსო. იუგოსლავიელებთან შეხვედრაში მას ფეხი მსუბუქად დაუშავდა.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. ქართველებს ეტყობოდათ წინა დღით განცდილი მარცხის დაღი და შედარებით ინერტულნი იყვნენ. მათ პირველი მეოთხედი 15:21 დათმეს. პორტუგალიელები თავს არ ზოგავდნენ, რათა ტურნირზე პირველი გამარჯვებისთვის მიეღწიათ, თუმცა სურვილი და თავდადება ერთია და რეალობა — მეორე. კლასში განსხვავება თვალში საცემი იყო. ქართველებმა ანგარიში გაქვითეს და შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც. პირველი ნახევარი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა — 41:33.

მეორე ნახევარში პორტუგალიელებმა ძალები მოიკრიბეს, შეუტიეს ქართველებს და ბოლო ათწუთეული ორქულიანი ჩამორჩენით განაახლეს. ისინი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ჩვენებს ვერაფერი მოუხერხეს. ნიკა ცქიტიშვილისა და დავით უგრეხელიძეს დუეტის შემჩერებელი პორტუგალიელთა შორის არ მოიძებნებოდა. მათ საბოლოოდ ისლა მოახერხეს, რომ ტურნირზე ყველაზე ნაკლები სხვაობით დამარცხდნენ — 67:71.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 5 | 5 | 0 | 496:352 | 10 |
| იუგოსლავია | 5 | 3 | 2 | 421:423 | 8 |
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 417:399 | 8 |
| საქართველო | 5 | 3 | 2 | 400:399 | 8 |
| ინგლისი | 5 | 1 | 4 | 335:442 | 6 |
| პორტუგალია | 5 | 0 | 5 | 307:413 | 5 |

*იუგოსლავიის, გერმანიის და საქართველოს ადგილების განაწილებაში მნიშვნელობა მიენიჭა ერთმანეთში ნათამაშევ მატჩებში ჩაგდებული და მიღებული ბურთების რაოდენობას*

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი. A ჯგუფი

II ტური. 14 ივლისი

## საქართველო 101:79 იტალია

23:22, 30:21, 18:18, 30:18

საქართველო: მ. მარკოიშვილი (30), გამყრელიძე (1), მარხვაშვილი (18), ვაშაკიძე (3), ჩაჩლეიშვილი (3), საყვარელიძე (3), ორდენიძე (3), სანიკიძე (3), ათუაშვილი (6), მდივანი (31)
იტალია: ბენფატო (2), ბოლკატო (14), ბოსინი (3), კორონინი, კოსტანტინო (15), ფანტონი, ფერი, ნეგრი (14), პინ დალ პოსი (10), პორტა, როსინიოლი (5), სორენტინო (16)

III ტური. 15 ივლისი

## იუგოსლავია 89:62 საქართველო

27:23, 18:10, 22:18, 22:11

იუგოსლავია: ალექსიჩი (7), ბოგდანოვიჩი (10), მაისტოროვიჩი (2), მასულოვიჩი (8), მიჩოვი (2), მილიჩიჩი (18), პეროვიჩი (2), რაკოვიჩი (16), სლივანჩანინი (4), ტომოვიჩი (20), ვუციჩევიჩი
საქართველო: ათუაშვილი (3), ჩაჩლეიშვილი (13), გამყრელიძე (1), მარხვაშვილი (3), მარკოიშვილი (11), მდივანი (1), ორდენიძე (12), სანიკიძე (6), საყვარელიძე (9), ვაშაკიძე (2), ზანგურაშვილი (1)

# დაზრიყვებული იტალიელები და ბალკანური რისხვა

**მესამე** მატჩი და მესამე მოგება, მაგრამ არა ტურნირზე, არამედ იტალიასთან. აქამდე ქართველებს აპენინელები ორჯერ დაემარცხებინათ, მაგრამ არა ასე შთამბეჭდავად. შაბათს ჩვენმა კადეტებმა რიგაში ევროპის ჩემპიონატის ფინალის მეორე ტურში იმძლავრეს და მეტოქე — 101:79 დაჩაგრეს. ქართველები მთელი თამაშის მანძილზე წინ იყვნენ და მეტოქეს მიახლოების მცირე შანსსაც არ აძლევდნენ. იტალიელები ჩვენებს ტოლ-სწორად მხოლოდ საწყის მეოთხედში ეპაექრნენ — 22:23, შემდეგ კი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენებს სათოფეზეც ვერ გაეკარნენ. ქართველთა რიგებში ამინდს სამი მოთამაშე ქმნიდა — მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი მარხვაშვილი და გიორგი მდივანი. ეს ტრიო შეუდარებელი იყო. მან ჯამში 79 ქულა მიითვალა. არ იყო სათამაშო კომპონენტი, რაშიც ჩვენებს იტალიელები არ დაეჩაგრათ.

მეორე დღეს ჩვენი კადეტების მეტოქე იუგოსლავიის ნაკრები იყო. „როგორც საწყისმა ორმა ტურმა დაგვანახვა, იუგოსლავიის ნაკრები არამარტო ჯგუფის, არამედ მთელი ტურნირის ფავორიტია და დიდი შანსია, ჩემპიონებმა მწვერვალზე ისინი გახდნენ. მათ სიმაღლეშიც დიდი უპირატესობა აქვთ. სამი 210-სანტიმეტრიანი და ერთიც 215-იანი კალათბურთელი ჰყავთ, რაც ძალიან დიდი კოზირია. წავაგეთ გუნდთან, რომელიც ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო" — გვითხრა ნაკრების მწვრთნელმა მიხეილ კობეშავიძემ, როცა მას კლაიპედაში დავუკავშირდით.

თამაშის პირველი ნახევარი ქულა ქულაზე მიდიოდა, მაგრამ იგი იუგოსლავიელებმა 12 ქულით იმიტომ მოიგეს, რომ ბოლო წუთზე ბალკანელებმა სამქულიანი ნიშნულიდან სამჯერ ზუსტად დალაშქრეს ჩვენი კალათი — 45:33. ამის შემდეგ კი მათ საერთოდ აიწყვიტეს და ქართველებს იმაზე მეტი დამართეს, რაც ამ უკანასკნელმა იტალიას. დარჩენილ დროში სლავებმა ჩვენი დაცვა დააწიოკეს. ისინი თავისუფლად დათარეშობდნენ ქართველთა ნახევარზე და საბოლოოდ უპირატესობა 27 ქულით გამოხატეს — 89:62 და საქართველოს მეორე მარცხი.

ამ წაგებით ჩვენმა კადეტებმა ერთობ გაირთულეს საქმე. ახლა უკვე ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დანარჩენ მატჩებში როგორც განვითარდება მოვლენები. შეიძლება ჩვენებს დარჩენილი ორივე თამაშის მოგება დასჭირდეთ, თუმც ამის მცირე შანსია. ქართველები დღეს ლიტვას ეთამაშებიან. ეს მატჩი ბევრ რამეს გაარკვევს.

**ირაკლი ბერტაია**

მეორე ტური

**იუგოსლავია 82:77 ესპანეთი**

**ლიტვა 75:67 თურქეთი**

მესამე ტური

**ესპანეთი 76:73 თურქეთი**

**ლიტვა 71:54 იტალია**

ცურვა

მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

# იტალიური ცუნამი



ვიოლა ვალი და ლუკა ბალდინი

REUTERS ფუკუოკადან

**სიდნეის** ოლიმპიური თამაშების შემდეგ საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლები ერთმანეთს რიგიანად არც შეხვედრიან, ახლა კი ამის საშუალება ამომავალი მზის ქვეყანაში მიეცათ.

იაპონიის ქალაქი ფუკუოკა 16-29 ივლისს საწყლოსნო სახეობათა მე-9 მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. სიდნეის ოლიმპიადის მერე ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატი პირველი უმთავრესი საერთაშორისო შეჯიბრებაა, სადაც პოსეიდონის სამყაროს 130 ქვეყნის დაახლოებით 3000 სპორტსმენი შეყრილა.

მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამაში ხუთი დისციპლინაა — ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა და ღია წყალში ცურვა. რაც შეეხება ამ უკანასკნელის წარმომადგენლებს, მათ პირველებმა დააჭაშნიკეს ფუკუოკას წყალი.

ასპარეზობის პირველ დღეს 5 კილომეტრიან დისტანციებზე ქალებმა და ვაჟებმა აიღეს სტარტი.

გამარჯვებული ჯერ ქალებში გამოვლინდა. ფინიშის ხაზი პირველმა იტალიელმა ვიოლა ვალიმ გადაცურა და ამით მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ოქროც მოიგო. ღია წყლის შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა აპენინელმა სტარტიდან 1,5 კილომეტრის შემდეგ მეტოქეები ახლოს აღარ გაიკარა და მამოჩიპამას სანაპიროზე, მეტოქეებისგან 30 მეტრით დაწინაურებულმა, თავი საათსა და 23 წამში ამოყო. „ვიცოდი, რომ მქონდა შანსი, მაგრამ მოგებამ მოლოდინს გადააჭარბა. ჩემი მიზანი იყო, სწრაფად ამეღო სტარტი. ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა. ჩემთვის დიდი პატივია, რომ იტალიას მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი მოვუპოვე" — გახარებულია ვალი. სხვათა შორის, იტალიელს შარშანაც უმარჯვია ფუკუოკაში იმავე მარშრუტზე, ოღონდ ახლანდელისგან განსხვავებით, მაშინ ეს 25 კილომეტრზე შეძლო.

რაც შეეხება აპენინელის მდევარებს, გერმანელი პეგი ბუშე რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე შარშან ჰავაიში გაიმარჯვა, ახლა მეორეობას დასჯერდა — 1:00.49. თუმცა ამისთვისაც გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდა, რადგან მას კვალდაკვალ ავსტრალიელი ჰეილი ლევისი მისდევდა — 1:00.52.

ბრინჯაოს მედლებით ავსტრალიელმა სპორტსმენმა ძალიან გაიხარა, მით უმეტეს, რომ იგი საკმაო ხანს ჩამოშორებული გახლდათ საცურაო ბილიკებს. „ჩემი კარიერის ამ ეტაპზე ნებისმიერ მედალს ოქროს ფასი აქვს" — განაცხადა ოზმა მოცურავემ, რომელმაც 1996 წელს სიდნეის ოლიმპიადამდე აქტიურ სპორტს თავი დაანება. სხვათა შორის, ჰეილი ლევისი ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონიც გახლავთ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ხვალ კი 10 ათას მეტრზეც აპირებს სტარტის აღებას და ამის გაკეთება ასპარეზობათა ძირითად აუზში 1500 მეტრზე იმავე დისციპლინაშიც განუზრახავს.

ვიოლა ვალის არც მისი თანამემამულე ლუკა ბალდინი ჩამორჩა. მისი მეშვეობით იტალიელებმა ასპარეზობის პირველივე დღე ორი ოქროს მედლით დაასრულეს. საინტერესოა, რომ ვაჟთა შორის 5-კილომეტრზე ასპარეზობისას ბალდინის გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა შედეგი, რომელმაც იტალიელს 1998 წლის პერტის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო მოაპოვებინა. ერთი საინტერესო დამთხვევაც. ბალდინი, ისევე როგორც ვალი, შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰავაის ღია წყალში მესამე იყო. ამჯერად მათ რევანში აიღეს.

„დღეს მე არანაირი სტრატეგია არ მქონდა შემუშავებული. მხოლოდ იმას ვცდილობდი, როგორც კი პირველ ტივტივას გავცდებოდი, დავწინაურებულიყავი. ვფიქრობ, მეტოქეები გავაოცე" — თქვა ბალდინიმ.

მართლაც იტალიელის ნამოქმედარით გაოცებული იყო მეორე ადგილზე გამწესებული რუსი ევგენი ბეზრუჩენკო:

„მან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც თავად მსურდა. მინდოდა, დისტანციის მეორე ნახევარში დავწინაურებულიყავი, მაგრამ ვინ დაგაცადა. მან გამაოცა" — გაოგნებული ჩანდა რუსი მოცურავე, რომელიც ჩემპიონს 50 მეტრით ჩამორჩა — 56.31. მესამეზე გასული მარკო ფორმენტინის წყალობით კი იტალიელთა ყულაბა ორ ოქროსთან ერთად ერთი ბრინჯაოთიც შეივსო.

**გიგა გურასაშვილი**

5კმ. ღია წყალში

**ვაჟები**

1. ლუკა ბალდინი (იტალია) 55.37
2. ევგენი ბეზრუჩენკო (რუსეთი) 56.31
3. მარკო ფორმენტინი (იტალია) 56.42

**ქალები**

1. ვიოლა ვალი (იტალია) 1:00.23
2. პეგი ბუშე (გერმანია) 1:00.49
3. ჰეილი ლევისი (ავსტრალია) 1:00.52

# ბაზრის გახსნამდე

**18 ივლისამდე,** ანუ მანამდე, სანამ ნბა-ს მამები ოფიციალურად დაადგენენ და გამოაცხადებენ თითოეული გუნდისთვის ერთ წელიწადში მოთამაშეთათვის დასარიგებელი ხელფასების ზედა ზღვარს, უფრო მარტივად — სახელფასო ფონდს, ერთი დღეღა რჩება. ნბა მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა კლუბებსა და კალათბურთელებს შორის კონტრაქტების გაფორმების უფლებას, თუმც ეს სულაც არ კრძალავს ამ ორ მხარეს შორის მოლაპარაკებას. კლუბები და კალათბურთელები დროს არ კარგავენ და წინასწარ ურიგდებიან ერთმანეთს. ასე რომ, 18 ივლისიდან დაიწყება ადრევე გამზადებულ კონტრაქტებზე ხელმოწერა.

წლევანდელი თავისუფალ აგენტთა ბაზარი საქონლის ხარისხით ვერ მივა შარშანდელთან, თუმც გაცილებით ხმაურიანია და ვაჭრობაც მეტი სიმძაფრით გაჩაღებულა. ჯერჯერობით კვლავაც გაურკვეველია ამ სეზონთაშორისი პერიოდის ყველაზე სასურველი თავისუფალი აგენტის — კრის ვებერის მომავალი. ნბა-ს ყველა გუნდის საოცნებო კალათბურთელმა ამასწინათ განაცხადა, იქნებ დავთანხმდე ძველი კლუბის — „საკრამენტოს“ 120-მილიონიან წინადადებასო, მაგრამ მერე თავისი სიტყვები უკან წაიღო და ახლა გაიძახის, მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი და ჯერ დაახლოებითაც ვერ მოგახსენებთ, რომელ გუნდს გავაბედნიერებ ჩემი მისვლითო. შესაძლოა ვებერს ჭკუაში დაუჯდა „ინდიანას“ წინადადება, რომლის წარმომადგენლებსაც ვებერის ოჯახის წევრები შეხვდნენ. „ინდიანა“ ერთადერთი არაა, ვინც ვებერს ეკურკურება და ამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში თავისთან ეპატიჟება. დარწმუნებული ვიყოთ, რომ კრის ვებერი მომავალ სეზონს უგუნდოდ არ შეხვდება, მანამდე კი ისინი ვახსენოთ, რომლებმაც უკვე იპოვეს თავიანთი ადგილი და 18 ივლისს ელიან, რათა შერჩეულ გუნდს ოფიციალურად დაუკავშირონ თავიანთი კარიერის მინიმუმ ერთი წელი.

## ერთგულები

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 29 გუნდში ოთხასიოდ კალათბურთელი თამაშობს, მაგრამ ამ ზღვა ხალხს შორის იშვიათად გადააწყდებით ისეთს, ნბა-ში ათი წლის წინ რომ მოსულა და მას აქეთ ერთი გუნდის ერთგულია. როცა ასეთებზე მიდგება საქმე, ერთ-ერთი პირველთაგანი „სან ანტონიო სფურზის“ ცენტრი დევიდ რობინსონი გვახსენდება. „ადმირალი“ თორმეტი წლის განმავლობაში ერჩოდა „სფურზის“ მეტოქეთა კალათებს და ამ ზაფხულს, როდესაც „სან ანტონიოსთან“ მის მორიგ კონტრაქტს ვადა გაუვიდა, არავის ეეჭვებოდა, რომ იგი კვლავ უერთგულებდა „დეზებს“. ამ ერთი კვირის წინ „ადმირალი“ კლუბის ხელმძღვანელებს წინასწარ მოურიგდა და მართალია, მხარეებმა არ ისურვეს კონტრაქტის პირობების საჯაროდ გამოფენა, ინფორმაციამ მაინც გაჟონა — 36 წლის რობინსონი ორი წლით დარჩება ძველ გუნდში და ამ ხნის განმავლობაში ხელფასის სახით მინიმუმ 22 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამჟამად რობინსონი ჰავაის კუნძულების მზეს ეფიცხება. იქ მას საკუთარი სახლი აქვს და იქიდან ურჩევს თანაგუნდელს, მასსავით თავისუფალ აგენტ დერიკ ანდერსონს, მის მაგალითს მიჰბაძოს. „სან ანტონიო“ ანდერსონს ყოველწლიურად შვიდ-რვა მილიონს სთავაზობს, რაც საკმარისი საბუთია, რომ „სფურზის“ მეორე მექულემ სხვა გუნდის ძიებას თავი დაანებოს.

ფილადელფიელი თავისუფალი აგენტები — დიკემბე მუტომბო და აარონ მაკკი რობინსონივით ერთ გუნდს არ შეაბერდნენ და მათ მანამდე არაერთხელ გამოუცვლიათ ნავსაყუდელი, თუმც ისინი მზად არიან, დღეს ამაზე არ იფიქრონ და „ფილადელფიაში“ დარჩნენ, მით უმეტეს, რომ როგორც თავად ამბობენ, ერთი საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანონ. წლეულს პლეი ოფის ფინალში „ლეიკერსთან“ წაგებამ როდი გატეხა ფილადელფიელები, პირიქით, უფრო მეტად განაწყო საბრძოლოდ და ათქმევინა, სანამ ჩემპიონები არ გავხდებით, არ დავიშლებითო. წინასწარი შეთანხმებით, მუტომბო კიდევ ხუთი წლით დარჩება „ფილადელფიაში“ და ყოველ სეზონში საშუალოდ 13 მილიონს ჩაიჯიბავს. მაკკის აგენტმა და კლუბმა კი კალათბურთელისთვის შვიდწლიანი და 42-მილიონიანი კონტრაქტი გაამზადეს.

„ტორონტო რეპტორზის“ 206-სანტიმეტრიან ცენტრს, ოლსტარელ ანტონიო დევისს, ძველ კლუბთან კონტრაქტი ამ ორი კვირის წინ დაუმთავრდა და მაშინვე მის სახლთან (არ ვაჭარბებთ, ზუსტად ასე იყო) მთხოვნელთა რიგი დადგა. სხვებზე მეტად „ორლანდომ“ გამოიდო თავი. დევისს ფლორიდის ამ ქალაქში საკუთარი ვილა აქვს და სწორედ იქ მიუვიდა „ორლანდო მეჯიქის“ წარმომადგენლობითი დელეგაცია თხოვნით, კარიერა ამ კლუბში გაეგრძელებინა. დევისმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ძველ კლუბში დარჩენა გადაწყვიტა და რამდენიმე დღეში „ტორონტოს“ ხუთწლიან და 60-მილიონიან ხელშეკრულებას დაუდებს. მეგობრის მაგალითს მიჰბაძა და თავისი ბედი „ტორონტოს“ შვიდი წლით დაუკავშირა ახალგაზრდა თავდამსხმელმა ჯერომ ვილიამსმა. 40,8-მილიონიანი კონტრაქტი მის ხელმოწერას ელის. ალბათ „ტორონტოში“ დარჩება კიდევ ერთი ვილიამსი, სახელად ელვინი, ვისთვისაც ვინს კარტერის მხარდამხარ თამაში, როგორც თავად ამბობს, ბედნიერებაა.



დევიდ რობინსონი „სან ანტონიოში“ რჩება

გუნდის წამყვანი მოთამაშეები თავისთან რომ დაიგულეს, „ტორონტოს“ მამებმა ახლა გუნდის ლიდერ ვინს კარტერზე გადაიტანეს ყურადღება. მართალია, კარტერი კიდევ ერთი წლით ტორონტოელია და ზუსტად ამ ხნის შემდეგ ხდება თავისუფალი აგენტი, მაგრამ კლუბის მამებმა აქედანვე დაიჭირეს თადარიგი და კარტერს საკმაოდ სარფიან კონტრაქტს ძველის გასრულებამდე სთავაზობენ.

## ემიგრანტები

ტორონტოელმა „დინოზავრებმა“ ბევრი ოფლი კი ღვარეს გუნდის საუკეთესო წარმომადგენლების შესანარჩუნებლად, მაგრამ ერთი მაინც გაექცათ. 37 წლის თავდამსხმელი ჩარლზ ოკლი ამიერიდან კარიერას „ჩიკაგო ბულზში“ გააგრძელებს, გუნდში, სადაც თვით მაიკლ ჯორდანთან ერთად 17 წლის წინ დაიწყო მისი კარიერა. მან ჯერ კიდევ სეზონის მიმდინარეობისას თავად მოსთხოვა „ტორონტოს“ ხელმძღვანელებს სხვაგან გაეცვალათ, რადგან გუნდის ლიდერ ვინს კარტერთან უთანხმოება მოუვიდა. ძველმა კლუბმა, „ჩიკაგომ“, მაშინვე გამოთქვა მისი აყვანის სურვილი და ოკლი აწ უკვე ექსჩიკაგოელ ბრაიან სკინერში გაიცვალა. „ჩიკაგო ბულზის“ ლიპიან-ლაბაბიანი გენერალური მენეჯერი ჯერი კრაუზე კმაყოფილებას არ მალავს ოკლის თავისთან რომ ხედავს და გაიძახის, რომ დრაფტში აყვანილ სკოლის მოსწავლეებს — რაიმონდ ჩანდლერს და ედი კარის უკეთეს მასწავლებელს ვერც უშოვიდა.

ანტონიო დევისის ხელიდან გაშვებით უკმაყოფილო ორლანდოელმა „ჯადოებმა“ კიდევ ერთხელ გადახედეს ნბა-ს თავისუფალ აგენტთა სიას და თვალში 38 წლის სიეტლელი ცენტრი პატრიკ იუინგი მოხვდათ. „ორლანდოს“ ჰყავს შესანიშნავი უკანა ხაზი, მაგრამ ხეირიანი არავინ მოეძევება ისეთი, ვინც ფარქვეშეთს გააკონტროლებს. მართალია, იუინგი იმის მესამედია, რაც ამ ხუთი წლის წინ იყო, მაგრამ ორლანდოელები ბებერი ხარის რქების ანდაზას იშველიებენ და მოხუცებულ პატრიკთან ერთად ვარდისფერი მომავლის გეგმებს თხზავენ. იუინგი 15 წელი თამაშობდა „ნიუ იორკში“ [illegible] რომ შარშან „სიეტლში“ [illegible] მიჰქარა. იგი თითქმის თანახმაა, „ორლანდოში“ გადავიდეს. ფლორიდელებმა თვალი კიდევ ერთ ვეტერანს, 36 წლის ლეიკერსელ თავდამსხმელ ჰორას გრანტს დაადგეს, რომელიც „ლეიკერსამდე“ ერთი წელი „სიეტლში“ თამაშობდა, მანამდე კი ხუთი სეზონი „ორლანდოში“ ირიცხებოდა. ამდენად, „ორლანდოს“ ორი ბებერი მოთამაშე სურს, რომელთაც „სიეტლში“ ვერ ივარგეს.

კიდევ ერთი საყურადღებო მოთამაშე, რომელმაც ისარგებლა თავისუფალი აგენტის სტატუსით და გუნდი გამოიცვალა, ექსკლივლენდელი თავდამსხმელი კლარენს ვეზერსპუნია. მას ფართოდ გაუღო კარი „ნიუ იორკ ნიქსმა“.

თავისუფალ აგენტთა გრძელ სიაში ნბა-ში მოხვედრილი პირველი ქართველი ვლადიმერ სტეფანია, რომელიც ოფიციალურად აღარ ეკუთვნის „ნიუ ჯერსი ნეთსს“. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას ჩვენებური.

## და მაიკლ ჯორდანი?!

მაიკლ ჯორდანის მოედანზე დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი ბოლო ორი თვეა, ერთობ აქტუალურია სპორტის სამყაროში. არავინ იცის, მობრუნდება თუ არა დიადი კალათბურთელი აქტიურ სპორტში, თუმც ვერც იმას იტყვის ვინმე გადაჭრით, არ დაბრუნდებაო. თავად ჯორდანისგან ვერ გაიგებთ ზუსტ პასუხს. ერთი კია, მისი დაბრუნების თემა მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც მისმა ჰაერის უღიდებულესობამ იმ გუნდში, ანუ „ვაშინგტონ ვიზარდსში“ დაიწყო ვარჯიში, რომლის მფლობელი და პრეზიდენტიცაა.

ჯორდანის ვარჯიშს საფუძვლად მაიკლის ზედმეტი წონა უდევს. როგორც თავად ამბობს, ჯორდანმა მხოლოდ იმიტომ დაიწყო ვარჯიში, რომ რაც კალათბურთს თავი დაანება (ეს კი სამი წლის წინ მოხდა), ათ კილოზე მეტი მოიმატა. თუმც, როგორც კულისებში ამბობენ, მაიკლი ამ ვარჯიშით საკუთარ თავს ამოწმებს, შეძლებს თუ არა 39 წლის ასაკში ნბა-ში უმაღლეს დონეზე თამაშს. რამდენიმე კვირის წინ მან ერთ-ერთ ასეთ ვარჯიშზე ორი ნეკნი ჩაიმტვრია, შემდეგ კი ტრავმა მოიშუშა და ამ უქმეებზე „ჯადოქართა“ ორ ვარჯიშში მიიღო აქტიური მონაწილეობა. ეს კი საკმარისი გახდა, მისი დაბრუნების თემა კვლავ წინ წამოწეულიყო ოკეანისგაღმა წამყვანი გაზეთების ფურცლებზე.

ისე, „ვაშინგტონ ვიზარდსის“ უხეირო თამაშის შემხედვარე, სრულიად ბუნებრივია, ეჭვი გაჩნდეს, რომ ჯორდანი საკუთარი ხელით აპირებს ამ გუნდის ჭაობიდან ამოყვანას.

**ირაკლი ფირუზაშვილი**



ჩარლზ ოკლი „ჩიკაგოს“ უბრუნდება



ნუთუ მას ისევ ვიხილავთ მოედანზე?

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

**პოლონეთი. 1-ლი ტური**

**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 006 | რუხი-სტომილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 001 | ვიძევი-ზაგლებე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 002 | პოლონია-გურნიკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 003 | ოდრა-კატოვიცე | 1,95 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 004 | ოსტროვეცი-ვისლა | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 20.00 | 005 | ამიცა-გროცლინი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 007 | შლიონსკი-ლეგია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 20.00 | 008 | რადომსკო-პოგონი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**ავსტრია. მე-2 ტური**

**17 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 009 | შტურმი-ზალცბურგი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 010 | ტიროლი-ბრეგენცი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.30 | 011 | ადმირა-კერნტენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 22.30 | 012 | აუსტრია-გრაცერი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.30 | 013 | რიდი-რაპიდი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-3 ტური**

**17 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 014 | სიონი-აარაუ | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 015 | გრასჰოპერი-იანგ ბოისი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.30 | 016 | ლოზანა-ციურიხი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.30 | 017 | ლუცერნი-ლუგანო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 018 | სერვეტი-ქსამაქსი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 22.30 | 019 | სენტ გალენი-ბაზელი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-4 ტური**

**21 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.30 | 020 | აარაუ-სერვეტი |
| 22.30 | 021 | ბაზელი-ლოზანა |
| 22.30 | 022 | ქსამაქსი-სენტ გალენი |
| 23.15 | 023 | გრასჰოპერი-ლუცერნი |

**22 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 19.15 | 024 | იანგ ბოიზი-ციურიხი |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-3 ტური**

**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 025 | კონკორდია-თუნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 026 | ვადუცი-ბელინცონა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 027 | ვინტერთური-ბადენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 028 | დელემონი-ვილი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 029 | ლოკარნო-კარუჟი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.30 | 030 | ივერდონი-კრინსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**დანია. 1-ლი ტური**

**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 031 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**22 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 032 | ესბიერგი-ოდენსე | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 033 | სილკებორგი-აკადემისკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 034 | ვაილე-ლიუნგბიუ | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.05 | 035 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**23 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 036 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**რუსეთი. მე-17 ტური**

**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 037 | ცსკა-სპარტაკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 16.00 | 038 | ჩერნომორეცი-როტორი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 16.00 | 039 | სოკოლი-როსტსელმაში | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 16.00 | 040 | ზენიტი-ტორპედო ზილ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 16.00 | 041 | ლოკომოტივი-სატურნი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 16.00 | 042 | ანჟი-ფაკელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 16.00 | 043 | ალანია-დინამო | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 16.00 | 044 | ტორპედო-კრილია | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**რუსეთი. მე-18 ტური**

**22 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 16.00 | 045 | როსტსელმაში-ჩერნომორეცი |
| 16.00 | 046 | როტორი-სპარტაკი |
| 16.00 | 047 | კრილია-ალანია |
| 16.00 | 048 | დინამო-ანჟი |
| 16.00 | 049 | ფაკელი-ლოკომოტივი |
| 16.00 | 050 | სატურნი-ზენიტი |
| 16.00 | 051 | ტორპედო-ცსკა |

**23 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 16.00 | 052 | ტორპედო ზილ-სოკოლი |

**შვედეთი. მე-14 ტური**

**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 053 | ჰალმსტადი-იორებრო | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**22 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 054 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 20.00 | 055 | ტრელებორგი-ჰეკენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**23 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 056 | სუნდსვალი-მალმიო | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 057 | ნორჩიოპინგი-გიოტებორგი | 3,0 | 3,1 | 2,1 |

**ნორვეგია. მე-15 ტური**

**22 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 058 | ბრანი-ტრომსიო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 059 | ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 060 | ლინი-სოგნდალი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 21.00 | 061 | ოდ გრენლანდი-ბოდიო გლიმტი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 062 | სტაბეკი-ბრინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 063 | ვიკინგი-მოსი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 23.05 | 064 | მოლდე-რუსენბორგი | 2,8 | 3,1 | 2,2 |

**ფინეთი. მე-20 ტური**

**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 065 | ჯაზი-ვაასა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 066 | კუოპიო-ჰიკ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 20.30 | 067 | ლაჰტი-ატლანტისი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 068 | მიუპა-ინტერი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.30 | 069 | როვანიემი-იოკერიტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**ფინეთი. 21-ე ტური**

**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 070 | ტამპერე-ატლანტისი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**22 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 071 | ინტერი-იოკერიტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 072 | მიუპა-ჯაზი | 1,3 | 4,4 | 8.0 |
| 20.30 | 073 | როვანიემი-ჰიკ | 3,3 | 3.0 | 2,1 |

**გერმანია. ლიგის თასი**

**17 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 074 | შალკე-დორტმუნდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 075 | ბაიერნი-ჰერტა | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**21 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.45 | 076 | ფინალი |

**საფრანგეთი. სუპერთასი**

**19 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 077 | სტრასბური-ნანტი | 3,2 | 3.1 | 2,0 |

**ჩემპიონთა ლიგა. I ეტაპი. II მატჩები**

**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 501 | შამქირი-ბარი თავუნი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.00 | 502 | ტორპედო-ლინფილდი | ანგარიში - 5,0 | | |
| 20.30 | 503 | ვლაჟნია-რეიკიავიკი | 2,2 | 2,9 | 3.0 |
| 21.00 | 504 | კაუნასი-სლოგა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 21.00 | 505 | მოზირი-ვაგური | 1,2 | 5.6 | 10.0 |
| 21.00 | 506 | ჰაკა-ვალეტა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 21.00 | 507 | სკონტო-დუდელანჟი | 1,08 | 7,0 | 14,0 |
| 21.30 | 508 | ლევადია-ბოჰემიანსი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 22.00 | 509 | შერიფი-არაქსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.15 | 510 | ჟელეზნიჩარი-ლევსკი | 2,5 | 3.0 | 2,5 |

**ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. II მატჩები**

**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 511 | მიუნხენი-ვალვაიკი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 512 | ასტონ ვილა-სლავენი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 19.30 | 513 | სინოტი-რენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 514 | პობედა-ბლშანი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.00 | 515 | აიკ-ტრუა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.00 | 516 | დინამო (მინსკი)-ვოლფსბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 517 | პსჟ-ტავრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 22.30 | 518 | ტატაბანია-ბრეშა | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.30 | 519 | ჰერენვენი-ბაზელი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 22.30 | 520 | ლოზანა-ცელიე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 521 | ნიუკასლი-ლოკერენი | 1,2 | 5,0 | 9.0 |
| 23.00 | 522 | გენტი-ვერდერი | 2,4 | 3,2 | 2.5 |

**კოპა მერკოსური**

**21 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 02.00 | 523 | ფლამენგო-ნასიონალი |

**22 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.00 | 524 | რივერ პლეიტი-გრემიო |

**კოპა ამერიკა (კოლუმბიაში)**

**17 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 525 | ეკვადორი-ვენესუელა | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 06.45 | 526 | კოლუმბია-ჩილე | 1,6 | 3,1 | 5,0 |

**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 527 | პერუ-მექსიკა | 3,1 | 3.2 | 2,1 |
| 05.45 | 528 | ბრაზილია-პარაგვაი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**19 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 04.00 | 529 | ბოლივია-კოსტა რიკა |
| 06.15 | 530 | ჰონდურასი-ურუგვაი |

**22 ივლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 00.00 | 531 | მეოთხედფინალი | 00.00 | 532 |

**მეოთხედფინალი**

**23 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 00.00 | 533 | მეოთხედფინალი |
| 00.00 | 534 | მეოთხედფინალი |

**იუნიორთა (18 წლ.) ევროპის ჩემპიონატი (ფინეთში)**

**21 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 17.30 | 535 | ფინეთი-უკრაინა |
| 20.00 | 536 | ჩეხეთი-იუგოსლავია |

**22 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.30 | 537 | პოლონეთი-ესპანეთი |
| 20.30 | 538 | ბელგია-დანია |

**23 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.00 | 539 | ფინეთი-ჩეხეთი |
| 20.00 | 540 | უკრაინა-იუგოსლავია |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

**20 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 18.00 | 541 | ნამიბია-სენეგალი |
| 20.00 | 542 | ალჟირი-ეგვიპტე |


## ბათუმში

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო

მისამართი: ფიროსმანის ქუჩა №7ა

1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთერთმეტე ეტაპი

# (ჰ)აკი მიდისო?

## მიკამ ინგლისში მოუხვია

**ფორმულაში** სამი ეტაპია, რომელთა მოგებასაც გამორჩეულად პრესტიჟული მნიშვნელობა აქვს. ესაა ყველაზე რთული, მონტე კარლოს ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ჯირითი, აგრეთვე რბოლები ინგლისსა და იტალიაში, რომლებიც პირველივე ჩემპიონატიდან, 1950 წლიდან იმართება და ერთხელაც არ ჩაშლილა. „სილვერსტოუნი" სამეფო რბოლების სამშობლოდ ითვლება, „მონცა" კი დღესაც უსწრაფეს წრედ რჩება.

კვირას სილვერსტოუნის ძველი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე დიდი ბრიტანეთის 52-ე დიდი პრიზი გათამაშდა. სტატისტიკის მიხედვით, წინა ორი საშინაო რბოლის მომგებ დევიდ კულჰარდს ამჯერად წარმატებისთვის ვერ უნდა მიეღწია, რადგან ნახევარი საუკუნის მანძილზე ექვსჯერ მოხდა, რომ ზედიზედ ორგზის გამარჯვებულებმა მომდევნო წელს ტრიუმფალური სვლა ვეღარ გააგრძელეს. გამონაკლისია ლეგენდარული ბრიტანელი ჯიმ კლარკი, რომელმაც 1962-65 წლებში თავის სამშობლოში ოთხჯერ იმარჯვა. კულჰარდს სტარტზე მესამე პოზიცია ეკავა და, ცხადია, გამარჯვების შანსიც ჰქონდა. მაგრამ მისთვის რბოლა ნაადრევად, დასაწყისშივე დასრულდა. თუმცა ჯერ კვალიფიკაციაზე ვთქვათ.

შაბათს ნაწვიმარ ტრასაზე კარგა ხანს არავინ გასულა. იმედი ჰქონდათ, რომ მზე და ნიავი ასფალტს თანდათან გააშრობდა. პირველმა მიკა ჰაკინენმა გაიქროლა, რამდენიმე წუთში მიხაელ შუმახერმა ფინელის შედეგს თითქმის წამი ჩამოაკლო და წრის რეკორდიც დაამყარა. მეორე გასვლაზე მიკამ ლიდერობა დაიბრუნა, მაგრამ მიხაელი ვალში არ დარჩენილა და მესამე ცდაზე ფანტასტიკური შედეგი აჩვენა — 1 წთ, 20,447 წამი, რაც 1,2 წამით სჯობს ჟაკ ვილნევის ოთხი წლის წინანდელ მიღწევას. აღსანიშნავია, რომ ძველი რეკორდი მომდევნო ადგილებზე გასულებმა — ჰაკინენმა, კულჰარდმა, იარნო ტრულიმ და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმაც გააუმჯობესეს. რუბენს ბარიკელოს მეექვსე დრო აღმოაჩნდა. სუსტად გამოვიდნენ უილიამსელები — ხუან პაბლო მონტოია მერვე იყო, რალფ შუმახერი — მეათე. მაჩანჩალა ტარსო მარკეში („მინარდი") გამარჯვებულს 6 წამით ჩამორჩა, ანუ 107-პროცენტიან ნორმაში ვერ ჩაეტია და ამდენად რბოლაში მონაწილეობის უფლება დაკარგა. მიხაელ შუმახერისთვის ეს პირველი ბრიტანული პოული გახლავთ, წლეულს



REUTERS სილვერსტოუნიდან

პირველად პირველმა: მიკა ჰაკინენმა სილვერსტოუნზე შამპანური ააშხეფა

უკვე მერვე და მე-40 კარიერაში.

სტარტზე დიდი შეხლა-შემოხლა არ ყოფილა, თუმცა ორნი — ტრული და ოლივიე პანი პირველივე მოსახვევში გამოაკლდნენ რბოლას. ტრული სწრაფად დაიძრა, კულჰარდს მალე წამოეწია და გვერდის ავლაც სცადა, მაგრამ ვერ მოზომა და მანქანები ერთმანეთს ოდნავ შეეხნენ. დევიდმა ბოლიდი ტრასაზე კი შეაკავა, მაგრამ ქარავანის ბოლოში აღმოჩნდა. თანაც მის „მაკლარენს" უკანა შეკიდულობა დაუზიანდა, რის გამოც საჭე აღარ ემორჩილებოდა და მესამე წრეზე ისიც გამოეთიშა ბრძოლას. იყოჩაღეს ფრენკ უილიამსის ბიჭებმა — უსწრაფესად მოსწყდნენ ადგილს და რამდენიმე პოზიციით გაიუმჯობესეს მდგომარეობა. პირველი წრის ბოლოს ექვსეული ასე გამოიყურებოდა: მიხაელ შუმახერი, ჰაკინენი, მონტოია, ბარიკელო, რალფ შუმახერი, კიმი რაიკონენი. სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ჰაკინენი, მიუხედავად იმისა, რომ სტარტი კულჰარდზე წინ პირველი რიგიდან აიღო, მაინც ჩემპიონობის შანსის მქონე თანაგუნდელს უნდა დახმარებოდა, მაგრამ მისი მარცხის შემდეგ თავად გაეხსნა ხელ-ფეხი. ფინელმა თავიდანვე ისეთი ტემპი განავითარა, რომ ცხადი გახდა, ორი პიტსტოპის ტაქტიკა აერჩია. „სილვერსტოუნი" ჩქაროსნული ტრასაა, სტრატეგიაც მიკას ამის გათვალისწინებით შეურჩიეს, რომ მსუბუქი მანქანით მეტოქეებთან საგრძნობი უპირატესობა მოეპოვებინა. ასეც მოხდა: ექსჩემპიონი რამდენიმე წუთში მიხაელს წამოეწია და მეხუთე წრეზე ერთ-ერთ მოსახვევში ადვილად ჩამოიტოვა უკან. შუმახერი ერთხელ აპირებდა ბოქსებში სტუმრობას, ამდენად მისი ბოლიდი გაცილებით მძიმე და ზანტი ჩანდა, თანაც როგორც რბოლის შემდეგ აღნიშნა, თავიდანვე გასჩენია პრობლემები: „მანქანა ერთი-ორჯერ მოსახვევში მოსრიალდა, აშკარად აკლდა მდგრადობა და მთავარი მისი ტრასაზე შეკავება იყო. ასე რომ, როცა მიკა დამეწია, შეტევის მოგერიების შანსი არც მქონია."

ჩემპიონატის ლიდერმა მეორე დარტყმა 12 წრის შემდეგ მიიღო — სასტარტო სწორის ბოლოს მის „ფერარის" მონტოიას აშკარად უფრო სწრაფმა „უილიამსმაც" გაასწრო. ჰაკინენი ყოველ წრეზე საშუალოდ წამნახევრით ზრდიდა მდევრებთან უპირატესობას. 20 წრის შემდეგ თავისი პირველი პიტსტოპის წინ იგი 25 წამს უგებდა მონტოიას და თითქმის ნახევარ წუთს — მიხაელს. ბოქსების მიზეზით მიკამ სულ ოთხი წრით დაუთმო კოლუმბიელს ლიდერობა, ხოლო მისი პიტსტოპის შემდეგ კვლავ სათავეში ჩაუდგა ქარავანს და ბოლომდე ახლოს აღარავინ გაიკარა. მეტი პიტსტოპის ტაქტიკამ ორგზის ჩემპიონს ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა. 32 წლის პილოტმა მთელი რბოლა უშეცდომოდ წარმართა, უნაკლო იყო მისი „მაკლარენიც". ჰაკინენმა წლეულს პირველი წარმატება იზეიმა, მე-11 ცდაზე, როგორც იქნა, პირველად დაისაკუთრა ბრიტანეთის დიდი პრიზი, ამ მოგებით ოთხასქულიანი ზღვარიც გადალახა და ფორმულის ისტორიაში მეშვიდე მრბოლი გახდა, ვისაც ეს მოუხერხებია. მან ტრასის რეკორდიც დაამყარა — მიხაელ შუმახერის ძველი მიღწევა წამით გააუმჯობესა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორი: მიკა წლევანდელ სეზონში ისე სუსტად ასპარეზობდა, რომ მისი კარიერის დასრულებაზეც კი ალაპარაკდნენ. „სილვერსტოუნზე" ტრიუმფით ჰაკინენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მართლაც დიდი მრბოლია და მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

მართალია, მიხაელ შუმახერმა ამჯერად ვერ შეძლო სარეკორდო, 51-ე გამარჯვების მოპოვება, მაგრამ იმითაც კმაყოფილი დარჩა, რომ კულჰარდთან ისედაც უზარმაზარი სხვაობა კიდევ ექვსი ქულით გაზარდა. „ფერარის" უწყვეტი პოდიუმების ფანტასტიკურმა სერიამ კი უკვე 30-ს მიაღწია. მესამე ადგილით, ცხადია, ბარიკელოც ნასიამოვნები ჩანდა, ხოლო მონტოიას მეორე პიტსტოპმა პოდიუმი დააკარგვინა. რალფს შუა დისტანციაზე უღალატა ბოლიდმა.

აღსანიშნავია აგრეთვე დებიუტანტ რაიკონენისა და ნიკ ჰაიდფელდის წარმატება. ეს მეორე შემთხვევაა, როცა ორივე „ზაუბერმა" რბოლა ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ბრიტანეთის დიდი პრიზი**

15 ივლისი. სილვერსტოუნი

დისტანცია — 60 წრე — 308,460კმ

| | |
|---|---|
| 1. ჰაკინენი (მაკლარენი) | 1:25.33,770 (216,231 კმ/სთ) |
| 2. მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 33,646 |
| 3. ბარიკელო (ფერარი) | 59,280 |
| 4. მონტოია (უილიამსი) | 1.08,772 |
| 5. რაიკონენი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 6. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 7. ფრენცენი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 8. ვილნევი (BAR) | 1 წრით |
| 9. ირვინი (იაგუარი) | 1 წრით |
| 10. ფერსტაპენი (ეროუსი) | 2 წრით |
| 11. ალეზი (პროსტი) | 2 წრით |
| 12. დე ლა როსა (იაგუარი) | 2 წრით |
| 13. ფიზიკელა (ბენეტონი) | 2 წრით |
| 14. ბერნოლდი (ეროუსი) | 2 წრით |
| 15. ბატონი (ბენეტონი) | 2 წრით |
| 16. ალონსო (მინარდი) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| რ. შუმახერი (უილიამსი) | გაიარა 36 წრე |
| ბურტი (პროსტი) | 6 |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 2 |
| ტრული (ჯორდანი) | 0 |
| პანი (BAR) | 0 |
| მარკეში (მინარდი) | სტარტზე არ დაუშვეს |

**საუკეთესო წრე**

ჰაკინენი 1.23,405 (221,900 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | 6 | | | | | | | 84 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | - | 4 | 3 | - | | | | | | | 47 |
| 3 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | - | 2 | 4 | 4 | | | | | | | 34 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | - | - | - | 10 | 3 | 6 | - | | | | | | | 31 |
| 5 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | - | 1 | - | 3 | - | - | - | 4 | 1 | - | 10 | | | | | | | 19 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | - | - | - | - | 6 | - | - | - | 6 | - | 3 | | | | | | | 15 |
| 7 ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანა | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | - | - | 1 | 1 | | | | | | | 10 |
| 8 ტრული ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | - | - | 2 | - | | | | | | | 9 |
| 9 რაიკონენი ზაუბერი, ფინეთი | 1 | - | - | - | - | 3 | - | 3 | - | - | 2 | | | | | | | 9 |
| 10 ვილნევი BAR, კანადა | - | - | - | - | 4 | - | 3 | - | - | - | - | | | | | | | 7 |

ფრენცენი (ჯორდანი) — 6; პანი (BAR) — 5; ირვინი (იაგუარი) — 4; ალეზი (პროსტი) — 3; ფიზიკელა (ბენეტონი), ფერსტაპენი (ეროუსი), დე ლა როსა (იაგუარი) — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბრაზილია | სან მარინო | ესპანეთი | ავსტრია | მონაკო | კანადა | ევროპა | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | აშშ | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | 6 | 12 | 14 | 10 | | | | | | | 118 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | 4 | 5 | 3 | 10 | | | | | | | 66 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | 10 | 9 | 6 | 3 | | | | | | | 46 |
| 4 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | 3 | - | 1 | 3 | | | | | | | 19 |
| 5 ჯორდანი | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | - | - | - | - | 2 | - | | | | | | | 15 |

BAR — 12; იაგუარი — 5; პროსტი 3; ბენეტონი, ეროუსი — 1 ქულა





REUTERS

ხუთი რგოლის ახალი და ძველი მეუფენი: ჟაკ როგი და ხუან ანტონიო სამარანჩი

# სამარანჩის ბოლო სპექტაკლი

## ღირსეულად წასულმა მარკიზმა ღირსეული მემკვიდრე დატოვა

ემზარ ზენაიშვილი

მოსკოვიდან



**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის სესიის მუშაობის უკვე მეორე-მესამე დღეს, შაბათ-კვირას ფაქტობრივად დაცარიელდა როგორც საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის ვესტიბიულში განთავსებული სუბ-პრესცენტრი — ძალზე პატარა და მოუხერხებელი სამუშაოდ, ისე მთავარი პრესცენტრიც, სასტუმრო „რედისონ სლავიანსკაიაში" რომ იყო მოწყობილი და ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ჯერ იყო და, ხუთივე ქალაქიდან აკრედიტებულმა მასმედიელებმა მოსკოვი დატოვეს — მათთვის ხომ სოკ-ის სესია დამთავრდა, არჩევანი გაკეთდა! დანარჩენებს კი უიქენდზე მოსკოვში მოწყენის საშიშროება ნამდვილად არ ელოდათ. ის კი არა, სოკ-ის მრავალ წევრს თვალი მოჰკრეს მოსკოვის ელიტარულ და პრესტიჟულ ღამის კლუბებში. მაგალითად, მონაკოს პრინცმა ალბერმა კლუბი „ჯუსტო" მხოლოდ გამთენიისას დატოვა. ბარემ აქვე ისიც ვთქვათ, რომ სოკ-ის წევრთა შორის 20-მდე სამეფო ოჯახის წარმომადგენელია.

სოკ-ის 112-ე სესია კი შაბათ-კვირასაც აგრძელებდა მუშაობას. სოკ-ელთა თავყრილობა ორმოქმედებიან დრამატულ სპექტაკლს თუ შეედრება, ოღონდ თეატრალური წარმოდგენისგან განსხვავებით, მოსკოვში კვანძი ორივე მოქმედებაში იხსნება. ერთი დრამატული აქტი ჯერ კიდევ პარასკევს გათამაშდა, მეორე კი გუშინ, ორშაბათს. დრამატული-მეთქი რომ ვწერ, ხომ არ გეხამუშებათ? განა არ იყო დრამატული ოთხი ქალაქისთვის 13 ივლისის კენჭისყრა? ხომ იქცა დრამატულ აქტად 16 ივლისს გაკეთებული არჩევანი კიდევ ოთხი ადამიანისთვის?

ყველა დრამატულ ნაწარმოებს ავტორი ჰყავს. მის დადგმას რეჟისორიც სჭირდება და მსახიობებიც. ჰოდა, თუ მენდობით, ამ პიესის ავტორიცა და დამდგმელი რეჟისორიც მის უდიდებულესობა მარკიზი ხუან ანტონიო სამარანჩია, რომელსაც დამხმარეებიც ღირსეული ჰყავდა — სოკ-ის წევრები, ლოზანის ოფისის მოხელენი, ლოიალური პრესა.

მეტრმა, კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ, აჩვენა უმაღლესი პილოტაჟი, რაც ჩაიფიქრა, ალასრულა კიდეც. აკი ამ რამდენიმე დღის წინ სოკ-ის ალმასკომის წევრი და ფიგურული სრიალის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ოტავიო ჩინკვანტა სოკ-ის თავკაცის სწორედ ამ თვისებას უსვამდა ხაზს — მან იცის, რა უნდა და ისიც იცის, როგორ გააკეთოს.

თუმცა აქვე შევნიშნავ, მოსკოვში ამ დღეებში გამოცემულ სამარანჩთან მეტად დაახლოებული ცნობილი ჟურნალისტის ალექსანდრ რატნერის წიგნში „მეშვიდე პრეზიდენტი" დამოწმებულია თავად სოკ-ის ბოსის სიტყვები: „სოკ-ის პრეზიდენტი აკეთებს არა იმას, რაც მას უნდა, არამედ იმას, რაც მას შეუძლია." მაშ თუ ასეა, რამდენი რამ შეძლებია სოკ-ის პრეზიდენტს, მარკიზ სამარანჩს!

ყველამ კარგად იცის, თავის დროზე ატლანტის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანში სამარანჩს ლომის წილი რომ მიუძღოდა. და მან ეს შეგნებულად გააკეთა — სოკ-ის ფინანსური სიძლიერის განსამტკიცებლად და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. შემდეგ კი მისივე სერიოზული ძალისხმევით ათენმა მაინც მიიღო ოლიმპიური თამაშები. იგივე განმეორდა სიდნეისა და პეკინის მიმართ, მაშინ არავისთვის არ იყო საიდუმლო, მარკიზის სიმპათია ჩინეთის დედაქალაქისკენ რომ იხრებოდა.

...მოულოდნელად, პეკინის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის შემდეგ სოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების გარშემო სიტუაცია დაიძაბა. გავიხსენოთ — სესიის წინ პრეზიდენტობის პერსპექტივა ასეთი თანმიმდევრობით განიხილებოდა — როგი, პაუნდი, კიმი. პარასკევ საღამოს, შაბათსა და კვირას დღის მეორე ნახევრამდე, უფრო სწორად, საღამომდე, მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა.

სოკ-თან დაახლოებულ წრეებში, საქმეში ჩახედულ ჟურნალისტებში, ფინანსური და კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელობაში უკვე ინტენსიურად ლაპარაკობდნენ იმის აუცილებლობაზე, რომ ოლიმპიურ მოძრაობას, ამ უზარმაზარ მონსტრს სათავეში ძლიერი პიროვნება სჭირდება, გამოკვეთილი ქარიზმით, მართვის ავტორიტარული თვისებებით. ეს კიდევ უფრო აუცილებელია პეკინის არჩევასთან დაკავშირებითო. მომავალი თამაშების ორგანიზატორებთან და ქვეყნის ხელმძღვანელებთან ურთიერთობა იქნება ძალზე ძნელი, სპეციფიკური, რომელიც სოკ-ის მხრიდან მოითხოვს ძლიერ ხელს, კარგ, მკაცრ და მომთხოვნ დიპლომატს, რომელმაც იცის, რა ენაზე და როგორ დაელაპარაკოს ისეთ სახელისუფლო სტრუქტურებს, როგორიც ჩინეთშია და რომლის ანალოგი, თუ მოსკოვს არ ჩავთვლით, ადრე არ ყოფილა.

ასეთად კი კორეელი კიმ უნ-იონგი მოიაზრებოდა. კაცი მართლაც ძალზე ძლიერი, ძალზე გავლენიანი, ძალზე მდიდარი, რომელშიც კარგადაა შერწყმული დასავლური და აღმოსავლური მენტალიტეტის ერთობლიობა. კაცი, რომელსაც ბევრი გაუკეთებია მრავალი ქვეყნის სპორტული თუ ოლიმპიური მოძრაობისთვის. კიმი გულუხვ კაცადაა ცნობილი — ლოზანაში ოლიმპიური მუზეუმის მშენებლობას მან შვიდი მილიონი დოლარი დაახარჯა. ჰყავს ბევრი მეგობარი არა მარტო სპორტულ და ოლიმპიურ წრეებში. იგი პერსონალურად იყო მიწვეული ჯორჯ ბუშის ინაუგურაციაზე, არის კორეის პარლამენტის წევრი. მის სახელთანაა დაკავშირებული სეულის ოლიმპიური თამაშების მაღალ დონეზე ჩატარება, მან მიაღწია, სიდნეიში ორივე კორეის სპორტსმენები გახსნის ცერემონიალზე ერთად რომ გამოვიდნენ.

— გავითვალისწინოთ კიმის ასაკი (ის 70-ს გადაცილებულია). ეს იმის გარანტიაა, რომ მას მხოლოდ ერთი ვადით (8 წელი) ავირჩევთ — ამბობდნენ მისი მომხრეები.

კიმის ლობისტებმა ისიც კი მოახერხეს, რომ ხმები გაავრცელეს: სამარანჩის სიმპათიები როგიდან კიმისკენ გადაიხარა და რომ ბოლო ორი დღეა, ესპანელი კერძო საუბრებში ძლიერი და დამოუკიდებელი პრეზიდენტის არჩევის აუცილებლობას უსვამს ხაზსო.

ერთი კი არის. კორეელის სახელმა გაიჟღერა სოლტ ლეიკ სიტისთან დაკავშირებულ სკანდალში, მაგრამ მის მიმართ სერიოზული სანქციები არ მიუღიათ. „რაც ჩემი თავი მახსოვს, დახმარების თაობაზე თხოვნით სხვები მომმართავდნენ. მეც ყველას ხელს ვუმართავდი, თავად კი არავისთვის არასდროს არაფერი მითხოვია. საიდან მოიტანეს ეს ბრალდებები?" — კითხულობდა გაოცებული კიმი.

და მაინც, აქილევსის ქუსლი კიმისთვის მისი რეპუტაცია გახლდათ — როგთან და პაუნდთან შედარებისას ის მაინც შებღალული იყო.

დასავლურ პრესაში, პირველ რიგში კი ამერიკულში, უკანასკნელ ხანს და დაუფარავად წერდნენ იმის შესახებ, რომ სოკ-ის ღირსეული პრეზიდენტი მხოლოდ კიმი იქნებოდა და ეს გასაგებიცაა — ანიტა დეფრანცის უპერსპექტივობის შემდეგ მათთვის მხოლოდ კორეელი შეიძლება ყოფილიყო მისაღები.

ამ შემთხვევაში რა შეიძლება ყოფილიყო როგისა და პაუნდის საწინააღმდეგო არგუმენტები? როგი ზედმეტად რბილი და ინტელიგენტი კაცია, მის უკან არ დგას მძლავრი ფინანსური წრეები, ის ვერ იქნება დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში — ამბობდნენ მასზე. პირადად მე სოკ-ის უკვე ამჟამინდელ პრეზიდენტთან ათწლიანი ურთიერთობა მარწმუნებს, რომ ეს მცდარი შეხედულებაა.

პაუნდმა, იყო რა სოკ-ის გარშემო ატეხილი სკანდალის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, მრავალი მტერი თუ არა, არაკეთილმოსურნე მაინც გაიჩინა. ის ნაკლებად კომუნიკაბელურია, თითქმის არ ჰყავს ისეთი მეგობრები, მის ლობირებას ორგანიზაციას რომ გაუკეთებენო — ბჭობდნენ კანადელზე. თუმცა ყველა ხაზს უსვამდა ერთს — პაუნდი შედარებით ძლიერი პიროვნებაა და ამ მხრივ პრობლემები ნაკლებად სავარაუდოაო.

...14 ივლისს, შაბათს ლუჟნიკებში გაიხსნა ოლიმპიური თემატიკისადმი მიძღვნილი მონუმენტი სამარანჩის ბარელიეფით. სწორედ აქ დაფიქსირდა რუსეთის დედაქალაქის სურვილი — უმასპინძლოს 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს. ამასთან, მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა ხაზი გაუსვა — ეს გადაწყვეტილება ჩვენ მას შემდეგ მივიღეთ, როცა თქვენ არჩევანი პეკინზე შეაჩერეთო — მხედველობაში ჰქონდა კონტინენტთა მონაცვლეობის პრინციპის დაცვის აუცილებლობა. აქვე მოეწყო ლუჟკოვისა და სამარანჩის კოსმოსში სიმბოლური გაფრენა — საამშენებლო ამწის მეშვეობით, რომელმაც დამსწრეთა ღიმილი გამოიწვია — ასეთი შოუს მოსაწყობად დღეს ხომ უკვე სხვა ტექნიკური საშუალებები გამოიყენება. ზღაპრული ფურშეტი მოუწყეს სტუმრებს მოსკოველებმა, შავ და წითელ ხიზილალას სუფრის კოვზებით მიირთმევდნენ. შესანიშნავი, ფაქტობრივად თავიდან აშენებული ლუჟნიკების სტადიონიც დაათვალიერებინა „მსოფლიოს ყველაზე სპორტულმა მერმა" სტუმრებს და სოკ-ის წევრებს მოსკოვის პრე-პრეზენტაციაც მოუწყო — 1980 წელს ჩატარებული თამაშების კადრებთან ერთად და მოსკოვის დღევანდელ შესაძლებლობებზეც ესაუბრა.

ლუჟნიკებში VIP-თა დარბაზებში ფურშეტის დროს სოკ-ის რამდენიმე წევრს მომავალი არჩევნების თაობაზე დაველაპარაკე. მათი ვინაობის გამხელისგან თავს ვიკავებ — სოკ-ის ეთიკის კომისიის მოთხოვნის შესაბამისად და რესპონდენტთა თხოვნით.

— მხოლოდ კიმი! ოლიმპიურ მოძრაობას სამარანჩის შემდეგ ღირსეულად ის შეინარჩუნებს. მე და ჩემი გუნდი მასზე ვმუშაობთ. ის ძლიერი პრეზიდენტი იქნება. თქვენ, ქართველები, ნუ შეფიქრიანდებით — მე შევეცდები მას მალე შეგახვედროთ და დარწმუნდებით, რომ კარგი არჩევანი გაკეთდა.

— კი მაგრამ ოლიმპიური მოძრაობის მონარქსა და იმავდროულად მის „რომის პაპს", სამარანჩს სჭირდება ძლიერი მემკვიდრე? — პირდაპირ ვეკითხები.

— ალბათ არა, მაგრამ სამარანჩი ბრძენია. ის იძულებული იქნება, დაჰყვეს ღინებას და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინოს.

# სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნები



REUTERS მოსკოვიდან

კიმ უნ-იონგს გაჩუმება ერჩია

— როგი ან კიმი. მე პირადად როგისკენ ვიხრები, თუმცა არც კორეელი იქნება ურიგო პრეზიდენტი, დღეს და ხვალ სოკ-ის წევრები საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით — მეუბნება მეორე.

— ძნელი არჩევნის წინაშე ვდგავართ. ღრმა დინებებია და მასში ნამდვილად მიჭირს გარკვევა. კანდიდატებზე რამდენიმე მიმართულებებით მუშაობენ და მრავალფეროვანი სპექტრია ჩართული. მართალია გითხრათ, დავიბენი კიდეც — მეუბნება მესამე.

— ევროპა პრეზიდენტის სავარძელს არ დათმობს. პარიზის ჩავარდნის შემდეგ ამის დაშვება არ შეიძლება. აბა, ნახეთ, ოლიმპიური მედლების რა რაოდენობა მოდის ევროპაზე. მხოლოდ როგი — ეს სოკ-ის კიდევ ერთი წევრის აზრია.

ანალოგიური განწყობა იყო „სპორტ ექსპრესის“ მიერ მოწყობილ მიღებაზეც, სადაც, ბუნებრივია, ჟურნალისტები ჭარბობდნენ.

კვირას კი „გასტინნი დვორში“ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ორი ათას სტუმარს გრანდიოზული მიღება მოუწყო. სწორედ აქ წარმოთქვა სოკ-ის პრეზიდენდტმა ამ პოსტზე ბოლოსწინა სიტყვა. იყო მისალმებები, მადლობები, საჩუქრის გადაცემა სოკ-ის აპარატის თანამშრომლებისგან, მშვენიერი კონცერტი.

„მხოლოდ მოსკოვს შეუძლია მოაწყოს ასეთი დიდებული დაკრძალვა. რა საჭიროა ყოველივე ეს? ხვალ კიდევ სვეტებიანი დარბაზი!“ — გესლიანად წაისისინა ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა.

დაე, ეს სიტყვები მის სინდისზე იყოს.

ერთ დეტალზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. მიღების დასასრულს თითქმის ყველა მაგიდას ჩამოუარა პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა — კანადელმა დიკ პაუნდმა — ვერ გეტყვით, იქნებ ვინმეს ეძებდა კიდეც. მაგრამ იმ მაგიდასთან შეჩერდებოდა ხოლმე, სოკ-ის წევრები რომ ისხდნენ, მიესალმებოდნენ ერთმანეთს, ხელს მხარზე მოუთათუნებდნენ, ზოგსაც გადაეხვეოდა კიდეც. ჰოდა, იმას ვამბობ, სოკ-ის ის მეტად გავლენიანი წევრი, ამ რეპორტაჟში კორეელის კანდიდატურას თავგამოდებით რომ იცავს და ამტკიცებს — კიმის გუნდის წევრი ვარ და არც ვმალავო — ღიმილით ხვდება პაუნდს, გულთბილად საუბრობენ და განშორებისას კანადელს გამარჯვების ნიშნად ორი თითის კომბინაციას აჩვენებს (სხვათა შორის, სოკ-ის ამ წევრთან ვრცელი ინტერვიუ „სარბიელში“ ამ რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა).

...ახლა კი მივყვეთ 16 ივლისის მოვლენებს დროსა და სივრცეში:

— დილის 8 საათიდან ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრში იწყება ჟურნალისტების მოზღვავება;

— 8.35: სასტუმრო „მეჟდუნაროდნაიას“ ჰოლში, სადაც სოკ-ის წევრები და მათი ოჯახის წევრები ცხოვრობენ (სულ მოსკოვში სესიასთან დაკავშირებით ოთხი ათასამდე კაცი ჩამოვიდა), ვხვდები სოკ-ის ავტორიტეტულ წევრს, რომელიც თავისთან მიხმობს და გახარებული მეუბნება — ემზარ, ამ დილით შენთვის და ჩვენი მეგობრებისთვის კარგი ინფორმაცია მაქვს. დღეს ჟაკს აირჩევენ, წუხელ ძალიან დაეცა კიმის აქციები. სოკ-ის წევრები თავიანთ იმიჯს გაუფრთხილდებიან.

(თუ რა ჰქონდა მხედველობაში ჩემს მოსაუბრეს — ოდნავ ქვემოთ);

— 9.00: სამარანჩი ხსნის სოკ-ის სესიას. შემდეგ გამოდის სოკ-ის გენერალური მდივანი ფრანსუაზა ცვეიფელი და დამსწრეთ დღის რეგლამენტს აცნობს. სოკ-ის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენდტი შემოდის წინადადებით, რომ მომდევნო სხდომა დავიწყოთ არა დღის სამ საათზე, არამედ ნახევარი საათით ადრე... მიზეზი: სოკ-ის წევრები სახლებში მიიჩქარიანო;

— 9.07: სიტყვა ეძლევა კანდიდატურების კომიტეტის თავმჯდომარეს, სოკ-ის ყოვლისშემძლე ვიცე-პრეზიდენტს, მოსამართლე კება მბაიეს. იგი ლაპარაკობს სოკ-ის წევრების არჩევის მექანიზმზე. მიმართავს დარბაზში მყოფ სოკ-ის მომავალ პრეზიდენტს და აუწყებს, რომ სოლტ ლეიკ სიტის შემდეგ გადადგება. „მე 1980 წელსაც ვითხოვე წასვლა — მაშინ ვიგრძენი, რომ არავის ვჭირდებოდი. სამარანჩმა დამარწმუნა, რომ ვცდებოდი, ახლა კი ნამდვილად წავალ“ — თქვა სენეგალელმა იურისტმა. იქვე გაისმა სამარანჩის რეპლიკა — „სოკ-ს თქვენ სჭირდებით, ახალ პრეზიდენტს თქვენ დასჭირდებით“;

— 9.45-10.15: სოკ-ის შვიდი ახალი წევრის არჩევის პროცედურა. ტიმოთი ფოკის (ჩინეთი), რანდჰირ სინგჰის (ინდოეთი), ჯონ დოული კოტსის (ავსტრალია), ისა ჰაიატუს (კამერუნი), ადოლფ ოგის (შვეიცარია), ხუან ანტონიო სამარანჩის (უმცროსი, ესპანეთი) და ელრა ვან ბრედა ვიესმანის (ჰოლანდია) არჩევის შემდეგ სოკ-ის წევრთა რიცხვმა 129-ს მიაღწია. სოკ-ის პრეზიდენტის ვაკის კანდიდატურას ხმა მისცა 71 კაცმა, წინააღმდეგი იყო 27;

— 10.15-10.46 — შესვენება;

— 10.47: ეთიკის კომისიის მოხსენების გაცნობა. აღინიშნა, რომ არც ერთ კანდიდატს არ დაურღვევია კომისიის მიერ შემუშავებული ქცევის ნორმები, მათ შორის იყო კოლეგიალური და ძმური დამოკიდებულება. და შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გაკვრით შეეხო იმ ფაქტს, რამაც არსებითად გადაწყვიტა ჟაკ როგის ყოველგვარი ბრძოლის გარეშე გამარჯვება. საქმე ეხება კიმ უნ-იონგის თითქოსდა იმ განცხადებას, რომ მისი არჩევის შემთხვევაში სოკ-ის ყველა წევრი თავის ფუნქციების შესრულებისთვის მიიღებს 50 ათას ამერიკულ დოლარს. ვერ გეტყვით, ეს კორეელისა და მისი გუნდის უნებლიე შეცდომა იყო, თუ მოწინააღმდეგების მიერ კარგად დაგეგმილი და სწორად გათვლილი პროვოკაცია. ცხადია, ამ ფორმით თანხის გადაცემა არ შეიძლება განხილულიყო როგორც ქრთამის შეთავაზება, მაგრამ სოკ-ის წევრები სოლტ ლეიკ სიტის სკანდალის შემდეგ სასწორზე არ დადებდნენ ოლიმპიური მოძრაობის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საკუთრივ თავიანთ იმიჯსა და ინტერესებს. არამც და არამც! კიმის ამ განცხადებას თან დაერთო ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებსაც კორეელის წისქვილზე წყალი ნამდვილად არ დაუსხამს.

კენჭისყრის დაწყებამდე ტელეეკრანზე აჩვენეს ყველა კანდიდატი, იმ რიგითობით, სიაში რომ განაწილდნენ:

კიმ უნ-იონგი — მოღუშული, გაბრაზებული იერით. სახეზე ფერი არ ედო; დიკ პაუნდი — ვერაფერს შეატყობდით, იჯდა და სერიოზული გამომეტყველებით დარბაზს ათვალიერებდა; ჟაკ როგი — აშკარად ვერ ფარავდა ნერვიულობას; პალ შმიტი და ანიტა დეფრანცი — ღიმილიანი სახეებით, სავარძელში ლაღად ისხდნენ, მეზობლებს ებაასებოდნენ — ჩანდა, ორივე შეგუებული იყო საბოლოო შედეგს.

პირველი ტურის შემდეგ კვლავ გვაჩვენეს ამერიკელი ქალბატონი — უკვე ნირწამხდარი და უხასიათო, თითქოს ამბობდა — წაგება, კი ბატონო, მაგრამ რაღა ბოლო ადგილი მარგუნეთო, ჯენტლმენები მაინც ყოფილიყავით!

— 11.04: დაიწყო კენჭისყრის პირველი ტური. ანიტა დეფრანცი ბრძოლას გამოეთიშა;

— 11.08: მეორე ტურის შემდეგ ოთხი კაცისთვის მაინც (სამი ხმის დამთვლელი კომისიის წევრი, ერთიც — ვინც კომპიუტერთან იჯდა) ცნობილი იყო სოკ-ის ახალი პრეზიდენტის ვინაობა.

— 11.30: სოკ-ის წევრები და ჟურნალისტთა შეზღუდული რაოდენობა სპეციალური ავტომანქანებით მიემართებიან რუსეთის დედაქალაქის ცენტრისკენ — სვეტებიან დარბაზში. სწორედ აქ, 1980 წლის 16 ივლისს აუწყეს მსოფლიოს ხუან ანტონიო სამარანჩის არჩევა. სწორედ აქ, 2001 წლის 16 ივლისს, 12 საათსა და ოთხ წუთზე, ოლიმპიური ჰიმნის შესრულების შემდეგ თავად სამარანჩმა, ამჯერად უკვე სოკ-ის ექსპრეზიდენტმა — საერთაშორისო სპორტულ და ოლიმპიურ მოძრაობას წარუდგინა ახალი პრეზიდენდტი, 59 წლის ბელგიელი დოქტორი ჟაკ როგი, სპეციალობით ქირურგი-ორთოპედი.



REUTERS მოსკოვიდან

აწ უკვე სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ღმერთს და ამომრჩევლებს მადლობა შესწირა



1995 წელი. თბილისი. ჟაკ როგი ქართველ სპორტსმენებთან ერთად

## რაგბი

### ბრიტანელი ლომები ავსტრალიაში



REUTERS სიდნეიდან

ავსტრალიელმა დანიელ ჰერბერტმა ლომებს პირველი ლელო გაუტანა

სიდნეი. 14 ივლისი. მესამე ტესტი

**ავსტრალია 29:23 ბრიტანელი ლომები**

ავსტრალია: ბერკი, უოლკერი, ჰერბერტი, გრეი (ჰოლბეკი 75), როფი, ფლეტლი, გრეგანი; სტაილზი, ჰოლი, მური, ჰარისონი, ილზი (კაპ.), ფინეგანი (კოკბეინი 72), სმიტი, კეფუ
2ლ: ჰერბერტი; 2გ. და 5ს: ბერკი
ბრიტანელი ლომები: პერი (ინგლისი), ჯეიმსი (უელსი) (ბოლშოუ 73, ინგლისი), ოდრისკოლი (ირლანდია), ჰენდერსონი (ირლანდია), რობინსონი (ინგლისი), უილკინსონი (ინგლისი), დოუსონი (ინგლისი); სმიტი (შოტლანდია) (მორისი 70, უელსი), ვუდი (ირლანდია), ვიკერი (ინგლისი), ჯონსონი (ინგლისი, კაპ.), გრიუკოკი (ინგლისი), კორი (ინგლისი), ქვინელი (უელსი) (ჩარვისი 40, უელსი), ბეკი (ინგლისი)
2ლ: რობინსონი, უილკინსონი; 2გ. და 3ს: უილკინსონი
დროებითი გაძევება: ჰერბერტი (51-61)
მსაჯი: პედი ობრაიენი (ახალი ზელანდია)

ბუენოს აირესი. 14 ივლისი

**არგენტინა 38:17 იტალია**

არგენტინა: 4ლ: ალბანეზე (2), კესადა, სიმონე; 3გ: კონტეპომი, კესადა (2); 3ს: კონტეპომი (2), კესადა; 1ა: კესადა .
იტალია: 1ლ: რაინერი; 4ს: მაძარიოლი

## მძლეოსნობა

### ოქროს ლიგა. III ეტაპი (ოსლო)

**ვაჟები**

100 მ: 1. ტიმ მონტგომერი (აშშ) 9,84; 2. ატო ბოლდონი (ტრინიდადი და ტობაგო) 9,88; 3. ბერნარდ უილიამსი (აშშ) 9,99
800 მ: 1. უილფრედ ბუნგეი (კენია) 1.44, 91; 2. ჟან-პატრიკ ნდუვიმანა (ბურუნდი) 1.45,00; 3. მბულაენი მულაუძი (სამხრეთ აფრიკა) 1.45,04
1 მილი: 1. ალი საიდ სიიფი (ალჟირი) 3.38,23; 2. ბერნარდ ლაგატი (კენია) 3.48,57; 3. ნოა ნგენი (კენია) 3.50,29
5 000 მ: 1. პოლ ბიტოკი (კენია) 13.00,10; 2. ბენჯამინ ლიმო (კენია) 13.01,88; 3. ჯონ კიბოუენი (კენია) 13.02,88
3 000 მ. სტიპლჩეიზი: 1. უილსონ ბოიტ კიპკეტერი (კენია) 8.12,63; 2. რეიმონდ იატორი (კენია) 8.13,71; 3. ჯულიუს ნიამუ (კენია) 8.14,23
110 მ. თარჯრბენი: 1. ალენ ჯონსონი (აშშ) 13,21; 2. ტერენს ტრამელი (აშშ) 13,24; 3. სტანისლავს ოლიარსი (ლატვია) 13,42
სიგრძეზე ხტომა: 1. კევინ დილვორთი (აშშ) 8,15; 2. ოლექსიი ლუკაშევიჩი (უკრაინა) 8,13; 3. ჰუსეინ თაჰერ ალ საბე (საუდის არაბეთი) 8,04
ბირთვი: 1. ბრედლი სნაიდერი (კანადა) 20,44; 2. მიხაელ მარტენსი (გერმანია) 19,58; 3. გირან სორლი (ნორვეგია) 19,16
შუბი: 1. პეტერ ბლანკი (გერმანია) 86,90; 2. დარიუშ ტრაფაში (პოლონეთი) 85,78; 3. სტივ ბაკლი (დიდი ბრიტანეთი) 82,51

**ქალები**

100 მ: 1. მარიონ ჯონსი (აშშ) 10,94; 2. ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი (უკრაინა) 11,05; 3. კრისტი გეინსი (აშშ) 11,08
800 მ: 1. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1.58,20; 2. მარია მუტოლა (მოზამბიკა) 1.58,70; 3. ფაბიანა დუშ სანტუში (ბრაზილია) 1.58,83
1 500 მ: 1. ვიოლეტა ბეკლია-სეკელი (რუმინეთი) 4.01,45; 2. სიუზი ფევორ-ჰამილტონი (აშშ) 4.03,60; 3. კარლა საკრამენტო (პორტუგალია) 4.09,79
5 000 მ: 1. ედიტ მასაი (კენია) 14.46,06; 2. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 14.46,92; 3. როუზ ჩერიოტი (კენია) 14.48,97
400 მ. თარჯრბენი: 1. ტატიანა ანტიპოვა-ტერეშჩუკი (უკრაინა) 54,30; 2. ნეჟა ბიდუანე (მაროკო) 54,62; 3. ტონია ბაფორდ-ბეილი (აშშ) 54,81
სიმაღლეზე ხტომა: 1. ინა ბაბაკოვა (უკრაინა) 2,00; 2. ვიტა პალამარი (უკრაინა) 1,95; 3. ჰესტრი კლუტი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) 1,93



REUTERS ოსლოდან

ტიმ მონტგომერიმ (მარცხნივ) ოსლოში 100 მეტრი 9,84 წამში გაირბინა, რაც სეზონის რეკორდი და მორის გრინისთვის ნათავაზები წკიპურტი იყო

## ჩოგბურთი

# ტაშკენტი საჩოგბურთო ძალაშია

ვენა (ავსტრია)
UNIQA GRAND PRIX
თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $

**მეოთხედფინალი:** პატი შნიდერი (8, შვეიცარია) — ანკე ჰუბერი (3, გერმანია) 6:3, 6:4; პაოლა სუარესი (5, არგენტინა) — ბარბარა შეტი (4, ავსტრია) 7:6 (8:6), 4:6, 6:3; იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — მარტა მარერო (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:2; ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:4, 6:2.

**ნახევარფინალი:** ტულიაგანოვა — სუარესი 6:0, 7:5; შნიდერი — კოსტანიჩი 6:4, 6:7 (5:7), 6:4

**ფინალი:** ტულიაგანოვა — შნიდერი 6:3, 6:2

ყოფილი საბჭოთა კავშირის უკიდეგანო სივრცეში ბურჟუაზიული ჩოგბურთი დიდი პოპულარობით ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა რკინის ფარდის ჩამოგდების შემდეგ ფულიან სპორტს ახალი რუსების, უკრაინელების და სხვა მრავალთა ურდოები მიაწყდნენ. აწ უკვე გადამდგარი რუსთა პრეზიდენტის ბორის ელცინის არ იყოს, უზბეკეთის პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვსაც ფრიად უყვარს ჩოგნის მარჯვედ ქნევა, საკუთარი სიამოვნებისთვის საბიუჯეტო მილიონებსაც არ იშურებს და ტაშკენტში ქალ-ვაჟთა ტურნირებს მართავს (სადაც აფეთქების და თავდასხმის შიშით მრავალათასიან ტრიბუნაზე ხშირად მარტო ზის).

19 წლის იროდა ტულიაგანოვას პროფესიულ წინსვლაში პრეზიდენტული ჰობი დიდად წაადგა, იუნიორობის დროიდან სერიოზული ფინანსური დახმარების იმედი ყოველთვის ჰქონდა და ქვეყნის პირველი პირი არც დაალალატა: მძლავრი მოწოდების გარდა მის ანგარიშზე უკვე ორი ტიტული და რამდენიმე სახელოვანი სკალპია.

ვენის ტურნირის მერვედფინალში პირველად განთესილ ელენა დემენტიევასთან ტულიაგანოვა გადამწყვეტ სეტში 1:4 და 0:30 აგებდა, მაგრამ იმ მძიმე სიტუაციას რაც დაუძვრა, მისი შემჩერებელი აღარავინ აღმოჩნდა. ფინალში 34-გრადუსიან სიცხეს, ბუნებრივია, უზბეკი უკეთ შეეგუა, ვიდრე მთიან შვეიცარიაში გაზრდილი პატი შნიდერი. ტულიაგანოვას უპირატესობა მატჩის დასაწყისიდნავე შესამჩნევი იყო და 67-წუთიანი შეხვედრის გამარჯვებულის ვინაობა საეჭვო თითქმის არასდროს გამხდარა.

„ისეთი სიცხე იყო, მინდოდა, სწრაფად მოვრჩენილიყავი ამ საქმეს და შევძელი კიდეც. ურიგოდ არ მითამაშია, თუმცა უკეთაც შემიძლია გარჯა. სეზონის დასაწყისიდან ძალიან ბევრს ვვარჯიშობ ველოსიპედზე, სირბილში, რა თქმა უნდა, კორტზეც. დღევანდელი წარმატებაც სწორედ ამის შედეგია" — შეიფერა ჩემპიონობა ტულიაგანოვამ, რომელიც ორშაბათიდან კლასიფიკაციაში კიდევ უფრო დაწინაურდა და 48-ე ადგილიდან 35-ეზე აინაცვლა.

გშტაადის (შვეიცარია)
ღია პირველობა
თიხნარი. საპრიზო 600 ათასი $

**მეოთხედფინალი:** ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:2, 6:1; სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) — ფრანკო სკილარი (6, არგენტინა) 6:0, 6:1; ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:7 (4:7), 6:3; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — მიშელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:4, 6:2.

**ნახევარფინალი:** ფერერო — გროჟანი 6:4, 6:4; ნოვაკი — კორეჩა 3:6, 6:3, 6:4

**ფინალი:** ნოვაკი — ფერერო 6:1, 6:7 (5:7), 7:5

„ფიქრიც კი არ გამივლია გულში, რომ ამ ტურნირის მოგება შემეძლო. სიმართლე გითხრათ, ისიც კი არ მეგონა, თუ პირველ წრეში გილერმო კორიას გადავურჩებოდი" — ეს სიტყვები გშტაადის ღია პირველობის წლევანდელ გამარჯვებულ ირჟი ნოვაკს ეკუთვნის.

გამოცდილი ჩეხი მსოფლიოს უძლიერესი მოთიხნარეებით სავსე შვეიცარიულ კურორტზე უიმბლდონის წყვილთა ფინალში დამარცხების მომდევნო დღეს გაემგზავრა და ბალახიდან წითელ მიწაზე გადასართველად ვარჯიშისთვის საკმარისი დროც არ ჰქონია. თავისდა გასაოცრად, ნოვაკმა ერთიმეორის მიყოლებით ყველაზე ნელ საფარზე თამაშის რამდენიმე მოყვარული, მათ შორის ფელიქს მანტია და შარშანდელი ჩემპიონი ალექს კორეჩაც დაიფრინა.



იროდა ტულიაგანოვამ უზბეკეთი საჩოგბურთო რუკას დაატყო

ფინალი, წესით და რიგით, სამი ხელის მოგებამდე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორები ამინდის პროგნოზმა ისე შეაშინა, გადამწყვეტი მატჩი დილითვე შეკვეცეს. საქმეს არც ამან უშველა: ნოვაკი და ესპანელი ხუან კარლოს ფერერო კორტზე სულ ათიოდე წუთის გამოსულები იყვნენ, რომ წვიმამ დასცხო და თითქმის ხუთი საათის მანძილზე არ გადაუღია.

შეხვედრა საღამოს, გვარიან სიცივეში განახლდა და ჩეხმა თვალის დახამხამებაში ზედიზედ ექვსი გეიმიც მოიგო. „მოსკიტოდ" წოდებულმა ფერერომ მერე ხელი გამოიღო და დაძაბულ ტაი-ბრეიკზე საერთო ანგარიში გაათანაბრ. ესპანელი ცოტათი მესამე სეტშიც სჯობდა მეტოქეს, მაგრამ უპირატესობით ვერ იხეირა, პირიქით, ყველაზე უდროო დროს საკუთარი მოწოდება დაკარგა და სეზონის მეხუთე ტიტულიც ოცნებადვე დარჩა.

„მარცხმა დამამწუხრა. აქ გამარჯვებას ვგეგმავდი. ასეთ პირობებში თამაში მაინცდამაინც არ მიყვარს, ნოვაკი ამინდს ჩემზე უკეთ მოერგო" — თავი იმართლა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა ესპანელმა.

„ამხელა ტურნირი არასოდეს მომიგია, ასე რომ, საოცრად კარგ გუნებაზე ვარ. სწრაფ თიხნარზე თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში, წვიმამ გეგმები კინაღამ ჩამიშალა, მაგრამ ჩემს მეტოქესაც არანაკლებ გაურთულა საქმე" — აღნიშნა ჩეხმა, რომელსაც 81 ათასი დოლარი ერგო.

ბაშტადი. შვედეთის
ღია პირველობა
თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

**მეოთხედფინალი:** მაგნუს ნორმანი (1, შვედეთი) — კრისტოფ როშიუ (ბელგია) 3:6, 6:3, 7:5; ბოგდან ულირახი (5, ჩეხეთი) — ალბერტ პორტასი (3, ესპანეთი) 6:2, 3:6, 7:6 (7:4); იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:4, 6:2; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 7:5, 4:6, 6:3

**ნახევარფინალი:** ულირახი — ნორმანი 6:2, 4:6, 6:1; გაუდენცი — ელ აინაუი 6:2, 7:6 (7:1)

**ფინალი:** გაუდენცი — ულირახი 7:5, 6:3

ერთ დროს იუნიორებში მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ანდრეა გაუდენცისთვის პროფესიონალებში გზა ისევე ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. 27 წლის იტალიელმა ერთხანს საუკეთესოთა ოცეულში შეაღწია, თუმცა მერე ნელ-ნელა ქვევით დაეშვა, 1998-ში მხრის უმძიმესი ტრავმა მიიღო და თითქმის მთელი მომდევნო სეზონი გაუცდა.

იტალიელი მხოლოდ ახლა იბრუნებს საუკეთესო ფორმას და ამას მაისში ავსტრიაში გამარჯვების შემდეგ ბაშტადში მოპოვებული სეზონის მეორე ტიტულიც მოწმობს. ძლიერ ქარში მიმდინარე ფინალში გაუდენციმ მძლავრი ფორჰენდით დაჩაგრა ჩეხი ბოგდან ულირახი და აქამდე პირად შეხვედრებში ოთხი წაგებისთვისაც იძია შური: „ დღეს ქარი მეტად უცნაურად უბერავდა, სულ სხვადასხვა მიმართულებით, ამიტომ აგრესიულად თამაში ცოტათი გამიჭირდა. კარიერის დასაწყისში ზედიზედ ხუთ ფინალში დავმარცხდი, ასე რომ, თითოეული ტრიუმფი ძალიან მახარებს. ბოლო დროს სულ უფრო ვუმატებ, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს".

ნიუპორტი (აშშ)
„დიდების დარბაზის
საჩოგბურთო ჩემპიონატი"
ბალახი. საპრიზო 350 ათასი $

**მეოთხედფინალი:** კენეტ კარლსენი (დანია) — რაინერ შუტლერი (2, გერმანია) 6:2, 6:2; მარტინ ლი (დიდი ბრიტანეთი) — დავიდე სანგვინეტი (3, იტალია) 3:6, 6:3, 6:4; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — კრისტიან კაპალიკი (სლოვაკეთი) 6:4, 3:6, 6:3; ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:1, 6:2

**ნახევარფინალი:** გოდვინი — კარლსენი 6:3, 6:7 (2:7), 7:6 (8:6); ლი — ბლეიკი 6:4, 1:6, 7:6 (7:5)

**ფინალი:** გოდვინი — ლი 6:1, 6:4

**ავთანდილ სვანიძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge